

ისტორიკოსი

სპეციალური გამოცემა

როგორ ვიცხოვრეთ ერთად
XX საუკუნეში საქართველოში

მეთოდური მითითებები



ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის ჟურნალი
ისტორიკოსი
სპეციალური გამოცემა

როგორ ვიცხოვრეთ ერთად XX საუკუნეში საქართველოში

მეთოდური მითითებები მასწავლებლებისათვის

ავტორები: ბესო ლორთქიფანიძე (რელიგია), ნაირა მამუკელაშვილი (ოჯახი და ყოველდღიური ცხოვრება), ნინო ჩიქოვანი, ელისო ჩუბინიშვილი (მრავალეთნიკური საქართველო), ცირა ჩიკვაძე (მიგრაცია)

გამოცემის რედაქტორი ელენე შექმარიაშვილი

პროექტის კოორდინატორები: იოკე ვან დერ ლეუ-რურდი, ბლანდინ სმილანსკი, ნანა ციხისთავი, ელენე შექმარიაშვილი

მთავარი რედაქტორი ოლივერ რაისნერი

სარედაქციო საბჭო: ელენე ბოდაგელი, ნინო კიდურაძე, ნაირა მამუკელაშვილი, ელენე შექმარიაშვილი, მანანა შეყილაძე, ცირა ჩიკვაძე, ნანა ციხისთავი

გამოცემა დაფინანსებულია ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს (Matra) სოციალური ტრანსფორმაციის პროგრამის მიერ პროექტის **ტოლერანტობის მშენებლობა ისტორიის სწავლების გზით საქართველოში, როგორ ვასწავლოთ ისტორია და მოქალაქეობრიობა მულტიკულტურულ და მულტიკონფესიურ გარემოში?**

This issue is financially supported by the Social transformation Programme Central and Eastern Europe (MATRA) of the Netherlands Ministry of Foreign Affairs within the project Tolerance Building through History Education in Georgia, How to Teach History and Citizenship in a multicultural and multi-confessional Environment?

ISSN 2233-3290

მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქ. 38

ტელეფონი/ფაქსი +99532 291 39 10

ვებგვერდი: www.imsa.ge, ელფოსტა: info@imsa.ge

შინაარსი

წინასიტყვაობა

შესავალი

როგორ ვიმუშაოთ ჯგუფის მულტიეთნიკური საქართველო
სამუშაო ფურცლებზე

„თბილისური ეზო“

ჩაებაბარეთ თუ არა ტელერანტობის გამოცდა ავებდობის ჟამს?

დუხობორები საქართველოში

„კავკასიური ეზო“ სოფელ ბარალეთში

ცხინვალი 1990-იანი წლების დასაწყისამდე –
ერთიანობა მრავალფეროვნებაში

რა მოხდა თბილისში 1956 წლის 9 მარტს?

1989 წლის 9 აპრილი

თბილისის მეღპომენა (XX საუკუნის თბილისის თეატრალური ცხოვრება) –
ედემის ბაღი „სამხრეთის ციმბირში“

როგორ ვიმუშაოთ ჯგუფის ოჯახი და ყოველდღიური ცხოვრება
სამუშაო ფურცლებზე.....

შერეული ქორწინებები საქართველოში XX საუკუნის მეორე ნახევარში

ერთი ქუჩა მარნეულში

ხალხთა „ჭიანჭველების ბუდე“ ჩაქვში

უდიები XX საუკუნის ქართულ გარემოში

ქისტები XX საუკუნის საქართველოში

ესპანელი ბების ისტორია

ეთნოკონფლიქტები და ბავშვები

როგორ ვიმუშაოთ ჯგუფის მიგრაცია სამუშაო ფურცლებზე

გაყოფილი ლუკმა

მუდმივად სამშობლოს ძიებაში (მესხეთიდან დეპორტირებულები)

რუსთავი – „ორმოცი ძმის“ ქალაქი

აგორებული ქვეები (ეკოლოგიური მიგრანტები საქართველოში)

მედლის ორი მხარე: ქართველები და ოსები (XX ს. 90-იანი წწ)

სამი ქალის დღიური: ბალტიისპირელების ბედი საქართველოში

„სხვა საქართველო სად არის?": 1990-იანი წლების ემიგრაცია

როგორ ვიმუშაოთ ჯგუფის რელიგია სამუშაო ფურცლებზე

კანონი და რეალობა

უღმერთო საქართველო

ფარული ლოცვა

თანამშრომლობა თუ შეუწყნარებლობა?!

საქართველო მართლმადიდებლებისთვის?

კათოლიკები მე-20 საუკუნის ქუთაისში.....

წინასიტყვაობა

ჰოლანდიური მხარის მიერ დაფინანსებული პროექტის „ტოლერანტობა ისტორიის სწავლების გზით“ ფარგლებში, ისტორიის პედაგოგთა ევროპულ ასოციაციასთან (ევროკლიო) მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, ისტორიის გაკვეთილზე ტოლერანტობის სწავლების მთავარი მიზანი გარდაექმნით, 29 სამუშაო ფურცლისაგან შემდგარი, კრებულის საკვანძო კითხვად: „როგორ ვიცხოვრეთ ერთად საქართველოში მე-20 საუკუნეში?“ ამ დია კითხვის მეშვეობით, ჩვენ ვგეგმავთ უფრო ფართო მრავალფეროვანი ხედვით, მზა პასუხების მიწოდების გარეშე, მივუდგეთ ინდივიდთა გამოცდილებას და შეხედულებებს ეროვნულ და რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების შესახებ.

ყველა, ვინც ჩართული იყო ამ სამუშაო ფურცლების შექმნის, დამუშავების და რედაქტირების საქმეში, აცნობიერებს, რომ ნამუშევარი ჯერაც შორს არის სრულყოფილებისგან, მაგრამ ჩვენთვის ეს სამუშაო ფურცლები წარმოადგენს ახალ მიდგომას საქართველოში ისტორიის სწავლების კუთხით. ის უკვე ბევრად შესატყვისი იქნება ძირითად ევროპულ სტანდარტებთან და, ამასთანავე, არ უბუღებელყოფს ქართულ სპეციფიკურ და უნიკალურ მახასიათებლებს. მეორე მხრივ, ყველა ჩვენგანი იმასაც აცნობიერებდა, რომ საქართველო მე-20 საუკუნეში არ წარმოადგენდა მხოლოდ რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის ნაწილს, არამედ მასზე დიდი გავლენა ჰქონდა ევროპასა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და იდეოლოგიურ პროცესებს. „სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეროვნულ, ადგილობრივ თუ რეგიონალურ დონეზე განვითარებული მოვლენები შეიძლება იყოს უფრო ფართო მოძრაობის ან ტენდენციის ნაწილი, ან რეაქცია, სადმე სხვაგან მიმდინარე მოვლენებზე.“ (Stradling 2001:32). ავტორებმა სცადეს ხაზი გაესვათ საქართველოში ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე გამოხატული სწორედ ამ მზარდი გლობალური ურთიერთკავშირისათვის.

რა თქმა უნდა, ამ პროექტში ჩართული თითოეული პიროვნება აცნობიერებს, რომ ეს არის დაუსრულებელი, მუდმივი სამუშაო, რომელიც მომავალში არაერთხელ დაიხვეწება და შეივსება. შედეგები კი დიდი სიფრთხილით უნდა გამოიცადოს ისტორიის გაკვეთილებზე.

ისტორიის თემები და სათაურები

ტრადიციულად, მიდგომები სკოლებში ისტორიის სწავლებისადმი ეფუძნებოდა აკადემიურ ისტორიასა და კვლევაში გავრცელებულ მიდგომებს. მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე ეს

აკადემიური გამოკვლევები ფოკუსირებული იყო ნარატივზე, მმართველებზე, ეროვნულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაზე. ჩვენ არ გვსურდა, მოცემულ სამუშაო ფურცლებში ამ გზას გავეყოლოდით, არა იმიტომ, რომ შერჩეული თემების შესახებ მცირე ოდენობის ლიტერატურა მოიპოვება, არამედ იმიტომ, რომ ავტორებს რიგითი ადამიანების ცხოვრებაში ჩახედვა უნდოდათ. როგორ ართმევდნენ თავს ისინი, მათი ოჯახები და მეზობლები რევოლუციებს, ომებს, იდეოლოგიებს, ჯგუფთაშორის ურთიერთობებს, ეკონომიკურ კრიზისს, იძულებით თუ ნებაყოფლობით მიგრაციას საგანგებო, „ექსტრემალურ ხანაში“ (Eric Hobsbawm). რა გავლენას ახდენდა მათზე ეს მოვლენები? ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებთან გასამკლავებლად, რა არჩევანი ჰქონდათ მათ? და ბოლოს, რა გამოსავალს ირჩევდნენ ისინი, თუ საერთოდ არსებობდა ასეთი?

ერთობლივი ყოველდღიური თანაცხოვრების გამოცდილების შესწავლა მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას ადგილობრივ დონეზე, სადაც სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური წარმომავლობის ხალხი გვერდიგვერდ ცხოვრობდა. ამ ძირეული მიდგომის საშუალებით, ისტორიის გაკვეთილზე, მოსწავლეებს გავაცნობთ რიგით ადამიანებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და შევეცდებით მაქსიმალურად გამოვიყენოთ მათი გამოცდილება და მოვლენების აღქმა, ვაჩვენოთ მათი, ისტორიად გარდაქმნილი, გამოცდილებისა და მოგონებების მნიშვნელობა.

შესაბამისად, ავტორებს, რომლებიც მეტწილად ისტორიის მოქმედი მასწავლებლები არიან და არა მეცნიერები, მოუწიათ თავად ჩაეტარებინათ გარკვეული კვლევები. შედეგები ახალი სიტყვაა საქართველოს ისტორიაში, რაც ჯერ კიდევ დასაწერია, მაგრამ უკვე შეიძლება მათი გამოყენება საკლასო ოთახში, რომ გამძაფრდეს ინტერესი ისტორიის, როგორც წარსულის განსხვავებული კუთხით აღქმის კრეატიული პროცესის მიმართ. ეს წარმოადგენს ერთგვარ გზას, რომელიც მოსწავლეებს ისტორიის საგნის ხელახალი აღმოჩენის შესაძლებლობას სთავაზობს, საკუთრი კითხვების დასმისა და პასუხის საკუთარ თავში მოძიების გზით, ნაცვლად მეცნიერთა მიერ წინდაწინ გულმოდგინედ შედგენილი პასუხების შესწავლისა.

ჩვენ ორიენტირებულნი ვართ მე-20 საუკუნის საქართველოზე და ის თემები, რომლებსაც მოვიცავთ, სულ უფრო მეტად ხდება ისტორიის სასწავლო გეგმის ნაწილი.

მეთოდები და მიდგომები

ისტორიის სწავლებაში ტოლერანტობის საკვანძო ცნებას წარმოადგენს მულტიპერსპექტიულობა. ჩვენი ძირითადი დასკვნაა, რომ ისტორიკოსები თუ ისტორიის სახელმძღვანელოების ავ-

ტორები ისევე, როგორც მასწავლებლები, „ფაქტებს“ უბრალოდ კი არ გადმოვცემთ, არამედ ამ „ფაქტების“ შერჩევისა და დალაგების გზით, ვახდენთ მათ ინტერპრეტირებას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ყოველი ძალისხმევა, ვაქციოთ წარსული აღქმად და სინამდვილესთან შესატყვის ისტორიად, გადაჯაჭვულია იმ ადამიანის ხედვასთან, ვინც მის ინტერპრეტირებას ახდენს. ძალიან ხშირად, ეს ხედვა „ობიექტურ ჭეშმარიტებად“ გამოცხადებული ვარაუდის მიღმა არის დამალული და საჭიროა მისი გამოაშკარავება, რასაც ჩვენ ამ სამუშაო ფურცლებში ორი გზით ვცდილობთ:

- პირველი, თითოეული სამუშაო ფურცლის დასაწყისში მოცემული იქნება კონკრეტული ნაწილის **საკვანძო კითხვა**, რომელიც დაახუსტებს და მოსწავლის ყურადღებას მიაპყრობს თემას.
- მეორე, ავტორები შეეცადნენ მოეპოვებინათ მულტიპერსპექტიულობის ამსახველი წყაროებისა და საშუალებების ფართო სპექტრი, რომელთა გამოყენება მოსწავლეებს მისცემს საშუალებას, მრავალფეროვანი მტკიცებულებების საფუძველზე, საკუთარი დასკვნები გამოიტანონ და გაამყარონ, კარგად დამუშავებული არგუმენტების მოყვანით. შედეგად, მათ ჩამოუყალიბდებათ ისტორიის მნიშვნელობის გააზრების პროცესში არსებული განსხვავებული პოზიციების გაგების უნარი.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გავაძლიეროთ მოსწავლეებში ემპათია, ანუ შესაძლებლობა აღიარო, რომ ნებისმიერ ისტორიულ მოვლენასა თუ განვითარებასთან მიმართებაში შესაძლებელია მრავალფეროვანი ხედვის არსებობა და, რომ ეს განსხვავებული ხედვები ასახავს მრავალფეროვან და, ხშირ შემთხვევაში, თანაბრად ფასეულ გამოცდილებას, ვარაუდებს და რწმენებს. აზროვნების მზრივ, ეს დაეხმარება მოსწავლეებს სცნონ და მნიშვნელობა მიანიჭონ საპირისპირო არგუმენტებს, ფაქტებზე სხვადასხვა შეხედულების გარჩევის გზით, გამოავლინონ მცდარი აზრები და რწმენები, სტერეოტიპები წერილობით თუ ზეპირ გადმოცემებში თუ კონკრეტული მოვლენის/ვითარების ვიზუალურ გამოხატულებებში.

იდეალური იქნება, თუ მოსწავლე ისწავლის, როგორ გაიგოს და გამოიყენოს ისტორიის შესწავლის ძირითადი ცნებები, როგორიცაა ქრონოლოგია, უწყვეტობა და ცვლილება, მიზეზ-შედეგობრიობა, მნიშვნელობა, ეპოქის შეგრძნება. მოსწავლე უნდა მიხვდეს, რომ ისტორიულ მოვლენასთან სიახლოვე, მაგალითად, თვითმხილველის მონათხრობი, ყოველთვის არ უზრუნველყოფს უფრო ზუსტ და ნაკლებ ტენდენციურ აღწერას ან ცნობებს და არა მხოლოდ ისტორიული მონათხრობი არის დროებითი და ექვემდებარება ხელახალ შეფასებას, ახალი მტკიცებულების ან არსებული მტკიცებულების ახალი ინტერპრეტაციის ფონზე. საერთო ჯამში, ეს არის ტოლერანტობისთვის საკვანძო უნარი, რომელიც აუცილებელია ისეთ მულტიეთნიკურ საზოგადოებაში, როგორიც ქართულია.

შეუძლებელია ისტორიის გაგების და ამ კრიტიკული უნარების შექმნა, თუ მოსწავლე წინასწარ შეჯამებული ცოდნის მხოლოდ პასიურ მიმღებს წარმოადგენს. მასწავლებლის როლიც სასწავლო პროცესში ძირფესვიანად იცვლება, ამ ცოდნისა და დომინანტური ისტორიული ნარატივის მიმწოდებლიდან, ერთგვარ მარეგულირებელ ინსტრუქტორამდე, მოსწავლის მიერ ისტორიული პროცესის აღქმის საქმეში. ნაცვლად სწორი და არასწორი ფაქტების და ინტერპრეტაციების შესახებ დომინანტურ ცოდნაზე დაფუძნებული კითხვების დასმისა, მასწავლებელი უკვე აღარ ცდილობს მოსწავლეებს რაიმე მოახვიოს თავს, არამედ აქეზებს მათ მტიციებულეების ანალიზის შედეგად, რაიმე ისტორიული პროცესის შესახებ საკუთარი დასკვნები გამოიტანონ. სწორედ ასე გვესმის ჩვენ საკუთრივ მოსწავლეების მიერ ისტორიის აღქმის უნარის გაძლიერება. საამისოდ, აქ წარმოდგენილ მასალებზე სამუშაოდ, მოცემული სამუშაო ფურცლების ავტორები სხვადასხვა მეთოდებს მიმართავენ.

მეთოდებისა და მიდგომების შემდგომი განხილვისათვის ჩვენ გირჩევთ დაეყრდნოთ რობერტ სტრედლინგის წიგნებს (Stradling 2001 and Stradling 2003). ავტორი წარმოგვიდგენს ინოვაციურ ცნობარს, განკუთვნილს ისტორიის მასწავლებელთა, მასწავლებლების ინსტრუქტორთა, კურიკულუმების შემქმნელთათვის და ასევე მათთვის, ვინც დაინტერესებულია ისტორიის სწავლებით. როდესაც ის ხაზს უსვამს, თუ „როგორ“ ასწავლონ და არა „რა“ ასწავლონ, ის აქეზებს ისტორიის მასწავლებლებს გაიფართოვონ შეხედულებები ევროპის თუ მსოფლიო ისტორიის შესახებ და არ გამოიყენონ ისინი მხოლოდ თავიანთი ეროვნული წარსულის და საზრუნავის საილუსტრაციოდ.

წყაროები და რესურსები

მოცემული პუბლიკაცია ასახავს გადასვლას საყოველთაოდ მიღებული საავტარო ტექსტიდან სამუშაო ფურცლებზე, რომლებშიც გაერთიანებულია მასალები განსხვავებული წყაროებიდან (რუკები, ფოტოები, სტატისტიკური მონაცემები, ამონარიდები დოკუმენტებიდან, თვითმხილველთა ზეპირი და წერილობითი გადმოცემები, პლაკატები, კარიკატურები) და ასევე აუცილებელ ძირეულ ინფორმაციას.

მხოლოდ მასწავლებელი და სახელმძღვანელო აღარ წარმოადგენს ინფორმაციის წყაროებს, არამედ ნათესავეები და მეგობრები, როგორც ახლო წარსულის თვითმხილველნი, დოკუმენტური ფილმები ტელევიზიით, ინტერნეტი.

1995 წლის 16 ნოემბერს, იუნესკოს გენერალური კონფერენციის 5.61 რეზოლუციით, მიმტვეებლობის (ტოლერანტობის) პრინციპების დეკლარაცია დამტკიცდა. მე-6 მუხლში „ტოლერანტობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო“ დღე, წერია:

„სახოგადოებრიობის მობილიზაციის მიზნით, იმ საფრთხეებზე ყურადღების გამახვილებისათვის, რომლებიც მიუტევლობას თან სდევს და იმ საქმიანობის გაფართოებისა და გააქტიურებისათვის, რომელიც ხელს უწყობს მიმტვევებლობასა და მისი სულისკვეთებით აღზრდას, საზეიმოდ ვაცხადებთ **16 ნოემბერს ტოლერანტობის საერთაშორისო დღედ**, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება“. ამ დღეს, მსოფლიოს სხვა ხალხებთან ერთად, ჩვენი ქვეყანაც აღნიშნავს.

ცხადია, მასწავლებელი, რომელიც მოცემული სამუშაო ფურცლებით იხელმძღვანელებს, მიმტვევებლობის სულისკვეთების მატარებელი უნდა იყოს. დისკუსია ყოველ სათუთ თემაზე, რომელსაც სასწავლო ფურცლები მიეძღვნა და რომლებზეც მოსწავლეები კლასში იმსჯელებენ, მასწავლებელმა ამ სულისკვეთებით უნდა წარმართოს. კლასში მუშაობისას, ეს მისი უპირველესი ამოცანაა.

წინასწარ დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის.

ოლივერ რაისნერი,
ისტორიის დოქტორი, მთავარი რედაქტორი

ლიტერატურა

STRADLING 2001 – Robert Stradling: Teaching 20th Century European History. Strasbourg: Council of Europe, January 2001 (http://www.coe.ba/pdf/Strad_E.pdf1.pdf, 15.08.2011)

Russian version: Prepodavanie istorii Evropy v xx veke (http://www.coe.int/t/dg4/education/historyteaching/Source/Projects/DocumentsTwentyCentury/Handbook_ru.pdf, 15.08.2011)

STRADLING 2003 – Robert Stradling: Multiperspectivity in history teaching: a guide for teachers. Strasbourg: Council of Europe, November 2003 (<http://tandis.odihr.pl/documents/hre-compendium/CD%20SEC%202%20ENV/PARTNERS%20RESOURCES/CoE%20Multiperspectivity%20in%20history%20teaching%20ENG.pdf>, 15.08.2011)

Council of Europe – History Teaching website (http://www.coe.int/t/dg4/education/historyteaching/Default_en.asp, 15.08.2011)

http://www.mitost.org/typo3conf/ext/naw_securedl/secure.php?u=0&file=fileadmin/user_upload/Referate/BBuP/Robert_Stradling_Paper.pdf&t=1307557040&hash=00039ef9ebdd6eafe931909b4a03d545

შესავალი

პროექტის „ტოლერანტობის მშენებლობა ისტორიის სწავლების გზით“ დამატებითი სახელწოდება არის „როგორ ვასწავლოთ ისტორია მრავალკულტურულ და მრავალკონფესიურ გარემოში?“. იმისათვის, რომ ამ კითხვას პასუხი გავცეთ, საქართველოს როგორც ქართულ, ასევე, ყველა არაქართულ სკოლას ვთავაზობთ დამატებით სასწავლო მასალას „როგორ ვიცხოვრეთ ერთად XX საუკუნეში საქართველოში“. იმედი გვაქვს, ის შეავსებს იმ „თეთრ ლაქებს“, რომლებიც ჩვენი საერთო სამშობლოს XX საუკუნის ისტორიის სწავლებაში დღემდე არსებობს.

სამუშაო ფურცლების კრებული „როგორ ვიცხოვრეთ ერთად საქართველოში XX საუკუნეში“, ფაქტობრივად, არის თემატური ქრესტომათია, რომელიც სხვადასხვა სახის წყაროს აერთიანებს. წყარო კი არის ის რესურსი, რომელიც მოსწავლეს განუმტკიცებს და გაუმდიდრებს სახელმძღვანელოს საშუალებით მიღებულ ცოდნას, გაუღვიძებს ინტერესს საგნის მიმართ, გამოუმუშავებს კლასიფიკაციის, ანალიზისა და ფანტაზიის უნარს. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, აღძრავს მოტივაციას, აძლიერებს პასუხისმგებლობას და დამოუკიდებლობას, ავითარებს შემოქმედებით და პრობლემების გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, მოსწავლეები იყენებენ საკუთარ გამოცდილებას.

წერილობითი წყაროების წაკითხვა მოსწავლეებს ასწავლის მის სახელმძღვანელოდან ათვისებულ მასალასთან დაკავშირებას, ისტორიულ ტერმინოლოგიას და ცნებებს, ტექსტიდან ძირითადის გამოყოფას და სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის დაჯგუფებას, ამ წყაროებში გადმოცემული მონაცემების სანდოობას, მარტივ ანალიზს. წერილობით წყაროებზე მუშაობისას მოსწავლეებს უვითარდებათ ისეთი უნარ-ჩვევები, როგორებიცაა:

- ისტორიული ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
- ისტორიული დროის გაგება და ეპოქის განცდა
- კვლევა
- პრობლემის გააზრება, იდენტიფიკაცია და კავშირების დადგენა
- ანალიზი

ვიზუალურ წყაროებზე (პლაკატი, ფოტო, კინო) დაკვირვება მოსწავლეებს ასწავლის სახელმძღვანელოდან ნასწავლ მა-

სადასთან მათ დაკავშირებას, სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მოპოვებას და დაჯგუფებას, მარტივ ანალიზს.

ყოველი კონკრეტული გაკვეთილისთვის მასწავლებელი წინასწარ ამზადებს წერილობით ან ვიზუალურ წყაროებს, რომელსაც გამოიყენებს გაკვეთილის პროცესში; განსაზღვრავს აქტივობების თანამიმდევრობას და მოსწავლეთა ორგანიზების ფორმებს, მათი ჩატარების სავარაუდო დროს და შეფასების ხერხებს და კრიტერიუმებს.

ვინაიდან კრებულში „როგორ ვიცხოვრეთ ერთად XX საუკუნეში საქართველოში“ სამუშაო ფურცლები დაყოფილია ოთხ დიდ ჯგუფად, რომელშიც **29 სამუშაო ფურცელი** თემატურად არის განაწილებული, მასწავლებლებისათვის განკუთვნილ ამ გამოცემაშიც ასევე არის გაკეთებული. ეს ჯგუფებია: **მულტიეთნიკური საქართველო – 9 ფურცელი, ოჯახი და ყოველდღიური ცხოვრება – 7 ფურცელი, მიგრაცია – 7 ფურცელი და რელიგია – 6 ფურცელი.**

ყოველი სამუშაო ფურცელი ერთი ან მეტი (მე-9–10 და მე-12) კლასის **სასწავლო გეგმის სავალდებულო შინაარსსა და შესაბამის ინდიკატორებზე** გადის, რაც ყოველ ფურცელთან არის მითითებული. ამიტომ, მცირედი ცვლილებებით, მათი სხვადასხვა კლასში შესაფერის დროს შეტანა შეგიძლიათ.

ფურცლის **ანოტაცია** მისი შენაარსისა და მიზნის უკეთ გაცნობიერებაში დაგეხმარებათ. ასევე, ფურცელზე მუშაობის დაწყებამდე, იმისათვის, რომ მოსწავლეებს გაკვეთილის თემა გააცნოთ, მოცემულია **მოკლე ისტორიული ექსკურსი**. გამოყოფილია **ძირითადი ცნებები**, რომელთა ნაწილი, საჭიროებისამებრ, ახსნილია.

ასევე, **ახსნილია წყაროები**, მოცემულია ყოველი **დავალების სავარაუდო პასუხი** და ყოველ წყაროზე მუშაობის **რეკომენდაციები**. თუმცა, გვსურს ხაზი გავუსვათ იმას, რომ გაკვეთილის დაგეგმვა, მათ შორის, დროის განაწილება და სწავლების მეთოდების შერჩევა მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული და **სავალდებულო არ არის**.

მართალია, ლიტერატურა იმ საკითხებზე, რომლებიც სამუშაო ფურცლებშია წარმოდგენილი, უაღრესად მწირია, ყოველ გაკვეთილთან მითითებულია ბიბლიოგრაფია და ვებგვერდების მისამართები.

ყოველი გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელმა უნდა გაამრავლოს კონკრეტული სამუშაო ფურცელი, მოსწავლეთა

რაოდენობის მიხედვით. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა წყაროების გაცნობა და დავალებების შესრულება ერთ საგაკვეთილო დროში დამოუკიდებლად შეძლონ. ზოგიერთი ფურცლის (მიგრაციის ჯგუფიდან) დავალებების შესრულებისთვის დამატებითი მასალების გამრავლება დაგჭირდებათ.

სამუშაო ფურცლების შემდგენლებს, სარედაქციო კოლეგიას მასწავლებლებთან თანამშრომლობის დიდი იმედი აქვთ. თქვენი შენიშვნები, ახალი იდეები გათვალისწინებული იქნება სამუშაო ფურცლების მომდევნო გამოცემებში. ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებას მოგვცემს ჟურნალი „ისტორიკოსი“ და ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის ვებგვერდი (<http://www.imsa.ge>), რომლებიც ასევე იდეების ურთიერთგაზიარებაში დაგვეხმარება.

ავტორებისა და რედაქციის სახელით,

ელენე მექმარიაშვილი

პროფესორი, კოორდინატორი

ევროკელი/მატრას პროექტი „ტოლერანტობის მშენებლობა საქართველოში ისტორიის სწავლების გზით“

მულტიმენიკური საქართველო

სამუშაო ფურცელი 1. თბილისური ეზო

I. სტანდარტთან შესაბამისობა:

სამუშაო ფურცელი უკავშირდება X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: როგორ ვსწავლობთ ისტორიას:

ა) პირველადი და მეორადი წყაროები;

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ.X.6. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ისტორიული წყაროს ავტორის შესახებ და კრიტიკულად აფასებს, თუ რამდენად სანდოა იგი;
- განსაზღვრავს ისტორიული წყაროს შექმნის მიზანს - ავტორის მოტივაციას;
- ფლობს ინფორმაციას ისტორიული დოკუმენტის შექმნის თარიღისა და ადგილის შესახებ; წყაროს შეფასებისას მხედველობაში იღებს, თუ რამდენად არის დაშორებული იგი დროისა და ადგილის თვალსაზრისით მასში გადმოცემული ისტორიული მოვლენებისგან;
- პირველად წყაროებზე მუშაობისას მხედველობაში იღებს ისტორიული მოვლენის მონაწილეების განსხვავებულ ფასეულობებს, ინტერესებს, შეხედულებებს, მოტივებსა და სხვა ადამიანურ ფაქტორებს;
- აღიქვამს ისტორიულ ეპოქას: ა) აყალიბებს მისთვის საინტერესო ეპოქაში არსებულ ფასეულობებს, შეხედულებებსა და შესაძლებლობებს; აღწერს, თუ როგორ აღიქვამდნენ იმ პერიოდის ადამიანები თავიანთ ეპოქას; ბ) ცდილობს თავიდან აიცილოს წარსული ეპოქის მხოლოდ დღევანდელი გადასახედოდან შეფასება.

II. ანოტაცია

საკვანძო კითხვა: რას ნიშნავს „თბილისური ეზო“?

მოსწავლე გაიაზრებს, რა ისტორიულმა მოვლენებმა შეუწყო ხელი ე.წ. „შემოსავლიანი სახლების“ გაჩენას; როგორი იყო თბილისურ ეზოებში ყოველდღიური ცხოვრება; რა იყო ამ ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეები. მოსწავლეს მოუხდება თავისი დასკვნების გაკეთება იმ მასალაში, რომელსაც ვებგვერდისათვის მოამზადებს. ასევე, მოსწავლეები გაითამაშებენ სცენას თბილისური ეზოს ცხოვრებიდან.

განმაზოგადებელი კითხვა: რაში გამოიხატება თბილისური ეზოების განსაკუთრებული კოლორიტი?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

თბილისური ეზო ასოცირდება თბილისის ე.წ. ძველ უბნებში გავრცელებულ შიდა ეზოიან სახლებში მრავალეთნიკური მცხოვრებლების კეთილმეზობლურ ურთიერთობებთან. ამ, ძირითადად, ორ ან სამსართულიან მრავალბინიან სახლებს „შემოსავლიან სახლებს“ უწოდებდნენ. შემოსავლიანი სახლები, გასაქირავებელი ბინებით, ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გაჩნდა, რათა მეპატრონეებს სისტემატური ეკონომიკური შემოსავალი ჰქონოდათ. საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში ორი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა მოხდა: ერთი, საქართველომ მოკლე დროით მოიპოვა დამოუკიდებლობა, რომლის დროსაც შეინიშნებოდა ხანმოკლე ეკონომიკური განვითარება, რაც დაკავშირებული იყო კერძო საკუთრების განვითარებასთან; მეორე, საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და საბჭოთა მთავრობამ, რომელიც სოციალისტურ პრინციპებს ამკვიდრებდა, რუსეთის იმპერიაში არსებული მწვავე სოციალური პრობლემა – უბინაობა სწრაფად გადაჭრა. მან „შემოსავლიან სახლებში“ მცხოვრებ დამქირავებლებს ბინები დაუკანონა.

IV. ძირითადი ცნებები: მშვიდობიანი თანაცხოვრება, თბილისური ეზო, შემოსავლიანი სახლი, თბილისური კოლორიტი.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლე აანალიზებს პირველად წყაროებს, აფასებს მათ და მათი სანდოობის საფუძველზე ადადგენს ისტორიულ ვითარებას.

წინაპირობა: პირველადი წყაროების ანალიზისა და შეფასების უნარი

აქტივობები:

1. დაავალეთ მოსწავლეებს უპასუხონ საკვანძო კითხვას. დაწერეთ დაფაზე მათი პასუხების საკვანძო სიტყვები, ძირითადი იდეები.

2. დაყავით მოსწავლეები 5-6 კაციან ჯგუფებად და დაავალეთ გაეცნონ სამუშაო ფურცლის წყაროებს, შეასრულონ დავალებები და მოამზადონ ნამუშევარი საპრეზენტაციოდ. ინსტრუქციაში მოსწავლეებს განუმარტეთ, რომ ჯგუფის წევრებმა გაინაწილონ წყაროები და მათი დავალებები, შეასრულონ ისინი წყვილში ან დამოუკიდებლად. ხოლო თითოეულმა თავისი სამუშაოს დასრულების შემდეგ გააცნოს ნამუშევარი ჯგუფის წევრებს. საბოლოოდ კი, ჩამოაყალიბონ ჯგუფის ნამუშევრის შეჯერებული ვერსია.

3. გამოიკითხეთ მოსწავლეთა ჯგუფებში მომზადებული დავალები 3.4;

4. გაითამაშეთ ჯგუფებში შექმნილი სიუჟეტები დავალება 3.5-ის მიხედვით.

VII. პასუხები დავალებზე:

საკვანძო კითხვა: თბილისური ეხო ასოცირდება თბილისის ე.წ. ძველ უბნებში გავრცელებულ შიდა ეხოიან სახლებში მრავალეთნიკური მცხოვრებლების კეთილმეზობლურ ურთიერთობებთან.

დავალება 1.

1. ე.წ. „შემოსავლიანი სახლები“ არსებობდა შემდეგ უბნებში: ორთაჭალა, ხარფუხი, აბანოთუბანი, კალა, სოლოლაკი, კალთოთუბანი, გარეთუბანი, მთაწმინდა, ვერე, ნაწილობრივ დიდუბე, კუკია, ჩუღურეთი, რიყე, ისანი.

2. შემოსავლიანი სახლები გაჩნდა, რათა მეპატრონეებს სისტემატური ეკონომიკური შემოსავალი ჰქონოდათ. საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში ორი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა მოხდა: ერთი, საქართველომ მოკლე დროით მოიპოვა დამოუკიდებლობა, რომლის დროსაც ხანმოკლე ეკონომიკური აღმავლობა აღინიშნება, რაც დაკავშირებული იყო კერძო საკუთრების განვითარებასთან; მეორე, საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და საბჭოთა მთავრობამ, რომელიც სოციალისტურ პრინციპებს ამკვიდრებდა, რუსეთის იმპერიაში არსებული მწვავე სოციალური პრობლემა – უბინაობა სწრაფად გადაჭრა. მან „შემოსავლიანი სახლები“ მცხოვრებ დაქირავებულებს ბინები დაუკანონა.

დავალება 2.

უორდროპის გამონათქვამის მიხედვით, თბილისი მრავალეროვანი ქალაქია, სადაც ადამიანებს ეთნიკურობის ნიშნით არ გამოარჩევენ და ისინი თავს მშობლიური ქალაქის თანასწორუფლებიან მცხოვრებლებად მიიჩნევენ.

დავალება 3.

1. სახლების დაცულობა და სიმყუდროვის განცდა; კომუნიკაციის მაღალი ხარისხი; ბავშვების მხრიდან სხვადასხვა ენის ცოდნა;

2. „ვნათესავდებოდით ნათელმირონით; მამაკაცები ნარდის თამაშითა და ქეიფით ირთობდნენ თავს; ჩვენს ეხოში უკვე მერამდენე თაობა დაიბადა.“

3. „შემოსავლიანი სახლების“ არსებობა განაპირობებდა კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბებას მრავალეთნიკურ მცხოვრებლებს შორის, რადგან მათ საერთო ყოფითი პირობები და ინტერესები ჰქონდათ.

4. „თბილისური ეხო“ წარმოადგენს ქალაქის კოლორიტს, რომელსაც ქმნის ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობა თავისი

ყოველდღიური ცხოვრების პირობებში. აქ, ერთის მხრივ, დაცულია თითოეულის ეთნიკური თუ რელიგიური თვითმყოფადობა; ხოლო მეორე მხრივ, კულტურული ტრადიციების გაცნობისა და გაზიარების პირობებში იქმნება ის განუმეორებელი, სიცოცხლით და იუმორით სავსე ატმოსფერო, რომელმაც ხანგრძლივ ისტორიულ სირთულეებს გაუძლო.

5. ამ დავალების შესასრულებლად საჭიროა აირჩიოთ რომელიმე ყოფილი სცენის სიუჟეტი და შექმნათ შესაბამისი დიალოგი. მაგალითად, როგორ შეიპატიჟა სახლში პოლონელმა დიასახლისმა გარეთ დარჩენილი მოსწავლე და რით გაუმასპინძლდა მას; როგორ ეჯიბრებოდნენ დიასახლისები ერთმანეთს საკუთარი სარეცხის სიქათქათეში; რა დიალოგი გაიმართებოდა მონარდე მამაკაცებს შორის და როგორ გადაიზრდებოდა ის საღამოს ეხოს ქეიფში და სხვ.

სამუშაო ფურცელი 2. ჩავაბარეთ თუ არა ტოლერანტობის გამოცდა აბედიტობის ჟამს?

I. სტანდარტთან შესაბამისობა:

სამუშაო ფურცელი უკავშირდება X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: **როგორ ვსწავლობთ ისტორიას:**

- ა) პირველადი და მეორადი წყაროები;
- ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ.X.4. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს და შეაფასოს ისტორიული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ორ წყაროს, რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე გვაწვდის განსხვავებულ ინფორმაციას, ან გვაძლევს ისტორიული მოვლენის ან პიროვნების განსხვავებულ შეფასებას; მსჯელობს იმ ფაქტორებზე, რომლებმაც განაპირობა კონკრეტული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობა;
- ადარებს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე (პიროვნებაზე) არსებულ ორი (ან სამი) ისტორიკოსის განსხვავებულ თვალსაზრისს, კრიტიკულად აფასებს მას და აყალიბებს საკუთარ შეხედულებას ამ ისტორიული მოვლენის (პიროვნების) შესახებ;
- მსჯელობს ისტორიული ინტერპრეტაციის ჰიპოთეტურ ხასიათზე და აცნობიერებს, რომ ნებისმიერი ისტორიული ინტერპრეტაცია შეიძლება გადაფასდეს ახალი მასალის მოძიების (გამოქვეყნების) შემთხვევაში;
- ასხვავებს ისტორიულ ფაქტს ისტორიული ინტერპრეტაციისაგან.

II. ანოტაცია

საკვანძო კითხვა: შეიძლება თუ არა ეთნოკონფლიქტების ფონზე კეთილმეზობლობის შენარჩუნება?

მოსწავლე, კონფლიქტის ზონასთან მდებარე ერგნეთის ბაზრობის მაგალითზე, დაინახავს, როგორ უწყობდა ხელს სავაჭრო ურთიერთობა ურთიერთნდობის შენარჩუნებას ქართველებსა და ოსებს შორის, რატომ არ შეუშლია ხელი კონფლიქტს ამ ურთიერთობების განვითარებისთვის.

განმაზოგადებელი კითხვა: რამდენად შეიძლებოდა ერგნეთის ბაზრობის მსგავსი ადგილი ყოფილიყო კონფლიქტში მონაწილე მხარეების გამთიშველი და, ამავე დროს, გამაერთიანებელი?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მრავალეროვან საბჭოთა რესპუბლიკებში, მათ შორის, საქართველოში ეროვნებათაშორისი ურთიერთობები დაიძაბა. დაიწყო სეპარატისტული მოძრაობა, რასაც ძირითადად პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა. კონფლიქტის ერთ-ერთი კერა შიდა ქართლში, სამაჩაბლოში შეიქმნა, სადაც საბჭოთა პერიოდში შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი მდებარეობდა. მასში ქართველები და ოსები გვერდიგვერდ ათწლეულების მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ. 1990-იანი წლების დასაწყისში მომხდარი კონფლიქტის შედეგად, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის შეცდომებმაც შეუწყო ხელი, ცხინვალის რეგიონიდან არაერთი ქართული და ქართულ-ოსური შერეული ოჯახი დევნილად იქცა. თუმცა, ურთიერთობა ხალხებს შორის ბოლომდე არ გაწყვეტილა. ამის დამადასტურებელი ერგნეთის ბაზრობაც იყო. მოსწავლეებმა უნდა შეაფასონ ერგნეთის ბაზრობის როლი ამ ურთიერთობებში, გაარკვიონ ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელობა კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

IV. ძირითადი ცნებები: ეთნოკონფლიქტი, ტოლერანტობა, მშვიდობიანი თანაცხოვრება, ვაჭრობა, მეგობრობა.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლე აანალიზებს ერთი საკითხის განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და მსჯელობს მათ შესახებ, აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას აღნიშნულ საკითხზე.

წინაპირობა:

ქართულ-ოსური კონფლიქტის ცოდნა; წყაროებზე მუშაობის უნარი.

აქტივობები:

1. მინი-ლექცია საკითხზე ქართულ-ოსური კონფლიქტი.

2. დაწერეთ დაფაზე საკვანძო კითხვა: შეიძლება თუ არა ეთნოკონფლიქტების ფონზე კეთილმეზობლობის შენარჩუნება.

სთხოვეთ მოსწავლეებს განაწილდნენ ორ დიდ ჯგუფში:

ა) დადებით აზრის მქონე (ვინც კითხვას უპასუხა „დიახ“)

ბ) უარყოფითი აზრის მქონე (ვინც კითხვას უპასუხა „არა“)

დაავალეთ ჯგუფებში ჩამოაყალიბონ ერთი არგუმენტი საკუთარი პოზიციის სასარგებლოდ, დაწერონ ერთი-ორი წინადადებით და თითოეული ჯგუფის ერთმა წევრმა გააცნოს ის თანაკლასელებს.

3. დაავალეთ მოსწავლეებს წყვილებში გაეცნონ სამუშაო ფურცლებს და შეასრულონ დავალებები. დაავალეთ მოსწავლეებს შეაჯერონ თავისი ნამუშევრები 4 კაციან ჯგუფებში (გააერთიანეთ თანმიმდევრობით მსხდომი წყვილები) და ჩამოაყალიბონ დავალება 4-ის შეჯერებული ვერსია.

4. გამოიკითხეთ ჯგუფებში შემუშავებული შეჯერებული მოსაზრებები (დავალება 4). დაფაზე ჩამოწერეთ დავალება 4.3-ის პასუხები და კლასთან ერთად ჩამოაყალიბეთ „რეკომენდაცია“, რომელსაც გაუწევდით ხელისუფლებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

VI. წყაროების მოკლე მიმოხილვა

წყარო 1 ა და ბ ასახავს კონფლიქტის შემდგომ სურათს კონფლიქტის ზონის სოფლებში.

წყარო 2-ში გადმოცემულია ერგნეთის ბაზრობის როლისა და მნიშვნელობის ოფიციალური (ნეგატიური) შეფასება.

წყარო 3 და 4 მოსწავლეებს წარმოადგენს უქმნის ერგნეთის ბაზრობის მდებარეობაზე კონფლიქტის ზონის პირობით საზღვართან მიმართებაში.

წყარო 5 ა და ბ წარმოადგენს ერგნეთის ბაზრობაზე მომდინარე ვაჭრობის პროცესს.

წყარო 6 წარმოადგენს ერგნეთის ბაზრობის ერთ-ერთი მოვაჭრის, თბილისელი მოქალაქის მოგონებას, რომელიც აღწერს ურთიერთნდობას იმ ქართველებსა და ოსებს შორის, რომლებიც ბაზრობაზე საქმიანობდნენ.

წყარო 7 - ხელისუფლების პოზიცია კონფლიქტის ზონაში ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით, რაშიც, ამ პოზიციის მიხედვით, დიდ როლს ასრულებდა კონტრაბანდული საქმიანობა.

წყარო 8. ფოტოზე ასახულია 2004 წელს გაუქმებული ერგნეთის ბაზრობის სურათი.

წყაროები 9-12 ასახავს ხელისუფლების, ადგილობრივი მცხოვრების, ერთ-ერთი დამოუკიდებელი ექსპერტისა და ერთ-ერთი ჟურნალისტის დამოკიდებულებებს ერგნეთის ბაზრობის დახურვის ფაქტისადმი. პოზიციები პრინციპულად განსხვავებულია.

VII. პასუხები დავალებებზე

საკვანძო კითხვა: ძალიან რთულია, თუ შეუძლებელი არა, ეთნოკონფლიქტების ფონზე კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება, რადგან ამ ტიპის კონფლიქტი პიროვნულ ურთიერთობებში // კონფლიქტში გადადის. ძნელია, პირადი შეურაცხყოფის, დანაკარგის (მორალური, მატერიალური) პატიება, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც კონფლიქტის დროს ადამიანების სიცოცხლეა ხელყოფილი.

საბოლოოდ, ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარება შეიძლება, გააჩნია ადამიანები // პოლიტიკოსები როგორ წარმართავენ პროცესს. მოსწავლეებმა შეიძლება ისტორიიდან მოიტანონ სხვადასხვა მაგალითი, როცა მწვავე კონფლიქტებისა და ომების მონაწილე მხარეები პარტნიორებად // მოკავშირეებად იქცნენ.

დავალება 1.

წყარო 1-ის (გვ.10) მიხედვით ჩანს, რომ დანგრეული და დამწვარი საცხოვრებელი სახლები და კარ-მიდამო, დარბეულია ადამიანთა ბინა და აუფჯი. სავარაუდოდ, მატერიალური ზარალის გარდა ადამიანებმა განიცადეს შეურაცხოფა, დამცირება, შიში, შურისძიების სურვილი. შეუძლებელია იმის განსზღვრა, რამდენი ტრაგედია მოჰყვა ამ კონფლიქტს: ობლად დარჩენილი ბავშვები და უმწეო მოხუცები და სხვ. მოსწავლეები იმსჯელებენ იმაზე, თუ რა მოვლენების შედეგია ასახული ფოტოებზე. მასწავლებელმა მსჯელობა უნდა წარმართოს იქითკენ, რომ მოსწავლეები მივიდნენ დასკვნამდე: ომი ერთნაირად დამანგრეველი და მტკივნეულია მასში მონაწილე ყველა მხარისათვის. წყარო 1 ა-ზე არ არის აღნიშნული, ქართული სოფელია ეს თუ ოსური, არც რაიმე ნიშანი განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან. ერთნაირადაა დანგრეული სახლები, განადგურებული მეურნეობა, რაც მთავარია, კადრს მიღმა დარჩენილი არიან ადამიანები, რომლებიც ამ კონფლიქტს ემსხვერპლნენ. კადრს მიღმა დარჩა ისიც, როგორ იქცნენ მტრებად მეზობლები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ერთმანეთის ჭირსა და ღხინს იზიარებდნენ.

დავალება 2.

1. წყარო 3-ის (გვ.11) მიხედვით თვალსაჩინოა, რომ ერგნეთის ბაზრობის ადგილმდებარეობა ხელსაყრელი იყო ქართველი და ოსი მოსახლეობისთვის, რადგან ორივე მხრისთვის ადვილად მისადგომი იყო (დასახლებულ პუნქტებთან სიახლოვე)

წყარო 4-ის (გვ.11) მიხედვით თვალსაჩინოა, რომ ერგნეთის ბაზრობას მისადგომად მოხერხებული მდებარეობა აქვს, გაშლილი და გზებით დასერილი ადგილია. აქ თავისუფლად შესაძლებელი ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების (ტრაილერები, სატვირთო და მსუბუქი მანქანები) გამოყენება.

წყაროების 3 და 4 საფუძველზე, მოსწავლე აკონკრეტებს,

რომ ერგნეთის ბაზრობა უშუალოდ კონფლიქტის ზონასთან მდებარეობს. მან ეს იმით უნდა ახსნას, რომ სწორედ ეს ადგილი იყო ყველაზე ხელსაყრელი და ადვილად მისაღვამი გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანებისათვის. ბაზრობის სტიქიურად წარმოშობის შესახებ მსჯელობის საფუძველს იძლევა მისი მოუწესრიგებელი სტრუქტურა, რაც ჩანს როგორც ადგილმდებარეობის რუკაზე, ასევე სატელიტურ სურათზე.

წყარო 5-ის მიხედვით თვალსაჩინოა, რომ ერგნეთის ბაზრობაზე სავაჭრო საქონლისა და მოვაჭრეთა სიუხვეა. ა და ბ ფოტოები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ეს ჩვეულებრივი, მშვიდობიანი ყოველდღიური ცხოვრებაა და მას წინ არავითარი კონფლიქტი არ უძღოდა.

წყაროების 3, 4, 5 (გვ.11) ანალიზის შედეგად შეიძლება ასე ავხსნათ ერგნეთის ბაზრობის არსებობა: ადგილობრივი მოსახლეობის (ქართული და ოსური) საყოფაცხოვრებო პირობებში (კონფლიქტში ორივე მხარემ დიდი მატერიალური ზარალი ნახა) გააჩინა ყოველდღიური მოხმარების და სხვ. საგნებზე მოთხოვნილება. კონფლიქტის „ჩაწყენარების“ შემდეგ მოსახლეობამ „სტიქიურად“ // თავისთავად მოძებნა სავაჭროდ // გაცვლა-გამოცვლისთვის // ბარტყრული ურთიერთობისთვის ყველაზე მოხერხებული შეხვედრის ადგილი. რადგან ერგნეთის ბაზრობის წარმოშობის „ინიციატორი“ მოსახლეობა იყო, ამიტომ ის შეიძლება მივიჩნიოთ სახალხო ბაზრობად.

2. წყარო 5 ა (გვ.11). ფოტოზე ჩანს ქალბატონი, რომელიც მოვაჭრეთა სიახლოვეს დგას. უკან კი ჩანს დახლები, რომლებზეც გამოყვანილია ე.წ. ბოტები და სხვა სახის ფეხსაცმელი. ჩანს, რომ სავაჭრო საქონელი საკმაოდ დიდი რაოდენობითაა დასაწყობებული, რაც სტაბილურ გარემოზე მეტყველებს.

წყარო 5 ბ (გვ.11). ფოტოზე ჩანს, როგორ ვაჭრობს ორი მამაკაცი სპეციალურად აწყობილ საზიდარზე დალაგებული საყოფაცხოვრებო საქონლით. უკან ჩანს სავაჭროდ გამართული, დაცული ფარდულები, სადაც ყოველდღიური მოხმარების სხვადასხვა საქონელი იყიდება.

გარეშე დამკვირვებელზე ფოტოები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მოვაჭრეები კეთილგანწყობილნი არიან ერთმანეთის მიმართ და ეს მათი ყოველდღიურობაა.

დავალება 3.

წყაროებიდან ჩანს ერგნეთის ბაზრობის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება: სახელმწიფო ორგანოების მხრიდან - უარყოფითი, საზოგადოების წარმომადგენლის მხრიდან - დადებითი.

საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებისათვის მოსწავლემ უნდა განიხილოს ორივე მხარის არგუმენტები: რესპონდენტი ხაზს უს-

ვამს პირად ურთიერთობათა, ურთიერთნდობის მნიშვნელობას, იმას, რომ სხვადასხვა მხარეს მყოფი ადამიანები, კონფლიქტის გამოცდილების მიუხედავად, ერთმანეთს უმოყვრდებიან; სახელმწიფო სტრუქტურებისათვის კი უმთავრესია ის, რომ ეს იყო კონტრაბანდული ვაჭრობის ადგილი, რაც მთავარია, აქედან ვრცელდებოდა ნარკოტიკები და იარაღი. მოსწავლეები უნდა შეეცადონ განსაზღვრონ, რომელ არგუმენტს მიიხნევენ უფრო მნიშვნელოვნად და დაასაბუთონ არჩევანი.

დავალება 4.

1. დავალება წარმოადგენს როლურ თამაშს. თითოეულმა ჯგუფმა უნდა დაასახელოს რაც შეიძლება მეტი არგუმენტი საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად.

2. მოსწავლეები მსჯელობენ, რომელი მიდგომა იქნებოდა უფრო სასარგებლო სახელმწიფოს ინტერესებისათვის. ბაზრობის გაუქმების მომხრეთა ზოგიერთი არგუმენტი: ერგნეთიდან შემოდის კონტრაბანდა, ვრცელდებოდა ნარკოტიკები, იარაღი, საქართველოს ბიუჯეტი ზარალდებოდა. მოწინააღმდეგეთა ზოგიერთი არგუმენტი: ეს იყო ქართველებისა და ოსების შეხვედრის და თანამშრომლობის ადგილი, ურთიერთნდობის აღდგენის საშუალება, ხელს უწყობდა ლარის ბრუნვას კონფლიქტის ზონაში.

ამ დავალებამ მოსწავლეებს უნდა გამოუშუშავოს განსხვავებული აზრის პატივისცემისა და კონსენსუსის ძიების უნარი.

სამუშაო ფურცელი 3. დუხობორები საქართველოში

სტანდარტთან შესაბამისობა:

I. სამუშაო ფურცელი უკავშირდება

ა) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **როგორ ვსწავლობთ ისტორიას:**

ა) პირველადი და მეორადი წყაროები;

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ.X.7. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული კვლევის დაგეგმვა და ჩატარება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- დამოუკიდებლად ან მასწავლებლის დახმარებით ირჩევს საკვლევად მისთვის საინტერესო ისტორიულ საკითხს
- მომავალი გამოკვლევის თემის დაკონკრეტების მიზნით არჩეულ ისტორიულ საკითხზე ეცნობა ერთ ან ორ ზოგადი ხასიათის სტატიას

- განსახდვრავს, თუ რა ტიპის კვლევის ჩატარებას აპირებს - დაეყრდნობა მისი გამოკვლევა მხოლოდ მეორად წყაროებს, თუ მას დასჭირდება როგორც პირველადი, ასევე მეორადი წყაროების გამოყენება;

- კვლევის პროცესში იყენებს სხვადასხვა ტიპის დიაგრამებს ისტორიული წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის განმარტებისა თუ ილუსტრაციის მიზნით;

ბ) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემებს:

იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი – საქართველო რუსეთის შემადგენლობაში, მ.ვორონცოვის რეფორმები)

ტოტალიტარიზმი მსოფლიოში: სტალინი - საბჭოთა კავშირი (საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში)

ისტ. XII.7. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა რელიგიის მნიშვნელობაზე, XIX და XX სს.-ში მსოფლიოსა და საქართველოზე მისი გავლენის შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

მსჯელობს რელიგიის, როგორც იდენტობის ერთ-ერთ საშუალების, მნიშვნელობაზე თანამედროვე მსოფლიოში.

II. ანოტაცია

საკვანძო კითხვა: როგორ შეძლეს დუხობორებმა თვითმყოფადობის შენარჩუნება XX საუკუნის საქართველოში?

მოსწავლე გაიაზრებს, როგორ მოახერხეს დუხობორებმა თავიანთი ტრადიციული მეურნეობის დარგებისა და ყოფის შენარჩუნება სამცხე-ჯავახეთში, რა იყო დუხობორების დასახლებებში ყველაზე მნიშვნელოვანი: მეურნეობა, ენა, რელიგია თუ სხვ., რა გავლენა იქონია მე-20 საუკუნის მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მათ ცხოვრებაზე საქართველოში.

განმაზოგადებელი კითხვა: რა უწყობდა ხელს მცირერიცხოვანი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების თვითმყოფადობის შენარჩუნებას?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

– მეფის რუსეთიდან რელიგიურ ნიადაგზე დევნილი დუხობორები საქართველოში XIX საუკუნეში კომპაქტურად დასახლდნენ. ქართველებთან და ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ეროვნების ხალხებთან ერთად, მათაც შეეხო XX საუკუნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვ. კატაკლიზმები. მიუხედავად ყველაფრისა, მათ მოახერხეს თავიანთი თვითმყოფადობის შენარჩუნება, რასაც არაერთი მიზეზი ჰქონდა და რასაც მოსწავლეები მოცემული სამუშაო ფურცლის დახმარებით გაარკვევენ.

IV. ძირითადი ცნებები: თვითმყოფადობა, სამეურნეო ტრადიციები, რელიგიური სექტა, ენა, კულტურული ტრადიციები.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლე იკვლევს ისტორიულ საკითხს, ეცნობა საკითხთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტიპის წყაროებს, ანალიზებს მათ და წერს ნაშრომს გარკვეული პუნქტების დაცვით.

წინაპირობა:

XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ცოდნა.

აქტივობები:

1. დაყავით მოსწავლეები რამდენიმე ჯგუფად და დაავალეთ უპასუხონ საკვანძო კითხვას. დაუაზუ დაწერეთ ჯგუფების პასუხები.

2. დაავალეთ ჯგუფებს გაეცნონ სამუშაო ფურცელს, შეასრულონ მოცემული დავალებები და მასალის ანალიზის შედეგად დაწერონ კვლევა: „როგორ შეინარჩუნეს იდენტობა დუხობორებმა საქართველოში“. კვლევაში განხილული უნდა იყოს შემდეგი საკითხები (თითოეული საკითხი უნდა მოიცავდეს არაუმეტეს 100 სიტყვისა):

- ვინ არიან დუხობორები (ეთნიკური და რელიგიური იდენტობა)
- მათი გადასახლების ისტორია საქართველოში
- მათი განსახლების არეალი საქართველოში
- დუხობორების ტრადიციული ცხოვრების წესი
- დუხობორების იდენტობის შენარჩუნების ტენდენციები XIX-XX საუკუნეების საქართველოში.

3. გამოიკითხეთ ჯგუფებში დაწერილი კვლევა ან მხოლოდ მისი ბოლო ნაწილი და შეაჯერეთ ჯგუფებში ჩამოყალიბებული მოსახრებები.

VI. წყაროების მოკლე მიმოხილვა

წყარო 1 მოცემულია ინფორმაცია საქართველოში დუხობორების მოსვლისა და დამკვიდრების შესახებ.

წყარო 2 ახასიათებს დუხობორებს როგორც დისციპლინის მოყვარულ ხალხს, რაც საბჭოთა კოლექტივიზაციის პერიოდში მათ კოლმეურნეობებს მომგებიანს ხდიდა.

წყარო 3 და 4 აღწერს დუხობორების კულტურულ და რელიგიურ ცხოვრებას.

წყარო 5 წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში დუხობორების განსახლების რუკას.

წყარო 6 წარმოადგენს დუხობორების რაოდენობის დინამიკას საქართველოში 1841-1937 წლებში.

წყარო 7-ში მოცემულია დუხობორი მოსახლეობის სტატისტიკა ნინოწმინდის რაიონში 1990-2010 წლებში

VII. პასუხები დავალებებზე:

საკვანძო კითხვა:

დუხობორებმა თვითმყოფადობის შენარჩუნება მოახერხეს ენის, კულტურული ტრადიციების, ცხოვრების ტრადიციული წესის, ადგილობრივ მოსახლეობასთან არ შერევის (ქორწინებები ხდებოდა დუხობორებს შორის), რელიგიის დაცვის გზით.

დავალება 1.

მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ სექტანტების დევნა რუსეთში, ხელისუფლების სურვილი - გაეთავისუფლებინა მათგან ცენტრალური გუბერნიები და განაპირა მხარეებში დაესახლებინა.

ცხენების მოშენება, მეცხვარეობა, ყველის წარმოება. სამცხე-ჯავახეთის ბუნებრივი პირობები (საძოვრების სიმრავლე) საშუალებას აძლევდა დუხობორებს გაეგრძელებინათ მეურნეობის ტრადიციული დარგების წარმოება.

დავალება 2.

მოსწავლემ უნდა დაასახელოს მე-20 საუკუნის 30-იანი წლები.

დავალება 3.

მოსწავლემ უნდა დაასახელოს რელიგია და მეურნეობა.

მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, ათეიზმის როგორც სახელმწიფო პოლიტიკის დამკვიდრება და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

მოსწავლემ, ზოგადი ცოდნის (ისტორიიდან, ლიტერატურიდან) საფუძველზე უნდა იმსჯელოს, რა შეიძლება შეცვლილიყო დუხობორების ცხოვრებაში დასახელებული პოლიტიკური მოვლენების ზეგავლენით, მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ისინი თავისუფლად ვერ ადასრულებდნენ რელიგიურ რიტუალებს; დამყარდა ახალი - საბჭოების მმართველობა; კოლექტივიზაციის წლებში შეიცვალა მათი შრომითი საქმიანობა - ისინი კოლექტიური მეურნეობების წევრები გახდნენ და, ალბათ, მათზე იგივე წესები ვრცელდებოდა, რაც საქართველოს სხვა სოფლების მცხოვრებლებზე.

დავალება 4.

სპასოვკა, ორლოვკა, ყვრემოვკა, სამეხა, აგრეთვე, ახალქალაქი, დმანისი, ვაკე.

დავალება 5.

სავარაუდო კითხვები, რომლებიც შეიძლება მოსწავლეებს გაუჩნდეთ: რა განაპირობებდა დუხობორების რიცხვის ზრდას საქართველოში 1841-დან 1887 წლამდე, შემდეგ კი - მის შემცირებას? რატომ იკლო მკვეთრად დუხობორების რიცხვმა საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდში?

სამუშაო ფურცელი 4. „კავკასიური ეზო“ სოფელ ბარაღეთში

სტანდარტთან შესაბამისობა:

I. სამუშაო ფურცელი უკავშირდება

ა) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **დამოუკიდებელი საქართველო. ისტ. IX.6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საქართველოში არსებული რელიგიებისა და მათი აქ გავრცელების ისტორიული მიზეზების შესახებ.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადგენს საქართველოში სხვადასხვა ეპოქაში არსებული რელიგიებისა და კონფესიების სიას და მსჯელობს მათი ურთიერთობების შესახებ როგორც ერთმანეთთან, ასევე, სახელმწიფოსთან;

ბ) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **დამოუკიდებელი საქართველო.**

ისტ. XII.7. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა რელიგიის მნიშვნელობაზე, XIX და XX სს მსოფლიოსა და საქართველოზე მისი გავლენის შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს, თუ როგორ იცვლებოდა დამოკიდებულება საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში და რა გავლენას ახდენდა ეს ცვლილებები ქვეყნის კულტურულ განვითარებაზე;

II. ანოტაცია

საკვანძო კითხვა: რამდენად იყო სოფელი ბარაღეთი XX საუკუნის საქართველოში „კავკასიური ეზოს“ მაგალითი?

მოსწავლე გაიაზრებს, რას ნიშნავს „კავკასიური ეზო“, რა უწყობდა და დღესაც უწყობს ხელს ქართველთა და სომეხთა მშვიდობიან თანაცხოვრებას ჯავახეთის სოფელ ბარაღეთში: შრომის პროცესი, ღვთისმსახურება, მეზობლური ურთიერთობა, კანონმდებლობა თუ სხვ.

განმაზოგადოებელი კითხვა: რატომ ითვლება „კავკასიური ეზო“ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ურთიერთპატივისცემის სიმბოლოდ?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი – სამცხე-ჯავახეთის, არაერთ სოფელში ათწლეულების მანძილზე შერეული მოსახლეობა ცხოვრობს. ამ სოფლებს შორის არის ბარაღეთი, სადაც ქართველების გვერდით სომეხები ცხოვრობენ. ზოგადად,

მთელ კავკასიაში სოფლების თუ სხვა დასახლებული პუნქტების უმრავლესობა მრავალეთნიკურია და, ისტორიულად, როგორც წესი, იქ ერთაშორისი კონფლიქტები არ ყოფილა. XX საუკუნეშიც „კავკასიური ეზო“ ამ რეგიონში მცხოვრები ხალხების მშვიდობიანი თანაარსებობის ერთ-ერთი სინონიმია.

IV. ძირითადი ცნებები: მშვიდობიანი თანაცხოვრება, კულტურული ტრადიციები, „კავკასიური ეზო“

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლე აყალიბებს არგუმენტებს საკუთარი თეზისის სასარგებლოდ და მონაწილეობს დისკუსიაში

წინაპირობა:

XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ცოდნა.

აქტივობები:

1. დაავალეთ მოსწავლეებს საკუთარი სიტყვებით განმარტონ „კავკასიური ეზოს“ მნიშვნელობა.

2. დაავალეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად გაეცნონ სამუშაო ფურცელს და შეასრულონ დავალებები 1; 2 და 3-ის 1 და 2.

3. დაავალეთ მოსწავლეებს ჩამოაყალიბონ საკუთარი პოზიცია სადისკუსიო საკითხთან // კითხვასთან დაკავშირებით.

4. სთხოვეთ მოსწავლეებს დაჯგუფდნენ საკუთარი პოზიციის დასაცავად:

ა) ჯგუფი მიიჩნევს, რომ მშვიდობიან ცხოვრებას უზრუნველყოფს კანონმდებლობა;

ბ) ჯგუფი მიიჩნევს, რომ მშვიდობიან ცხოვრებას უზრუნველყოფს ცხოვრებისეული გამოცდილება.

დაავალეთ ჯგუფებს „აღმოაჩინონ“ და მოკლედ ჩამოაყალიბონ „მეორე“ მოსაზრების სუსტი მხარე.

5. წარმართეთ საკლასო დისკუსია წესების დაცვით (ჯგუფის ლიდერის არჩევა; შეთანხმება დისკუსიაში მონაწილეთა რეგლამენტზე და სხვ.)

VI. წყაროების მოკლე მიმოხილვა

წყარო 1 - ციტატა საქართველოს კონსტიტუციიდან საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობის შესახებ, მიუხედავად ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა.

წყარო 2 წარმოადგენს ინტერვიუს სოფელ ბარაღეთის სომეხი ეროვნების მცხოვრებთან, რომელიც აღწერს ქართველებისა და სომეხების მეგობრულ თანაცხოვრებას სოფელში.

წყარო 3-ის სამ ფოტოზე გამოსახულია ბარაღეთის საკულტო ნაგებობები.

VII. პასუხები დავალებზე:

სამოტივაციო დავალება:

„კავკასიური ეზო“ შეიძლება ნიშნავდეს კეთილმეზობლურ ურთერთობებს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს შორის.

საკვანძო კითხვა: *სამუშაო ფურცლის სათაურიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, ბარალეთის მოსახლეობა სწორედ „კავკასიური ეზოს“ მაგალითი იყო.*

დავალება 1.

ხაზი უნდა გაუსვან შემდეგ სიტყვებს: საქართველოს მოქალაქეები თანასწორნი არიან. ... მიუხედავად ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განაწილდნენ თანაბრად კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

დავალება 2.

ამოსაწერი ფაქტები: აქ ოდითგან გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სომხები და ქართველები... [სოფლის მცხოვრებლები განსხვავდებოდნენ სარწმუნოებით], მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ერთად ცხოვრებას. დაბალი სახლების ფონზე ამაყად დგას ქართული და სომხური ეკლესიები, როგორც მშვიდობისა და სიყვარულის, სიკეთისა და კეთილშობილების გარანტია... ქართველები და სომხები გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ... ვერავინ გაიხსენებს ერთაშორის კონფლიქტებს და დაძაბულობას. ჩვენი სოფელი ტრადიციებისა და რელიგიური ურთიერთპატივისცემის ცოცხალი მაგალითია.

ზემოთ მოტანილი ფრაზებიდან მოსწავლემ შეიძლება აირჩიოს ნებისმიერი ფრაზა.

ყველა შინაარსობრივად გამართული წინადადება.

დავალება 3.

1) თვალსაჩინოა, რომ ორივე ქრისტიანული ეკლესიაა, თუმცა მათ შორის არსებობს არქიტექტურული სხვაობა. ეს, ალბათ, გამოწვეულია სხვადასხვა კულტურული მემკვიდრეობით.

ფრაზა ინტერვიუდან: ქართული და სომხური ეკლესიები სოფელში დგას, როგორც მშვიდობის, სიყვარულისა და კეთილშობილების გარანტია.

სამუშაო ფურცელი 5. „ცხინვალი 1990-იანი წლების დასაწყისამდე – ერთიანობა მრავალფეროვნებაში“

სტანდარტთან შესაბამისობა:

I. სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო

შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: **როგორ ვსწავლობთ ისტორიას:**

ა) პირველადი და მეორადი წყაროები;

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ. X.6. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლეს:

- მსჯელობს პირველად და მეორად წყაროებზე;
- გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ისტორიული წყაროს ავტორის შესახებ და კრიტიკულად აფასებს, თუ რამდენად სანდოა იგი
- განსაზღვრავს ისტორიული წყაროს შექმნის მიზანს - ავტორის მოტივაციას
- ფლობს ინფორმაციას ისტორიული დოკუმენტის შექმნის თარიღისა და ადგილის შესახებ; წყაროს შეფასებისას მხედველობაში იღებს, თუ რამდენად არის დაშორებული იგი დროისა და ადგილის თვალსაზრისით მასში გადმოცემული ისტორიული მოვლენებისგან;
- განასხვავებს იმ ინფორმაციას, რომლის მოწოდებაც წყაროს ავტორის უპირველესი მიზანია, წყაროში არსებული ყველა სხვა ცნობისაგან
- პირველად წყაროებზე მუშაობისას მხედველობაში იღებს ისტორიული მოვლენის მონაწილეების განსხვავებულ ფასეულობებს, ინტერესებს, შეხედულებებს, მოტივებსა და სხვა ადამიანურ ფაქტორებს;
- აღიქვამს ისტორიულ ეპოქას: ა) აყალიბებს მისთვის საინტერესო ეპოქაში არსებულ ფასეულობებს, შეხედულებებსა და შესაძლებლობებს; აღწერს, თუ როგორ აღიქვამდნენ იმ პერიოდის ადამიანები თავიანთ ეპოქას; ბ) ცდილობს თავიდან აიცილოს წარსული ეპოქის მხოლოდ დღევანდელი გადასახედოდან შეფასება.

II. ანოტაცია

საკვანძო კითხვა: როგორ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ცხინვალში 1990–იანი წლების დასაწყისამდე?

მოსწავლეები გახდებიან „კვლევითი ჯგუფის წევრები“ და იმუშავებენ პროექტზე, რომლის მიზანია იპოვონ პასუხი კითხვაზე: რა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ადამიანებს ცხინვალში მშვიდობიანი ცხოვრებისას? მათ მოუწევთ სხვადასხვა სახის, მათ შორის, ადგილობრივი მცხოვრებლების ინტერვიუების გაანალიზება და საკუთარი დასკვნების გაკეთება.

განმაზოგადოებელი კითხვა: რა აერთიანებდა ცხინვალის მცხოვრებლებს 1990–იანი წლების დასაწყისამდე?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი – ცხინვალის ისტორია (დამატებითი მასალა მინი-ლექციისთვის)

ცხინვალი – რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი საქართველოში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ყოფილი ცხინვალის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. 1934-1961 წლებში ქალაქს სტალინირი ერქვა. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, დიდი ღიახვის ხეობაში, ზღვის დონიდან 870 მ სიმაღლეზე. მოსახლეობა 42 ათასი (1989 წ.). სახელი წარმოსდგება მცენარე რცხილადან, ძველი ქართულით ქრცხილა, აქედან ქრცხინვალი.

დღევანდელი ცხინვალის ტერიტორია პირველად ბრინჯაოს ხანაში დასახლდა. არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი ნაშთები და საყოფაცხოვრებო ნივთები უნიკალურია იმ მოსაზრებით, რომ მათში აშკარაა გავლენა როგორც იბერიული ისე კოლხური კულტურების, შესაძლო სარმატული ელემენტებით.

პირველი ქრონიკები ცხინვალზე ქართულ წყაროებში თარიღდება 1398 წლით, როგორც სოფელი ქართლში, თუმცა უფრო გვიანდელი წყარო მოიხსენიებს III საუკუნის იბერიის მეფე ასუაგურის მიერ ამ ადგილას ციხე-სიმაგრის დაარსებას. XVIII საუკუნის დასაწყისისთვის ცხინვალი იყო სამეფო დაქვემდებარების მცირე ქალაქი, რომელიც ძირითადად სამონასტრო ბერებით იყო დასახლებული. ცხინვალი რუსეთის იმპერიამ შეიერთა დანარჩენ აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად 1801 წელს. მდებარეობდა რა სავაჭრო გზაზე, რომელიც აკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიას თბილისსა და გორთან, ცხინვალი თანდათან კომერციულ ქალაქის ტიპის დასახლებად გადაიქცა შერეული ებრაული, ქართული, სომხური და ოსური მოსახლეობით.

საქართველოს რუსეთისგან დამოუკიდებლობის პერიოდში 1918-20 წლებში აქ მოხდა შეტაკებები საქართველოს ეროვნულ გვარდიასა და პრობოლშევიკურ ოსურ აჯანყებულ გლეხებს შორის. საბჭოთა წყობა დამყარდა 1921 წლის მარტში შემოსული წითელი არმიის მიერ, ხოლო ერთი წლის შემდეგ, ცხინვალი ახლად ჩამოყალიბებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქი გახდა საქართველოს სსრ-ის ფარგლებში. შემდგომში საბჭოთა კოლექტივიზაციის” პოლიტიკისა და ინტენსიური ურბანიზაციის შედეგად ქალაქი მეტწილად გარშემო მდებარე სოფლებიდან მიგრირებული ოსი ეროვნების მოსახლეობით დასახლდა.

1770 წელს ქალაქში 700 კომლი ცხოვრობდა. „დიდი ღიახვის კიდეხედ, არს მცირე ქალაქი ქრცხინვალი, კეთილ ჰაეროვანი, მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი“ – აღნიშნავდა ვახუშტი მის შესახებ. ეს თავისებურება შენარჩუნებული იქნა XX საუკუნის 20-იან წლებამდე. შემდგომში დემოგრაფიული

სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა.

საბჭოთა პერიოდში ქალაქი ძირითადად ინდუსტრიული ცენტრი იყო ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხნებითა და საფეიქრო ფაბრიკებით. გაჩნდა ასევე რამდენიმე კულტურულ-საგანმანათლებლო კერაც, მათ შორის სახელი გაითქვა პედაგოგიურმა ინსტიტუტმა (ამჟამად ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და დრამატულმა თეატრმა.

ქართულ-ოსური კონფლიქტის გამწვავების პერიოდში ცხინვალში ეთნიკური დაძაბულობა და შეიარაღებული კონფრონტაცია მიმდინარეობდა. 1992 წელს სოჭში დადებული შეთანხმებით ცხინვალი ოსი სეპარატისტების ხელში დარჩა, რამაც ქართული მოსახლეობა იძულებული გახდა ქალაქი დაეტოვებინა.

IV. ძირითადი ცნებები: მრავალეთნიკური, მრავალკულტურული, მშვიდობიანი თანაარსებობა.

**V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის
გაკვეთილის მიზანი:**

მოსწავლემ გამოყოს პირველადი და მეორადი წყაროები, შეაფასოს ისინი სანდოობის მიხედვით და აღადგინოს კონკრეტული ისტორიული ვითარება (ცხინვალში ეთნიკურად მრავალფეროვანი მოსახლეობის თანაცხოვრების სურათი), მოამზადოს საპრეზენტაციო ნაშრომი განსაზღვრულ ფორმატში.

წინაპირობა:

ცხინვალსა და საქართველოში 1990-იან წლებში მიმდინარე ქართულ-ოსური კონფლიქტის მოკლე ისტორია.

აქტივობები:

1. გამოიკითხოთ მოსწავლეებისგან, რა იციან 1990-იან წლებში მიმდინარე ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ. გააცანით მოსწავლეებს მოკლედ ცხინვალის ისტორია.

2. დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად დაავალეთ, გაეცნონ სამუშაო ფურცელს, შეასრულონ მოცემული დავალებები დავალება 2-ის 1 და 2-ის ჩათვლით.

3. სთხოვეთ ჯგუფებს აირჩიონ შესრულებული სამუშაოს წარდგენის ფორმატი და მისცენ ნამუშევარს შებამისი ფორმა:

ა) პერზენტაცია - პროექტის მოკლე მიმოხილვა: მიზანი, კვლევის შედეგები, ვიზუალური მასალა;

ბ) საგახეთო სტატია - სათაური, მთავარი იდეა // ფრაზა, რომელმაც უნდა გამოიწვიოს მკითხველი, ციტატები, რომლებსაც გამოიყენებენ ავტორები, სტატიის განწყობის შესაქმნელად;

გ) ტელეარხის შურნალისტის ინტერვიუ - ტელეგადაცემის სათაური, ფრაზა, რომლითაც დააანონსებენ მას, წინათქმა // შესავალი, რომელსაც შურნალისტი წაიკითხავს ინტერვიუს

წინ, რა ნიშნით აირჩევენ ინტერვიუერს, რა კითხვებს დაუსვამს მას ჟურნალისტი (ჯგუფის მიერ არჩეული ინტერვიუს ტექსტის მიმართ ისე უნდა დაისვას კითხვები, რომ პასუხებისგან მივიღოთ უკვე არსებული წყარო 6-ის რომელიმე მოვონება), მოსწავლეებმა შეიძლება აღნიშნონ რომელ ვიზუალურ მასალას გამოიყენებენ ტელეგადაცემის დროს;

დ) რადიოგადაცემა - რადიოგადაცემის სათაური, ფრაზა, რომლითაც დააანონსებენ მას, ციტატები, რომლებსაც გამოიყენებენ ავტორები, გადაცემაში განწყობის შესაქმნელად; რადიოგადაცემის მუსიკალური ან ხმოვანი თანხლება.

VI. წყაროების მოკლე მიმოხილვა

წყარო 1-ში მოტანილია ზაქარია ჭიჭინაძის ცნობა ცხინვალში ებრაელთა დასახლებისა და მათი ძირითადი საქმიანობის შესახებ.

წყარო 2-ში გადმოცემულია ცხინვალის ქართულ-ოსური სკოლის ისტორია.

წყარო 3 წარმოადგენს ამ სკოლის ფოტოს.

წყარო 4 - ფოტო, რომელზეც აღბეჭდილი არიან ცხინვალის დამსახურებული პედაგოგები, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები არიან.

წყარო 5 ა და ბ აღწერს კულტურულ ცხოვრებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, კერძოდ, ინსტიტუტების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სასწავლებლების, გაზეთების შესახებ, რომლებშიც ერთად საქმიანობდნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები.

წყარო 6 წარმოადგენს ცხინვალის მცხოვრებთა მოვონებებს თანაცხოვრების შესახებ.

VII. პასუხები დავალებებზე:

დავალება 1 წარმოადგენს მოსწავლეების მიერ განსახორციელებელ პროექტს.

ა) წყარო 1-ში ლაპარაკია ებრაელების მოსვლასა და დასახლებაზე ცხინვალში. წყარო 2-ში მოხსენიებულია ებრაელების უბანი. წყარო 3-ის სათაური გვეუბნება, რომ ეს არის ქართულ-ოსური სკოლის შენობა. წყარო 4-ის ფოტოზე, წარწერის მიხედვით, გამოსახული არიან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი პედაგოგები. წყარო 5-ში დასახელებულია ქართული და ოსური კულტურისა და საგანმანათლებლო დაწესებულებები. წყარო 6-ში დასახელებულია ქართული და ოსური გაზეთები, აგრეთვე ნათქვამია, რომ მათ რედაქციებში მუშაობდნენ ქართველები, ოსები, სომხები და ებრაელები.

ბ) მოსწავლეები მსჯელობენ წყაროების სანდოობაზე, მაგალითად, აღნიშნავენ, რომ მათში მოტანილია ფრაგმენტები სამეცნიერ-

რო ან პოპულარული ნაშრომებიდან, რომელთა ავტორები, ალბათ, გადაამოწმებდნენ წყაროთა სანდოობას. გარდა ამისა, გამოყენებულია ფოტომასალა, რომელიც ადასტურებს მოცემულ ინფორმაციას.

გ) „ეს შენობა ებრაელების უბანში, საკოლმეურნეო ბაზართან შეიძინეს“ (წყარო 2). მოსწავლემ შეიძლება ივარაუდოს, რომ, შესაძლოა, ზოგი სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ ცალკე უბნებად, თუ ისინი რაიმე კონკრეტულ საქმიანობას მისდევდნენ, როგორც ებრაელები – ვაჭრობას.

დ) მოსწავლემ შეიძლება თქვას, რომ სწავლის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესი, თანამშრომლობა გაზეთებში, თეატრალურ დასში, მუზეუმში მჭიდროდ აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს, ხელს უწყობდა მათ, უკეთ გაეცნოთ ერთმანეთის ცხოვრების წესი, ხნე-ჩვეულებები, ტრადიციები.

დავალება 2.

– ჩამოწერენ რესპონდენტთა ასაკს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ჩანს ურთიერთდახმარება, საერთო ყოველდღიური ყოფა, გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ერთად სწავლა, ერთმანეთზე ზრუნვა.

უვლიან ერთმანეთის წინაპართა საფლავებს, მეზობლები იზიარებენ ერთმანეთის გასაჭირს, ეხმარებიან ერთმანეთს, ერთად სწავლობენ, დადიან სალოცავში, მეგობრობენ განურჩევლად ეროვნებისა.

მოიფიქრებენ საერთო სათაურს ინტერვიუებისათვის, მაგალითად, „მეზობლების მონატრება“, „როგორ ვცხოვრობდით ერთად“, „ძველი ცხინვალის მონატრება“ და ა.შ.

ერთად ცხოვრება, ერთად სწავლა და მუშაობა, ერთმანეთის ცხოვრების წესის კარგად ცოდნა.

მუშაობის შედეგების წარდგენა.

სამუშაო ფურცელი 6.

რა მოხდა თბილისში 1956 წლის 9 მარტს

I. სტანდარტთან შესაბამისობა:

სამუშაო ფურცელი უკავშირდება

ა) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **ტოტალიტარიზმი მსოფლიოში:**

ა) სტალინი - საბჭოთა კავშირი (საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში)

ისტ. XII.6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საზოგადოების ცნობიერებაზე ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდში ჩამოყალიბებული სოციალური სტრუქტურების გავლენის შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- შეარჩევს რომელიმე კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციას მოქალაქეთა ცხოვრებიდან (სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური); შეისწავლის შექმნილ ვითარებას, მხარეთა ინტერესებს; თანაკლასელებთან ერთად გაითამაშებს აღნიშნულ სიტუაციას და მონახავს მისი გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტებს; მსჯელობს ამ გზების აკარგიანობაზე და მეგობრებთან ერთად სახავს კონფლიქტის სამართლებრივად გადაჭრის გეგმას (წარსულის სიმულაციურ რეკონსტრუქცია საშუალებას მისცემს მოსწავლეებს არამართო გაიაზრონ, არამედ შეიგონონ წარსულში მცხოვრები ადამიანების ქცევის მოტივაცია, სურვილები, ოცნებები. მათი თვალთ დაინახონ სამყარო, განიცადონ სხვა ეპოქის ადამიანების ცხოვრება).

ბ) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **საქართველო სსრკ-ში XX საუკუნის მეორე ნახევარში: 1956 წ. 9 მარტი.**

შენიშვნა:

IX კლასში, ამ გაკვეთილის ჩატარებისას, ხაზი უნდა გაესვას, რომ საბჭოთა მმართველობის სტრუქტურა განაპირობებდა იმ საერთო განწყობას, რომელიც მაშინ საქართველოში არსებობდა, თუმცა, გასათვალისწინებელია საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ცხოვრების ტრადიციაც.

ისტ. IX.3. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს ქართული სახელმწიფო მმართველობითი სტრუქტურები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ახასიათებს და აღარებს თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ფორმებსა და სტრუქტურებს, მსჯელობს მათი ფუნქციების შესახებ;

II. ანოტაცია

საკვანძო კითხვა: რატომ მიიღეს მონაწილეობა 1956 წლის 9 მარტის მოვლენებში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებმა?

მოსწავლე გაიაზრებს 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკულ მოვლენებში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების მონაწილეობის მიზეზებს და ამის ფონზე გააკეთებს საკუთარ დასკვნებს, თუ რამდენად ჩართულები იყვნენ სხვადასხვა ეროვნების საქართველოს მოქალაქეები ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში.

განმაზოგადებელი კითხვა: რაზე მეტყველებს ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობა საბჭოთა საქართველოში მიმდინარე პროცესებში?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი – საბჭოთა იდეოლოგი-

ისათვის სტალინის მოღვაწეობაში დადებით მხარეებთან ერთად თეორიული და პოლიტიკური შეცდომები იყო. ასევე ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უარყოფითად გამოქვეყნდა ზოგიერთი მისი პიროვნული თვისება. თუ ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ მუშაობის პირველ წლებში სტალინი ანგარიშს უწევდა მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს, შემდეგ დაიწყო კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპებიდან გადახვევა, პარტიისა და ხალხის წარმატებებში საკუთარი დამსახურების გაზვიადება. ერთპიროვნული მმართველობის პირობებში თანდათანობით ჩამოყალიბდა სტალინის პიროვნების კულტი. სკკპ XX ყრილობამ გააკრიტიკა პიროვნების კულტი, როგორც მარქსიზ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის, სოციალისტური საზოგადოების წყობის ბუნებისათვის უცხო მოვლენა. სკკპ ცკ-ის 1956 წლის 30 ივნისის დადგენილებაში „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“ პარტიულმა ხელმძღვანელობამ გადააფასა სტალინის მოღვაწეობა და გააკრიტიკა პიროვნების კულტი. რეალურად, სტალინის კულტის კრიტიკა იყო საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში მოსული ახალი ლიდერის – ხრუშჩოვის გამოსვლა წინამორბედი ხელისუფალის (და არა რეჟიმის) წინააღმდეგ.

IV. ძირითადი ცნებები: რეპრესიები, ეროვნული თავმოყვარეობა, მიტინგი, დემონსტრაცია, სტალინი.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლე იკვლევს წყაროებს და სიმულაციურად აღადგენს საბჭოთა საზოგადოების წვერთა მენტალობას.

წინაპირობა:

XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის ცოდნა.

აქტივობები:

1. დაავალეთ მოსწავლეებს უპასუხონ საკვანძო კითხვას. დაფაზე მოკლედ დაწერეთ მათი პასუხების ძირითადი აზრი, მაგალითად, ერთნაირად აზროვნებდნენ; ერთნაირი სულისკვეთებით იყვნენ აღზრდილნი; საბჭოთა მოქალაქეები იყვნენ და სხვ.

2. დაავალეთ მოსწავლეებს დამუკიდებლად გაეცნონ სამუშაო ფურცელს, შეასრულონ მოცემული დავალებები და შემდეგ ჯგუფებში შეაჯერონ პასუხები.

3. გამოკითხეთ ჯგუფების პასუხები.

4. დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად, რომლებიც, ზოგ შემთხვევაში, სიმულაციურად წარმოადგენენ თბილისში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს (მაგ-

აღიითად, სომხები, ოსები, ებრაელები და სხვ.). დაავალეთ მათ დაწერონ, როგორ ახსნიდა თავის მონაწილეობას 9 მარტის მოვლენებში თბილისში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი.

5. გამოკითხეთ ჯგუფებს დავალება და შეაჯამეთ მიღებული პასუხები (ქართველებთან ერთად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები იზიარებდნენ იმ პოლიტიკურ შეხედულებებს და ემოციებს, რომლებიც საქართველოში XX საუკუნის 50-იან წლებში არსებობდა).

VI. წყაროების მოკლე მიმოხილვა

წყარო 1 წარმოადგენს ნაწყვეტს საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოდან. მასში 1956 წლის 9 მარტის მოვლენათა მიზეზად დასახელებულია სტალინის ეროვნული მიკუთვნებულობის ხაზგასმა პიროვნების კულტის კრიტიკის პროცესში, რამაც საქართველოს მოსახლეობის ნაწილის აღშფოთება გამოიწვია.

წყარო 2 წარმოადგენს რესპუბლიკის მთავარ გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებას, რომელიც იუწყება სტალინის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით დაწესებულებებსა და საწარმოებში დანიშნული მიტინგების შესახებ.

წყარო 3-ში მოცემულია 1956 წლის 9 მარტის ამბების სამი მონაწილის მოგონება, რომლებშიც ხაზგასმულია ამ მოვლენებში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა მონაწილეობის ფაქტი.

წყარო 4 წარმოადგენს ნაწყვეტს საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოდან. მასში საუბარია საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის დამოკიდებულებაზე 9 მარტის მოვლენებისადმი და მიზეზზე, რომელმაც ეს დამოკიდებულება გამოიწვია.

წყარო 5-ში მოცემულია საქართველოში გამომავალ გაზეთებში 9 მარტის ტრაგედიის მეორე დღეს დაბეჭდილი სტატიების სათაურები, რომლებშიც მინიშნებასაც კი ვერ ვხედავთ იმაზე, რაც წინა დღეს მოხდა.

წყარო 6-ში მოცემულია 9 მარტის მოვლენების დროს დაღუპული სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდების სია.

წყარო 7 წარმოადგენს 9 მარტის დემონსტრაციების ამსახველ 2 ფოტოს.

VII. პასუხები დავალებებზე:

საკუანძო კითხვა:

1956 წლის 9 მარტის მოვლენებში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების მონაწილეობა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ისინი ერთ პოლიტიკურ სივრცეში // სახელმწიფოში ცხოვრობდნენ და ერთნაირად აღიქვამდნენ პროცესებს.

საბჭოთა ახალგაზრდობა და მოსახლეობა, აღტაცებული სტალინის ლიდერობით მეორე მსოფლიო ომში და, ზოგადად, მისი პოლიტიკით, არ ეთანხმებოდა მთავრობის ოფიციალურ კურსს – სტალინის კულტის კრიტიკას.

დავალება 1.

1) წყარო 1 განეკუთვნება ნარატული (მოთხრობით) წყაროების სახელმძღვანელოთა ქვეჯგუფს, წყარო 2 დოკუმენტური წყაროა, წყარო 3 კი ნარატული (მოთხრობით) წყაროების მემუარების ქვეჯგუფს განეკუთვნება.

2) წყარო 1: 1956 წლის თებერვალში კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე იოსებ სტალინის პიროვნების კულტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ნიკიტა ხრუშჩოვი... სტალინის კრიტიკის დროს ხაზი ესმებოდა მის ქართველობას... სტალინის კრიტიკას ქართველი ახალგაზრდობა საკუთარი ეროვნული თავმოყვარეობის შეურაცხყოფად აღიქვამდა... 1956 წლის 3 მარტიდან თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში იმართებოდა ცალკეული მანიფესტაციები... 5 მარტს კი სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ. მათ დედაქალაქის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა აუბა მხარი. საპროტესტო მოძრაობა მოედო მთელ საქართველოს... თბილისში გამართულ მრავალათასიან მიტინგზე მოითხოვდნენ სტალინის კრიტიკისა და ქართველი ერის შეურაცხყოფის შეწყვეტას...

წყარო 2: მთლიანად.

წყარო 3:

ა) გაიხსენეთ, სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა ერთად ყოფნა და ერთსულოვნება თბილისის იმ მშფოთვარე დღეებში.

ბ) მთელი ქალაქი გარეთ არის გამოსული. ამას ემატება საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან ასობით და ათასობით ჩამოსული ადამიანი... ხშირად ვხვდები გუნდ-გუნდად მდგარ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. ისინი ერთად შეჰყარა საერთო ინტერესმა, ან ზოგად კავკასიური დამცირების გრძნობამ.

გ) ვცხოვრობდი ძერჟინსკის ქუჩის №22-ში, იტალიურ ეზოში, სადაც ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები, ებრაელები, ქურთები... ქუჩაში ყველა მეზობელი გამოვედით. სამი ბიჭი ჩვენი ეზოდან უკან არ დაბრუნებულა... ამ სამიდან ერთი იყო სომეხი – სერგო, ქართველი – ზურაბი და ერთიც ებრაელი, რომლის სახელი აღარ მახსოვს.

ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ 9 მარტის მოვლენები დაიწყო როგორც საქართველოს სსრ ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ოფიციალური მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებიც, ალბათ, წინა წლებშიც ეწყობოდა სტალინის გარდაცვალების დღეს და, თავდაპირველად, ამაში მოულოდნელი არაფერი იყო.

წყარო 3გ-ში დასახელებული არიან სომხები, ებრაელები და

ქურთები. მათ გარდა, ალბათ, იგულისხმება სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, რომლებიც თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ: აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები, ოსები, აფხაზები, უკრაინელები, გერმანელები...

დავალება 2.

როგორც წყაროდან ჩანს, პრესა – ალბათ ხელისუფლების მითითებით – ცდილობდა, საქმე ისე წარმოეჩინა, თითქოს წინა დღეს არაფერი მომხდარა და ქვეყნის ცხოვრება ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. პრესას უნდა ეჩვენებინა, რომ ხელისუფლება ყოველთვის სწორ, ხალხის ინტერესების შესაბამის პოლიტიკას ატარებდა.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ადამიანებისათვის ინფორმაციის ძირითადი წყარო ზეპირი მონათხრობები იქნებოდა. მათ უმრავლესობას დედაქალაქში ყავდა ნათესავები, მეგობრები. გარდა ამისა, მიტინგებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობდნენ სტუდენტები, რომლებიც სხვადასხვა რეგიონიდან იყვნენ ჩამოსული. ინფორმაცია გავრცელდებოდა დადუპულთა მშობლების, ახლობლების, თანაკლასელების, თანასოფლელებისაგან.

დავალება 3.

1) წყარო 6-დან ნათელი ხდება, რომ დადუპულთა შორის იყვნენ სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდები. წყარო 7ა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მიტინგები და დემონსტრაციები თავდაპირველად ხელისუფლების მიერ იყო ორგანიზებული: ტრიბუნა მოწყობილია სტალინის ძეგლთან, გამოტანილია სახელმწიფო დროშები, სტალინის დიდი პორტრეტი, რომელიც ყვავილებითაა შემკული. წყარო 7ბ, როგორც ჩანს, იმ ახალგაზრდებს ასახავს, რომლებიც დემონსტრაციებსა და მიტინგებს სტალინის სახელის დასაცავად შეუერთდნენ. მათ მთაქვთ შავ ჩარჩოში ჩასმული სტალინის სურათი.

2) ახალგაზრდები, რომლებსაც უფროსი თაობა უნერგავდა, ერთი მხრივ, სოციალიზმის, როგორც ერთადერთი სამართლიანი და ყველა ადამიანისათვის ბედნიერების მომტანი წყობის რწმენას, მეორე მხრივ კი, სიამაყეს იმის გამო, რომ ამ წყობის განმახორციელებელი სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის მეთაური ეროვნებით ქართველი იყო, აღაშფოთა სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკამ, რომლის დროს ხაზი ესმებოდა მის ქართველობას. როგორც ჩანს, ეს იყო 9 მარტის მოვლენებში მათი მონაწილეობის მოტივი.

3) ისინი სტალინის პიროვნების კრიტიკას ქართველების შეურაცხყოფად აღიქვამდნენ.

სამუშაო ფურცელი 7. 1989 წლის 9 აპრილი

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: **პერესტროიკა, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლა – დამოუკიდებელი საქართველო**

ისტ. XII.6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საზოგადოების ცნობიერებაზე ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდში ჩამოყალიბებული სოციალური სტრუქტურების გავლენის შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- შეარჩევს რომელიმე კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციას მოქალაქეთა ცხოვრებიდან (სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური); შეისწავლის შექმნილ ვითარებას, მხარეთა ინტერესებს; თანაკლასელებთან ერთად გაითამაშებს აღნიშნულ სიტუაციას და მონახავს მისი გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტებს; მსჯელობს ამ გზების აკარგიანობაზე და მეგობრებთან ერთად სახავს კონფლიქტის სამართლებრივად გადაჭრის გეგმას (წარსულის სიმულაციურ რეკონსტრუქცია საშუალებას მისცემს მოსწავლეებს არამარტო გაიაზრონ, არამედ შეიგრძნონ წარსულში მცხოვრები ადამიანების ქცევის მოტივაცია, სურვილები, ოცნებები. მათი თვალით დაინახონ სამყარო, განიცადონ სხვა ეპოქის ადამიანების ცხოვრება).

ბ) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **ეროვნული მოძრაობის აღმავლობა**

ისტ. IX.5. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს საგარეო და საშინაო ფაქტორების გავლენა ქართული სახელმწიფოს წარმოშობასა და განვითარებაზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს კონკრეტულ საგარეო პოლიტიკურ ცვლილებებზე, რომლებმაც გავლენა მოახდინა ქართულ სახელმწიფოებრივობაზე;

II. ანოტაცია

საკვანძო კითხვა: როგორ ვიბრძოდით ერთად საქართველოს დამოუკიდებლობისათვის?

მოსწავლე გაიაზრებს XX საუკუნის მეორე ნახევრის ამ მნიშვნელოვან და ტრაგიკულ მოვლენას ახალი კუთხით: დაინახავს

მასში საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანის მონაწილეობას. გარდა ამისა, გაეროვევა წყაროების ტიპებში, დაადგენს მათი სანდლობის ხარისხს.

განმაზოვადოებელი კითხვა: როგორ შეიძლება გახდეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეების გამაერთიანებელი?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი – ანტისაბჭოთა მოძრაობა საქართველოს სსრ-ში 1988 წლისთვის უფრო გააქტიურდა. თბილისში გაფიცვებსა და მიტინგებს აწყობდნენ ანტისაბჭოთა ორგანიზაციები. კონფლიქტი საბჭოთა მთავრობსა და ქართველ დისიდენტებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა 1989 წლის 18 მარტს ე.წ. ლიხნის ასამბლეის ჩატარების შემდეგ. ლიხნში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზი მოსახლეობის სახელით შეკრებილმა წარმომადგენლებმა საქართველოსგან გამოყოფა და 1921-31 წლებში საქართველო-აფხაზეთის კავშირში აფხაზეთის რესპუბლიკის სტატუსის აღდგენა მოითხოვეს. საპასუხოდ, ანტისაბჭოთა ჯგუფებმა (ეროვნული მოძრაობის) რესპუბლიკის მასშტაბით არასანქცირებული მიტიგნების სერია მოაწვეეს. მათი მტკიცებით, საბჭოთა მთავრობა აფხაზურ სეპარატიზმს იყენებდა დამოუკიდებლობის მომხრეთა მოძრაობის საწინააღმდეგოდ.

საპროტესტო აქციებმა პიკს მიაღწია 1989 წლის 4 აპრილს, როდესაც ათობით ათასი საქართველოს მოქალაქე შეიკრიბა თბილისში, მთავრობის სახლის წინ რუსთაველის გამზირზე. მომიტინგეებმა – მათ ხელმძღვანელობდა დამოუკიდებლობის კომიტეტი (მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია, ირაკლი ბათიაშვილი, ირაკლი წერეთელი და სხვები), მოაწვეეს მშვიდობიანი დემონსტრაცია და შიმშილობა დაიწვეს. მათი მოთხოვნა იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც უპირისპირდებოდა სეპარატულ განწყობას. ადგილობრივმა საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი სიტუაციაზე დედაქალაქში და ვედარ აცხრობდა საპროტესტო აქციებს. საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა წესრიგის აღსადგენად სსრკ-ის ხელმძღვანელობას დამხმარე ძალების გამოგზავნა თხოვა.

IV. ძირითადი ცნებები: ანტისაბჭოთა მოძრაობა, საპროტესტო აქციები, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, მიტინგი, თანადგომა

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის
გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლე იკვლევს წყაროებს და აანალიზებს ეროვნულ მოძრაობაში საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობის მოტივებს.

წინაპირობა:

XX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ცოდნა

აქტივობები:

1. დაავალეთ მოსწავლეებს უპასუხონ საკვანძო კითხვას. გამოარჩიეთ ან ჩამოაყალიბეთ მოსწავლეთა პასუხებიდან შინაარსობრივად გამართული მოსაზრება და დაფაზე დაწერეთ. მაგალითად, საბჭოთა რეჟიმი ერთნაირად უსამართლო იყო საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების მოქალაქის მიმართ, ამიტომ სახელმწიფო სისტემის წინააღმდეგ გამოდიოდნენ სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეები.

2. დაავალეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად გაეცნონ სამუშაო ფურცელს, შეასრულონ მოცემული დავალებები და შემდეგ, ჯგუფებში შეაჯერონ პასუხები.

3. დაავალეთ ჯგუფებს თავი წარმოიდგინონ წყარო 4-ში მოცემული მიმართვის ავტორებად და დაასაბუთონ: რატომ ჩათვალეს ვალდებულად თავი რუსი ეროვნების საქართველოს მოქალაქეებმა აღნიშნული მიმართვა // დოკუმენტი შეედგინათ.

სავაუდო პასუხი: 9 აპრილის მოვლენებისას // ეროვნული მოძრაობის აღმავლობისას ყველაზე ადვილი იქნებოდა ანტირუსული განწყობის პროვოცირება და ამ საბაბით მანიპულირება.

4. გამოკითხეთ ჯგუფებს პასუხები

VI. წყაროების მოკლე მიმოხილვა

წყარო 1 წარმოადგენს მთავარ ოფიციალურ გაზეთ „კომუნისტში“ 1989 წლის 9 აპრილს გამოქვეყნებულ ინფორმაციას მთავრობის სასახლის წინ მიმდინარე მიტინგის შესახებ. მასში მიტინგი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად და დეზინფორმაციის გავრცელების წყაროდ არის შეფასებული.

წყარო 2-ში მოტანილია ფრაგმენტი ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელოდან, რომელიც 2004 წელსაა გამოქვეყნებული. მასში 9 აპრილის მოვლენები შეფასებულია როგორც ეროვნული მოძრაობა, რომლის გავრცელების შიშით საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ მიტინგის ძალით აღკვეთის გადაწყვეტილება მიიღო.

წყარო 3 ისევ გაზეთ „კომუნისტის“ ინფორმაციაა - 12 აპრილის. ამჯერად უკვე ლაპარაკია უბედურებაზე, რომელიც მოხდა და რომლის მიზეზების გამორკვევას ითხოვს საზოგადოების ნაწილი. ისევ საუბარია „ექსტრემისტულად განწყობილ ძალებსა“ და „მოხუციებზე ელემენტებზე“.

წყარო 4 წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების არაქართველ თანამშრომელთა მიმართვას ქართველი ხალხისადმი. რომელშიც ლაპარაკია

იმაზე, რომ ისინი თავს საქართველოს მოქალაქეებად მიიჩნევენ და ყველა ეროვნების წარმომადგენლებს მოუწოდებენ სოლიდარობისაკენ.

წყარო 5-ზე წარმოდგენილია 9 აპრილის მოვლენების ამსახველი ფოტოები.

VII. პასუხები დავალებებზე:

საკვანძო კითხვა:

კითხვა გულისხმობს საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივსა და ხერხებს. ისინი კი, ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო ნებისმიერი ეთნიკური კუთვნილების მოქალაქისათვის, რომელიც გრძნობდა საბჭოთა რეჟიმის უსამართლობას. ამიტომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მონაწილეობდა საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ეთნიკური კუთვნილების პიროვნება // მოქალაქე.

დავალება 1.

გაზეთში 9 აპრილის მოვლენები წარმოდგენილია როგორც ექსტრემისტულად განწყობილი ძალების ანტისახელმწიფოებრივი, ანტისაბჭოთა ქმედება და „მოხუციღნო ელემენტების“ გამოსვლები, რომლებიც ავრცელებდნენ დეზინფორმაციას და ცდილობდნენ თბილისში ვითარების გამწვავებას. 12 აპრილის ნომერში ნახსენებია რამდენიმე დღის წინ მომხდარი უბედურება, რომელიც სწორედ ამ ძალებმა გამოიწვიეს. არ არის ნათქვამი, კონკრეტულად რა უბედურება მოხდა. აღნიშნულია, რომ საჭიროა ბრძოლა ზემოთ ნახსენებ ელემენტებთან. სახელმძღვანელო იგივე მოვლენების ანტისაბჭოთა ხასიათზე საუბრობს, რომლის სხვა მიკავშირე რესპუბლიკებზე გავრცელების საფრთხემ შეაშინა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა და მან მომიტინგეთა დასაშლელად ძალის გამოყენების გადაწყვეტილება მიიღო. აღწერილია, როგორ გამოიყენეს მომწამვლელი აირი და მესანგრეთა ნიხბები მომიტინგეების წინააღმდეგ.

დავალება 2.

ეს არის დოკუმენტური ტიპის წყარო - მიმართვა. მისი ხელმომწერები გონებრივი შრომით დაკავებული ადამიანები არიან, რომელთაც ინტელიგენციას ან ინტელექტუალებს უწოდებენ.

მიმართვის ძირითადი გზავნილი შემდეგია: ჩვენ ყველა საქართველოს მოქალაქეები ვართ.

დავალება 3.

აპრილის დღეებში მთავრობის სასახლის წინა მოედანზე იკრიბებოდნენ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები. 9 აპრილის დამეს, დარბევის წინ, ისინი სანთლებს ანთებდნენ. მათ სახეებზე აგრესია არ იკითხება. მიტინგი მრავალრიცხოვანი იყო. მის დასარბევად ჯავშანტექნიკაც გამოიყენეს. დარბევის მომდევნო დღეებში

ტრაგედიის ადგილას უამრავი ადამიანი მიდიოდა დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად და ამ ადგილს ყვავილებით ამკობდა.

სამუშაო ფურცელი 8. თბილისის მეღპომენა (XX საუკუნის თბილისის თეატრალური ცხოვრება)

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას:

საზოგადოება და კულტურა XX-ის პირველ ნახევარში (საზოგადოება და კულტურა XX საუკუნის პირველი ნახევარის საქართველოში)

ისტ. XII.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა კულტურების ურთიერთობის კვლევა.

შედგეი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საკლასო დისკუსიისას მსჯელობს ევროპული და აღმოსავლური კულტურების ურთიერთმიმართებაზე და თითოეულის გავლენაზე XIX-XX საუკუნების ქართულ კულტურაზე;

ბ) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **XX საუკუნის ქართული კულტურა**

ისტ. IX.7. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ.

შედგეი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს ყველაზე მნიშვნელოვან ქართული და უცხო კულტურის ურთიერთობისა და ურთიერთგავლენის შესახებ.

II. ანოტაცია

საკვანძო კითხვა: როგორ გამოხატავდა თეატრალური ცხოვრება XX საუკუნის თბილისის მრავალეროვან იერსახეს?

მოსწავლე გაიცნობს ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული თეატრების ისტორიას და გაიაზრებს, რა როლს თამაშობდა ზოგადად თეატრალური ცხოვრება სხვადასხვა ეროვნების თბილისელების დაახლოებაში. მოსწავლეებს მოუწევთ ჯგუფებში მუშაობა და „სტატიის“ მომზადება XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი თბილისური გახეთისათვის.

განმაზოგადებელი კითხვა: როგორ ემსახურებოდა თბილისის მეღპომენა თანაცხოვრებას მრავალკულტურულ ქალაქში?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

საქართველოში ოღითგანვე არსებობდა მდიდარი თეატრალური კულტურა, რასაც არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ნივთები ადასტურებს. შემდეგ ეპოქებშიც თეატრალური ცხოვრება საქართველოში არსებობდა. მასში ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლის მონაწილეობა უფრო მოგვიანებით დასტურდება. მაგალითად, შუა საუკუნეებში გაჩნდა სახალხო თეატრი, რომელსაც „სახიობა“ ეწოდებოდა. თეატრში მაცურებელს სთავაზობდნენ ცხოვრებისეულ სიუჟეტებს, პატრიოტულ სცენებს. ამ თეატრის მსახიობები მოცეკვავეები და მომღერლებიც იყვნენ. ისინი ნიღბებს იყენებდნენ. სახიობის დასში საიათნოვა იყო.

თბილისის სომხური თეატრის ისტორია

XIX საუკუნის დასაწყისიდან თბილისის სომხური თეატრალური კულტურის უდიდესი ცენტრი გახდა და ასეთივედ დარჩა XX საუკუნის 20-იან წლებამდე, სომხეთის მეორე რესპუბლიკის დაარსებამდე – ზუსტად აქ ნახა სომხურმა თეატრმა ხელსაყრელი პირობები და რუსულ და ევროპულ თეატრებში მიმდინარე საინტერესო ძიებების გათვალისწინებით ეროვნული კულტურის საყრდენი გახდა. ხელოსნების ფართო ფენით შექმნილი კოლორიტი და ნაციონალური აზროვნება გახდა იმის სტიმული, რომ თბილისში ჩამოყალიბდა სომხური თეატრი. ამ თეატრში მოღვაწეობდნენ ქართული და რუსული თეატრალური დასები. თბილისში, სომხურ ენაზე, პირველად სპექტაკლი გაიმართა 1824 წელს, ახლადგახსნილ ნერსესიანის სახ. სასულიერო სკოლაში. 1824-28 წლებში ნერსესიანის სკოლის აღმზრდელები პერიოდულად მონაწილეობდნენ თეატრის სპექტაკლებში. 1836 წლიდან სომხურ ენაზე სპექტაკლები იმართებოდა თბილისის სხვადასხვა დარბაზებშიც. თბილისის სომხური პროფესიული თეატრის დაარსება ძირითადად უკავშირდება გევორქ ჩმშიკიანის სახელს. მან 1856 წელს თბილისში დააარსა და ხელმძღვანელობდა სომხურ თეატრს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლის მარტში, ლევონ ქაღანთარმა დააარსა სტ. შაუმიანიის სახელობის თეატრალური დასი. იმავე წლის მაისიდან სომხურ თეატრს მიენიჭა სახელმწიფო თეატრის სტატუსი. 1936 წლიდან თბილისის სომხური თეატრი შეუდგა განვითარების ახალ ეტაპს. კოლექტივი გადავიდა ახალ შენობაში და ჰქონდა თავისი დადგმების სტაბილური რეპერტუარი. თეატრის განვითარებაში სომეხ მოღვაწეებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. სომეხ და ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ურთიერთკავშირს მდიდარი წარსული აქვს. სომხური თეატრის სპექტაკლებში თამაშობდნენ

ქართველი მსახიობები და პირიქით. სომხურ სპექტაკლებში თამაშობდნენ: ვასო აბაშიძე, ნიკო გოცირიძე და სხვები. აქ იდგმებოდა ქართული პიესებიც: გ. ბერიაშვილის „ტირიფები მტკვრის პირას“, გ. ნახუცრიშვილის „შითან ხის“, ო. მამფორიას „ეთიმ გურჯი“, ო. ჩიჯავაძის „შვილები“, ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ და სხვ. ქართველი მაყურებელი კარგად იცნობს სომხური პიესების გმირებს და ეს თანამშრომლობა დღესაც გრძელდება. 1991 წელს თეატრმა შეიცვალა სახელწოდება, ამჟამად ის უკვე პეტროს ადამიანის სახელს ატარებს.

თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრის ისტორია

აზერბაიჯანული კლასიკური დრამატურგიის პირველი ნიმუშები – ახუნდოვის ექვსი ცნობილი კომედია XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში შეიქმნა ქ. თბილისში. იმ პერიოდის არქივიდან ირკვევა, რომ ბარენბეკოვის ქარვასლის სარდაფში, ახუნდოვის პიესის „ლენკორანის ხანის ვეზირის თავგადასავლის“ მიხედვით აზერბაიჯანული ინტელიგენციის ერთი ჯგუფის ინიციატივითა და მონაწილეობით განხორციელდა კომედია „არაბეთის ხანის ვეზირი“.

აზერბაიჯანული სახალხო სახლი, რომელიც აგრეთვე ცნობილი იყო ნარიმანოვის კლუბის სახელით, 1912 წლიდან 1947 წლამდე ფუნქციონირებდა, სადაც მსოფლიო კლასიკის ნიმუშებთან ერთად აზერბაიჯანული პიესები იდგმებოდა.

თეატრი 2004 წლის 30 ივნისს ორმოცდახვამეტწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ აღდგა თბილისში. დღეს თეატრს სათავეში უდგას რეჟისორი გოჩა კაპანაძე. თეატრი გამოირჩევა მრავალფეროვანი რეპერტუარით და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვითმყოფადობით.

თბილისის რუსული თეატრის ისტორია

თბილისის რუსული დრამატული თეატრი დაარსდა თბილისში 1932 წელს. 1935 წელს თეატრს მიენიჭა ა. გრიბოედოვის სახელი. თეატრის რეპერტუარშია რუსული და საზღვარგარეთული თანამედროვე და კლასიკური ნაწარმოებები. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველ ავტორთა ნაწარმოებებს, რომელთაგან აღსანიშნავია სხვადასხვა დროს დადგმული შ. დადიანის „ნაპერ-წკლიდან“, ი. ვაკელის „დიდი მოურავი“ და სხვა.

თეატრის წარმატებაში წვლილი მიუძღვით კ. შახ-აზიზოვს (დღიდან დაარსებისა 15 წელი ხელმძღვანელობდა თეატრს), სსრკ სახალხო არტისტებს: გ. ტოვსტონოგოვს, დ. ანთაძეს, საქართველოს სახალხო არტისტებს: ნ. მარშაკს, ა. თაყაიშვილს, ს. ჭელიძეს, გ. ლორთქიფანიძეს; საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს: ა. რუბინს, გ. ღვინიაშვილს, მ. ოლშანიცკაიას, კ. სურმავას და სხვა; მსახიობებს: სსრკ სახალხო არ-

ტისტს ნ. ბურმისტროვას, საქართველოს სახალხო არტისტებს: ე. სატინას, ა. სმირანინს, მ. პიასეცკის, ა. ზავორსკის, კ. მიუჟკეს, დ. სლავინს, ი. ზლობინს, კ. დობჟინსკის, ი. რუსინოვს და სხვებს.

არტისტული საზოგადოება (მოგვიანებით რუსთაველის სახ. თეატრი)

ქართული დრამის თეატრს შოთა რუსთაველის სახელი 1921 წლის 25 ნოემბერს ეწოდა, მაგრამ რუსთაველის თეატრის ისტორია ბევრად ადრე დაიწყო... 1879 წელს „დრამატული კომიტეტის“ წევრებმა იღია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, დიმიტრი ყოფიანმა, დავით ერისთავმა, ივანე მაჩაბელმა მიიღეს წესდება, აირჩიეს შენობა სასახლის მოედანზე და 1879 წ. 5 სექტემბერს, მათი დიდი ძალისხმევით, პირველი სეზონი გაიხსნა ბარბარე ჯორჯაძის კომედით „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ რეჟისორი გ. თუმანიშვილი. აღდგენილი ქართული თეატრისთვის ივანე მაჩაბელმა შექსპირის პიესები თარგმნა, ხოლო დავით ერისთავმა ქართულად გადმოაკეთა სარდუს „ფლანდრია“ – „სამშობლო“ (1882). თეატრის ეროვნული სწრაფვა სწორედ ამ სპექტაკლში გამოიკვეთა. ლევან ხიმშიაშვილის როლის შემსრულებელი ლადო მესხიშვილი ეროვნულ გმირად შერაცხეს.

1898 წელს გოლოვინის პროსპექტზე (რუსთაველის გამზირი) საძირკველი ჩაეყარა „არტისტული საზოგადოების სახლს“ (შემდგომ რუსთაველის თეატრს). 1901 წლის 7 თებერვალს გახეთი „ივერია“ იუწყებოდა: „6 თებერვალს, ნაშუადღევს 2 საათზე აკურთხეს გოლოვინის პროსპექტზედ ახლად აგებული შენობა ტფილისის „საარტისტო საზოგადოებისა.“ ამავე წლის 5 მარტს წარმოადგინეს ავ. ცაგარელის „ხანუმა.“

თუ XIX საუკუნის ბოლოს ქართულ სცენაზე მსახიობთა თანავარსკვლავედი იდგა: ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა – აბაშიძისა, ნატო გაბუნია, ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, ალექსანდრე იმედაშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, კოტე და ეფემია მესხები. XX საუკუნე რეჟისორ-ლიდერთა საუკუნე გახდა: კოტე მარჯანიშვილი, აღ.(სანდრო) ახმეტელი, დიმიტრი ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე და სხვ.

IV. ძირითადი ცნებები: თეატრალური ცხოვრება, მელპომენა, ინტერნაციონალური სპექტაკლები, ნაციონალური თეატრი, ეროვნული თვითმყოფადობა

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი:

„თეატრი დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისთვის, მაგის მეტი ნაციონალობის ნიშან-წყალი ჯერჯერობით ჩვენ არ გვაქვს რა. ეგ ერთი აღგილია, სადაც ჩვენი ენა საჯაროდ

ისმის და საჯაროდ მოქმედებს“, – წერდა ილია ჭავჭავაძე ი. ოქრომჭედლიშვილს.

ეს სიტყვები, ალბათ, გაკვეთილის ლეიტმოტივად გამოდგება, რადგან თანაბრად ეხება კავკასიაში მცხოვრებ ხალხებსა და მათ კულტურულ ცხოვრებას.

წინაპირობა:

თბილისის, როგორც მულტიეთნიკური ქალაქის, კულტურული ტრადიციების ცოდნა.

XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის ცოდნა

აქტივობები:

1. წაუკითხეთ // გააცანით მოსწავლეებს ილია ჭავჭავაძის მოსაზრება თეატრის შესახებ: „თეატრი დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისთვის, მაგის მეტი ნაციონალობის ნიშან – წყალი ჯერჯერობით ჩვენ არ გვაქვს რა. ეგ ერთი ადგილია, სადაც ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს“.

2. დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად და დაავალეთ წერილობით შეაფასონ ილია ჭავჭავაძის ზემოთ მოტანილი მოსაზრება.

ილია ჭავჭავაძის მოსაზრება სწორია და მნიშვნელოვანია, რადგან იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებისთვის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება დაკავშირებული იყო მშობლიური ენის შენარჩუნებასთან.

3. გამოკითხეთ ჯგუფებს დავალება და ისევ ჯგუფებს დაავალეთ ჩამოაყალიბონ პასუხი საკვანძო კითხვაზე.

მაგალითად, თბილისი ყოველთვის მრავალეროვანი ქალაქი იყო და არის, ამიტომ ყველა აქ მცხოვრები ხალხისთვის მნიშვნელოვანი იყო და არის ნაციონალური თეატრის არსებობა;

4. გამოკითხეთ ჯგუფებს დავალება და მოკლედ დაწერეთ დაფაზე ძირითადი აზრი.

5. დაავალეთ ჯგუფებს გაეცნონ სამუშაო ფურცელს და შეასრულონ დავალება. რათა მოსწავლეებს გაუადვილდეთ მისი შესრულება, სასურველია, დავალებას დაურთოთ მოკლე კომენტარი // შენიშვნა: მაგალითად

ა. როგორ გამოაცხადებდა რუსული // სომხური // ან სხვა თეატრის ადმინისტრაცია სეზონის გახსნის შესახებ XX საუკუნის 20-იან ან 30-იან წ. წ. ამისთვის მოსწავლეებმა უნდა დააკავშირონ იმ დროის საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები და თეატრის რეპერტუარი.

ბ. როგორ გამოქვეყნდებოდა პრესაში საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ რუსული // სომხური თეატრების გახსნის შესახებ.

გ. როგორ გამოიყებდა ჟურნალისტი ინფორმაციას თბილისში სხვადასხვა ნაციონალური თეატრების ფუნქციონერების შესახებ

სტატიაში, რომელიც მიძღვნილი იქნებოდა ქართული თეატრის დღის (14 იანვარი) აღსანიშნავად.

6. ჯგუფის წევრებმა წარადგინონ ნამუშევარი თანაკლასელების წინაშე.

VI. წყაროების მოკლე მიმოხილვა

წყარო 1-ში მოტანილი ნაწყვეტები სხვადასხვა ავტორების ნაშრომებიდან თბილისის სხვადასხვა თეატრის დაარსების ისტორიას გადმოგვცემს.

წყარო 2 წარმოადგენს ქართული დრამატული საზოგადოების მე-20 საუკუნის დასაწყისის აფიშას.

წყარო 3-ზე გამოსახულია აზერბაიჯანული თეატრის აფიშა და მოცემულია მოკლე ინფორმაცია თბილისში არსებული აზერბაიჯანული თეატრის შესახებ.

წყარო 4 - ინფორმაცია რუსთაველის თეატრის დაარსების შესახებ და თეატრის ფოტო.

წყარო 5 - ინფორმაცია თბილისის სომხური თეატრის დაარსების შესახებ და თეატრის ფოტო.

წყარო 6 – 2 ინტერვიუ თბილისის სომხური თეატრის მსახიობებთან, რომლებშიც ისინი მოგვითხრობენ, როგორ იდგმებოდა ერთობლივი სპექტაკლები საქართველოს სხვადასხვა თეატრში, ამ სპექტაკლებში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი მსახიობები ერთად თამაშობდნენ.

VII. პასუხები დავალებებზე:

დავალება 1.

მხოლოდ ერთი დავალებაა - მოსწავლეები წერენ „სტატიებს გახეთებისათვის“.

VIII. ბიბლიოგრაფია

burusi.wordpress.com

ka.wikipedia.org

www.diversity.ge/geo/resources

[www.facebook.com/ Rustaveli theatre-rusTavelis Teatri](http://www.facebook.com/Rustaveli%20theatre-rusTavelis%20Teatri)

სამუშაო ფურცელი 9. „ეღემის ბაღი“ „სამხრეთ ციმბირში“

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება: X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: **როგორ ვსწავლობთ ისტორიას:**

ა) პირველადი და მეორადი წყაროები;

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია ისტორია და ისტორიის დარგები (ქართული და უცხოური მასალების საფუძველზე):

ა) წყაროთმცოდნეობა (რა არის ისტორიული წყარო? საისტორიო წყაროების კლასიფიკაცია; კვლევის მეთოდოლოგია (წარსულის რეკონსტრუქცია ისტორიული წყაროების საშუალებით); წყაროები: დოკუმენტური და ნარატიული

II. ანოტაცია

საკვანძო კითხვა: როგორი ურთიერთობა იყო საქართველოში ჩამოსახლებულ რუსებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის XX საუკუნის დასაწყისში?

მოსწავლე გაიაზრებს როგორი იყო საგარეჯოს რაიონში XIX-XX საუკუნეებში ჩამოსახლებული რუსი მაღაკნების ცხოვრება XX საუკუნის განმავლობაში: მეზობლებთან ურთიერთობა, შრომა, საოჯახო ყოფა, დამოკიდებულება ეთნიკური და შექნილი სამშობლოსადმი.

განმაზოგადებელი კითხვა: რატომ ითვლებოდა საქართველო ანუ „სამხრეთის ციმბირი“ ედემის ბადად?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

XIX საუკუნეში უმიწოდ დარჩენილი რუსი სექტანტები – მაღაკნები საქართველოში აღმოჩნდნენ, სადაც მეფის რუსეთის ხელისუფლება ყველა არასასურველ, არასანდო ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ასახლებდა. ჩვეულებრივ, დამნაშავეებს შორეულ ციმბირში ასახლებდნენ ხოლმე. ამიტომ საქართველოს, როგორც გადასახლების ადგილს, „სამხრეთ ციმბირს“ უწოდებდნენ. თუმცა, გადასახლებულებისათვის ის „ედემი“ აღმოჩნდა, სადაც მათ კარგი ბუნებრივი პირობები (ციმბირისაგან განსხვავებით) და კეთილგანწყობილი გარემო დახვდათ. საქართველო ასეთი „დამნაშავე“ რუსების (მათ შორის, ზოგიერთი ცნობილი ადამიანი, მაგალითად, დეკაბრისტი იყო) დროებითი გადასახლების ადგილად, ზოგიერთისთვის კი, მეორე სამშობლოდ იქცა. მაღაკნების ნაწილი კახეთში, საგარეჯოს რაიონში დასახლდა, სადაც მათ ისევე, როგორც ჯავახეთში დუხობორებმა, თავიანთი თვითმყოფადობის შენარჩუნება მოახერხეს. მათ ცხოვრებას საგარეჯოს რაიონში XX საუკუნეში მოსწავლეები ამ სამუშაო ფგურცლის დახმარებით გაეცნობიან და მიხვდებიან, რატომ თვლიდნენ საქართველოს ანუ „სამხრეთის ციმბირს“ ედემის ბადად.

IV. ძირითადი ცნებები: ბოგდანოვკა – „ბოგ დალ“ (რუს. უფალმა მოგვცა); მაღაკნები – სექტანტები, რომლებსაც ეკლესია არ აქვთ, ნათლობისა და სხვ. მართლმადიდებლური რიტუ-

აღებიც განხვავებულია; მშვიდობიანი თანაცხოვრება, თვითმოყოფადობა, „სამხრეთის ციმბირი“.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლე იკვლევს და აანალიზებს წყაროებს, აღადგენს ისტორიულ ვითარებას
- მოსწავლე იკვლევს წყაროებს

წინაპირობა:

XX საუკუნეში საქართველოს ისტორიის ცოდნა

აქტივობები:

1. დაავალეთ მოსწავლეებს უპასუხონ საკვანძო კითხვას. ახლად ჩამოსახლებული რუსები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის გვერდით.
2. დაავალეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად გაეცნონ სამუშაო ფურცელს, შეასრულონ დავალებები.
3. დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად და დაავალეთ დაწერონ წარმოსახვითი გადმოსახლებული ოჯახის ისტორია XX საუკუნეში.
4. გამოკითხეთ დავალებები

VI. წყაროების მიმოხილვა

წყარო 1 წარმოადგენს დიაგრამას, რომელიც აჩვენებს მოსახლეობის დინამიკას საგარეჯოს რაიონში XX საუკუნის დასაწყისიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე.

წყარო 2-4 - ინტერვიუები საგარეჯოს, სოფელ ბოგდანოვკისა და სოფელ კრასნოგორსკის მცხოვრებლებთან, რომლებიც მოგვითხრობენ საგარეჯოში მათი წინაპრების ჩამოსახლების და შემდგომში იქ ცხოვრების შესახებ.

წყარო 5 - ფოტოები ასახავს სოფელ კრასნოგორსკის მალაკნების საოჯახო ყოფას.

VII. პასუხები დავალებებზე:

დავალება 1.

დიაგრამა აჩვენებს, რომ საგარეჯოს რაიონში XX საუკუნის დასაწყისიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე შეიცვალა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, კერძოდ, გაიზარდა აზერბაიჯანელებისა და ოსების ხვედრითი წილი, შემცირდა - რუსების, სომხების და სხვა ეთნიკური ჯგუფების რაოდენობა.

დავალება 2.

ბოგდანოვკასა და მეხოხელ სოფლებში რუსული მოსახლეობის ჩამოსახლების ერთ-ერთი მიზეზი იყო მათი აყრა რუსეთის გუბერნიებიდან უმიწაწყლობის გამო. გარდა ამისა, მათ აქ

ასახლებდა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება რელიგიური მრწამსის გამო (როგორც სექტანტებს).

ახალმოსახლეებს ადგილობრივებთან კარგი ურთიერთობა ჰქონიათ: „მამაჩემს ქართველები ძალიან უყვარდა. მეც ძალიან მიყვარს ქართველები. კარგად, ძალიან კარგად ვცხოვრობდით ერთად. XX საუკუნის 90-იან წლებში მთელ საქართველოში განუკითხაობა რომ იყო, რუსებს გვაშინებდნენ: წადით აქედან, თორემ ქართველები დაგხოცავენო. ბევრს შეეშინდა, წავიდა რუსეთში. ჩვენ არსად წავსულვართ. რუსები სახლებს რომ ჰყიდდნენ, რამდენიმე სახლი ვიყიდე ჩემი შვილებისათვის, რომ არსად წასულიყვნენ... ნამდვილად ბედნიერი ცხოვრება მქონდა.“

არგუმენტები წყაროებიდან:

„ლეონტი ვასილის ძე ზუბაშევსკის ინიციატივით, სოფელში რუსული სკოლა გაიხსნა. თანდათან სკოლაში ქართველი ბავშვებიც მომრავლდნენ. მათ რუსულ ენაზე სწავლა უჭირდათ. ქართველმა მშობლებმა სკოლაში ქართული სექტორის გახსნაც მოითხოვეს. სოფლის მასწავლებლის ქეთევან კუტიბაშვილისა და მისი მეუღლის რევაზ ორველაშვილის დიდი მონდომებით, 1966 წელს სოფლის რუსულ სკოლაში ქართული სექტორიც გაიხსნა.“

„თანდათან სოფლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქართული გახდა. რუსი და ბერძენი მცხოვრებნიც საუკეთესოდ ფლობენ ქართულ ენას.“

„XX საუკუნის 90-იან წლებამდე კრასნოვოროკა სუფთა რუსული სოფელი იყო. მხოლოდ რუსები ვცხოვრობდით. პოლიტიკური ვითარების არევის შემდეგ, განსაკუთრებით, მხედრიონის თარეშის პერიოდში, სოფელი დაცარიელდა – ზოგი თბილისში ან რუსთავში გადასახლდა, ზოგიც რუსეთში წავიდა. მაღაკნებს დიდი ოჯახები გვქონდა: თითო ოჯახში 10 შვილი მაინც იზრდებოდა. დედაჩემს, შირინა ნადეჟდა ანდრეევნას, 7 შვილი, 37 შვილიშვილი და 7 შვილთაშვილი ჰყავდა. ახლა ბიძაშვილები ასზე მეტნი ვართ. გაფანტულები ვართ რუსეთსა და საქართველოს შორის. აქ მცხოვრებმა რუსებმა ქართული საერთოდ არ იციან. არ იყო ამის აუცილებლობა.“

საგარეჯოს რაიონში მცხოვრები რუსები მრწამსით მაღაკნები ან ბაპტისტი მაღაკნები იყვნენ. მათ არ ჰქონდათ ეკლესია, არამედ „სამლოცველო სახლი“, რომელშიც საბჭოთა პერიოდში ხელისუფლებას კლუბი გაუხსნია და მაღაკნებისათვის მის ნაცვლად ცალკე შენობა მიუცია სამლოცველო სახლისათვის. ბაპტისტი მაღაკნები წყლით ნათლობას იღებდნენ, მაღაკნები კი - სიტყვით ნათლობას. მაღაკნებს მრავალრიცხოვანი ოჯახები ჰქონდათ, თითოეულს 7-10 შვილი ყავდა. კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან. მათი ნაწილი ფლობდა ქართულ ენას, ნაწილი - არა, იმის მიხედვით, რამდენად არსებობდა ამის

საჭიროება. სწავლობდნენ რუსულ ან შერეულ სკოლებში. მუშაობდნენ კალმეურნეობაში და შექმნებულად ცხოვრობდნენ.

VIII. ბიბლიოგრაფია

1. დუნდუა ს., აბაშიძე ზ. ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში. თბილისი, 2009.
2. ეთნოსები საქართველოში. თბილისი, 2008.
3. რელიგიები საქართველოში. თბილისი, 2008.
4. სარჯველაძე ნ., შუშანია ნ., მელიქიშვილი ლ., ბაღიაშვილი მ. ტოლერანტობა მრავალეროვან საქართველოში. ტრენინგის მეთოდური სახელმძღვანელო განათლების მუშაკთათვის. თბილისი, 2009.
5. სონღულაშვილი ა. ბერძნები საქართველოში. თბილისი, 2004.
6. სონღულაშვილი ა. ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში. თბილისი, 2002.
7. ჩიქოვანი ნ. ეთნიკური და რელიგიური ფაქტორები ქართველთა კულტურული თვითიდენტიფიკაციის პროცესში (ისტორიული ასპექტი). მარიამ ლორთქიფანიძე 85. თსუ გამომც., თბილისი, 2007, გვ. 116-132.
8. ჩიქოვანი, ნ. კულტურა და რელიგია სამხრეთ კავკასიაში. თბილისი, 2006.
9. Chikovani N. For the problems of intercultural and interreligious dialogue in contemporary Georgia. In Culture dialogue and civil consciousness. Caucasus Institute for Peace, Democracy and Development. Tbilisi, 2010, p. 98-104.
10. Chikovani N. The Problem of the Common Past in Multiethnic Societies (The Case of Georgian History Textbooks). Internationale Schulbuchforschung/International Textbook Research, Volume 30 (2008), Issue 4. Textbooks in the Post-Soviet Caucasus and in Central Asia. Braunschweig, 2008, p. 797-810.
11. Chikovani, N., Kakitelashvili, K. Representation of “others” in the South Caucasus secondary school textbooks. - Contemporary history textbooks in the South Caucasus. Ed. by Lubos Vesely. Prague, AMO Press, 2008, pp. 58-83.
12. Ketevan Kakitelashvili. Instrumentalization of History and History Teaching in Post-Soviet Georgia. Civilization Researches, # 7, 2010, p. 24-29.
13. Ketevan Kakitelashvili. The Role of Religion in Building Intercultural Dialogue and a Tolerant Society. // Culture Dialogue and Civil Consciousness. Religious Dimension of the Intercultural Education, Tbilisi, 2010, p. 46-50.
14. www.culturedialogue.com
15. www.diversity.ge

ოჯახი და ყოველდღიური ცხოვრება

სამუშაო ფურცელი 10. შერეული ქორწინებები საქართველოში XX საუკუნის მეორე ნახევარში

I. სტანდარტთან შესაბამისობა:

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: 47. მეორე მსოფლიო ომი და საქართველო; 48. საქართველო სსრკ-ში XX საუკუნის მეორე ნახევარში; 49. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა; 50. საბჭოთა კავშირის დაშლა; 51. დამოუკიდებელი საქართველო: დამოუკიდებლობის გამოცხადება, 1991-92 წლის სახელმწიფო გადატრიალება, ბრძოლა სეპარატიზმის წინააღმდეგ, „ვარდების რევოლუცია“.

ბ) IX კლასის სამოქალაქო განათლების სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო.

მოქ. IX.9. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ერთმანეთთან საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის დებულებებს;
- მსჯელობს საქართველოში მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის გარანტიებზე.

გ) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემებს:

ჩვენ და ისტორია:

ისტორიის საგანი (რას შეისწავლის ისტორია?); პროფესია - ისტორიკოსი

როგორ ვსწავლობთ ისტორიას:

ა) პირველადი და მეორადი წყაროები

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ. X.4. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს და შეაფასოს ისტორიული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ორ წყაროს, რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე გვაწვდის განსხვავებულ ინფორმაციას, ან გვაძლევს ისტორიული მოვლენის ან პიროვნების განსხვავებულ შეფასებას. მსჯელობს იმ ფაქტორებზე, რომლებმაც განაპირობა კონკრეტული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობა;
- ადარებს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე (პიროვნებაზე) არსებულ ორი (ან სამი) ისტორიკოსის განსხვავებულ თვალსაზრისს, კრიტიკულად აფასებს მას და აყალიბებს საკუთარ შეხედულებას ამ ისტორიული მოვლენის (პიროვნების) შესახებ; **ისტ.X.5. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება.**

შედგვი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ტიპოლოგიურად აჯგუფებს საისტორიო წყაროებს;
 - ერთმანეთისგან ასხვავებს ნარატიულ და დოკუმენტურ საისტორიო მასალას;
- ისტ.X.6. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები.**

შედგვი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს პირველად და მეორად წყაროებზე;
- გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ისტორიული წყაროს ავტორის შესახებ და კრიტიკულად აფასებს, თუ რამდენად სანდოა იგი (მაგ.: იკვლევს იყო თუ არა ავტორი მოვლენის თვითმხილველი, რა წყაროებით სარგებლობდა იგი; მოქმედებდა თუ არა ცენზურა წყაროს ავტორზე);
- განსაზღვრავს ისტორიული წყაროს შექმნის მიზანს - ავტორის მოტივაციას (მაგ.: მხედველობაში იღებს წყაროს ავტორის პირად ურთიერთობას ისტორიული პირთან, მის დამოკიდებულებას უცხოელთა მიმართ, მისი ეპოქის საზოგადოებრივ გარემოს, ფასეულობებსა და მენტალიტეტს);
- ისტორიულ წყაროებზე მუშაობისას ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;
- ისტორიული წყაროდან მიღებულ ინფორმაციას აჯგუფებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, რელიგია, სოციალური ურთიერთობები) მიხედვით;
- აღიქვამს ისტორიულ ეპოქას: ა) აყალიბებს მისთვის საინტერესო ეპოქაში არსებულ ფასეულობებს, შეხედულებებსა და შესაძლებლობებს; აღწერს, თუ როგორ აღიქვამდნენ იმ პერიოდის ადამიანები თავიანთ ეპოქას;

დ) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: **16. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი – საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში, ქართველები მეორე მსოფლიო ომში; 17. მეორე მსოფლიო ომის შედეგები.**

ისტ. XII.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა კულტურების ურთიერთობის კვლევა.

II. ფურცლის ანოტაცია

საკვანძო კითხვა: რომელმა პოლიტიკურმა პროცესებმა იქონია გავლენა საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებაზე XX საუკუნის მეორე ნახევარში?

მოსწავლე, მრავალფეროვანი წყაროების ანალიზის გზით, გააცნობიერებს საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებების თავისებურებებსა და მიზეზებს; გაეცნობა საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ მრავალფეროვნებასა და მისი ცვლილებების დინამიკას XX საუკუნის მეორე ნახევარში.

განმაზოგადოებელი კითხვა: რა ისტორიული მოვლენები ახდენდა გავლენას შერეული ქორწინებების დინამიკაზე?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობამ საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ომის განმავლობაში საქართველოდან 700 000 მეომარი გაიწვიეს. ამან საქართველოს მოსახლეობის და, აქედან გამომდინარე, ოჯახების (შინამეურნეობების) კლება გამოიწვია. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა უმნიშვნელოდ, თუმცა, მაინც იზრდებოდა საბჭოთა კავშირის დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობის გარკვეული ნაწილის საქართველოში ევაკუირების ხარჯზე. ამ მოვლენამ საქართველოში ხელი შეუწყო შერეული ოჯახების მომრავლებას. საპირისპირო მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში XX საუკუნის 80-90-იან წლებში. სამუშაო ფურცელზე მუშაობა მოსწავლეებს საშუალებას მისცემს განსახედონ აღნიშნული მოვლენის ისტორიული წანამძღვრები.

IV. ძირითადი ცნებები: შერეული ქორწინება, პარტიული, კომკავშირული და საბჭოთა ორგანოები, ევაკუაცია, ოკუპაცია, შინამეურნეობა, სტატისტიკა.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი: სამუშაო ფურცელში მოცემული წყაროების ანალიზის საფუძველზე მოსწავლე დაადგენს შერეული ქორწინებების დინამიკის, შერეული ქორწინებების მნიშვნელობის, სირთულეების გადაჭრის საკითხებს.

წინაპირობა: მოსწავლეს შესწავლილი უნდა ჰქონდეს მეორე მსოფლიო ომი და უნდა იცოდეს ამ ომის შედეგები.

აქტივობები:

1. მოსწავლეები ინდივიდუალურად ეცნობიან წერილობით წყარო 1 -ს, შემდეგ მუშაობენ ვიზუალურ წყაროზე 2, ამზადებენ კითხვებზე პასუხს და შერჩევით აკეთებენ პრეზენტაციებს.

2. კლასი იყოფა ჯგუფებად, რომლებიც მუშაობენ წყაროებზე 3-6 და ამზადებენ პასუხებს დავალებებზე 2-3.

3. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში, ეცნობიან წყაროს 7, ამზადებენ კითხვებზე პასუხს (წერილობით ან ზეპირად). შემდეგ მასწავლებლის შერჩევით რამდენიმე მათგანი ზეპირად პასუხობს დავალება 6-ის საკითხებს.

4. გაკვეთილის ბოლო ნაწილი დაეთმობა საკვანძო კითხვაზე (რა ისტორიული მოვლენები ახდენდა გავლენას შერეული ქორწინებების დინამიკაზე?) მსჯელობას და გაკვეთილის შეჯამებას.

VI. წყაროების მიმოხილვა:

წყარო 1 ეხება მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობას

წყარო 2 ა-ბ მოგვითხრობს მეორე მსოფლიო ომის დროს რუსეთიდან საქართველოში ევაკუირებული რუსი გოგონას გლაფირა ოგურცოვასა და ქართველი მოქანდაკის – აგული ერისთავის სიყვარულისა და ოჯახური ცხოვრების ამბავს

წყარო 3 გვაცნობს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებს ოჯახების (შინამეურნეობების*) განაწილებას ეროვნების მიხედვით, სადაც ყველა წევრი ერთი ეროვნებისაა.

წყარო 4 გვაცნობს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებს ოჯახების (შინამეურნეობების) განაწილებას ეროვნების მიხედვით, სადაც ოჯახის წევრები სხვადასხვა ეროვნებისაა.

წყარო 5 გვაცნობს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებს - შერეული ოჯახების (შინამეურნეობების) რაოდენობას ქართველის მონაწილეობით წლების მიხედვით.

წყარო 6. გვაცნობს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებს - შერეული ოჯახების (შინამეურნეობების) რაოდენობას ქალაქად და სოფლად.

წყარო 7-ში მოცემულია კითხვარი-ინტერვიუ რუს და აზერბაიჯანელ მოქალაქეებთან, რომლებსაც შერეული ოჯახები აქვთ.

VII. პასუხები დავალებებზე:

დავალება 1.

1. ფოტოსურათებისა და ფილმის მოკლე შინაარსის გაცნობის შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს გასცეს პასუხი კითხვაზე, რომ ფილმის შექმნის იდეა იყო იმ პრობლემების წარმოჩენა, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას შერეული ოჯახების მაგალითზე და როგორ შეიძლება ამ პრობლემების დაძლევა.

2. ორივე წყარო გადმოგვცემს ინფორმაციას საქართველოში ევაკუირებული პირების შესახებ

3. წყაროების შესწავლის გზით მოსწავლემ უნდა დაასკვნას, რომ მეორე მსოფლიო ომმა მოახდინა გავლენა შერეული ქორწინებების ზრდაზე საქართველოში.

დავალება 2.

შერეულ ქორწინებათა პროცენტული მაჩვენებლების განსაზღვრა

1979 ---

1989 ---

2002 ---

დავალება 3.

1. შემცირდა ეთნიკური ოსების, აფხაზებისა და რუსების რაოდენობა

2. შესაბამისად შემცირდა შერეული ქორწინებების რაოდენობა

3.

1. ქართველი და რუსი

2. ქართველი და სომეხი

3. ქართველი და ოსი

4. ქართველის გარეშე

5. ქართველი და სხვ.

6. ქართველი და აზერბაიჯანელი

7. ქართველი და ბერძენი

8. ქართველი და აფხაზი

დავალება 4

1979 -

1989 -

2002 -

დავალება 5

სოფლად ძირითადად ერთი ეროვნების მოსახლეობა კომპაქტურად არის დასახლებული, ქალაქებში კი ჭარბობს ეთნიკური სიჭრელე, რაც იწვევს შერეული ოჯახების სიმრავლეს.

დავალება 6.

1. ოთხი წლის შემდეგ; ორივე ენა კარგად იციან

2. პავლე I – ეკატერინე II

3. საქართველო ჩემი სამშობლოა

განსაკუთრებულ სიყვარულს ვგრძნობ მეზობლებისგან

4. ენობრივი ბარიერი, სასურველია, დაიძლიოს ოჯახის ორივე წევრის მშობლიური ენის შესწავლით.

განმაზოგადებელი კითხვის სავარაუდო პასუხი: მეორე მსოფლიო ომი, ეთნოკონფლიქტები

სამუშაო ფურცელი 11. ერთი ქუჩა მარნეულში

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: **48. საქართველო სსრკ-ში XX საუკუნის მეორე ნახევარში: 49. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა**

ისტ.IX.6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საქართველოში არსებული რელიგიებისა და მათი აქ გავრცელების ისტორიული მიზეზების შესახებ.

შედგეი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადგენს საქართველოში სხვადასხვა ეპოქაში არსებული რელიგიებისა და კონფესიების სიას და მსჯელობს მათი ურთიერთობების შესახებ როგორც ერთმანეთთან, ასევე სახელმწიფოსთან;

ბ) IX კლასის სამოქალაქო განათლების სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემებს:

კონფლიქტის განვითარებისა და მოგვარების გზები

მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო

მოქ.IX.7. მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს საქართველოს მრავალფეროვნების ძირითად მახასიათებლები.

შედგეი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის საზოგადოების მრავალფეროვნების დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც ვრცელდება საქართველოს მოსახლეობაზე;
- საკუთარი სკოლის ან დასახლების მაგალითზე, ადგენს საზოგადოების მრავალფეროვნების დიაგრამას;
- მსჯელობს საქართველოს მოსახლეობაში უმრავლესობისა და უმცირესობის გამოყოფის პრინციპებზე სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (მაგალითად, ეთნიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური და სხვ.);
- საქართველოს მოსახლეობის მაგალითზე წარმოადგენს იმ ჯგუფებს, რომლებიც გაერთიანებულია მრავალფეროვნების რამდენიმე ნიშნის მიხედვით (მაგალითად, ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური ან სოციალური, სქესობრივი და ასაკობრივი);
- ირჩევს საქართველოს ერთ-ერთ რეგიონს, ახასიათებს მის მოსახლეობას მრავალფეროვნების ნიშნების მიხედვით და ასახელებს არსებული მრავალფეროვნების ისტორიულ-გეოგრაფიულ მიზეზებს.

გ) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: 6. როგორ ვსწავლობთ ისტორიას:

- ა) პირველადი და მეორადი წყაროები
- ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ.X.5. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ტიპოლოგიურად აჯგუფებს საისტორიო წყაროებს;
- ერთმანეთისგან ასხვავებს ნარატიულ და დოკუმენტურ საისტორიო მასალას;
- აღიქვამს ეთნოგრაფიული და არქეოლიგიური მონაცემების, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობას;
- აღიქვამს ლინგვისტური მონაცემების, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობას;
- საუბრობს ფოლკლორული მასალის, როგორც საისტორიო წყაროს შესახებ.

დ) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემებს: 14. საზოგადოება და კულტურა XX ს-ის პირველ ნახევარში (საზოგადოება და

კულტურა XX საუკუნის პირველი ნახევარის საქართველოში);
25. საზოგადოება და კულტურა თანამედროვეობაში: პოსტ-ინ-
დუსტრიული საზოგადოებიდან ინფორმაციულ საზოგადოებამდე
ისტ. XII.7. მსჯელობს რელიგიის, როგორც იდენტობის ერთ-
ერთ საშუალების, მნიშვნელობაზე თანამედროვე მსოფლიოში.

ისტ. XII.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა კულტურების
ურთიერთობის კვლევა.

II. ფურცლის ანოტაცია

*საკვანძო კითხვა: როგორი იყო სხვადასხვა ეთნიკური და რე-
ლიგიური ჯგუფის თანაცხოვრების ტრადიციები მარნეულში XX
საუკუნის ბოლოს?*

მოსწავლე, საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის - მარნეულის
მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების მაგალითზე, სხვადასხ-
ვა ხასიათის წყაროებზე დაყრდნობით, გაანალიზებს როგორ
მოხდა სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანთა ტრადიციებისა
და კულტურის დაახლოება.

*განმაზოგადოებელი კითხვა: რა არის მარნეულში სხვადასხვა
ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთობის დამახასიათე-
ბელი ნიშანი?*

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

საქართველოს სამხრეთ ნაწილში, სომხეთისა და აზერბაი-
ჯანის საზღვრებთან მდებარეობს მარნეულის რაიონი, რომელიც
კომპაქტურად არის დასახლებული ეთნიკური აზერბაიჯანელებ-
ით. ეთნიკური ქართველები და სხვა ეროვნების წარმომადგე-
ბლები იქ უმცირესობას წარმოადგენენ, თუმცა, ხშირია შერეული
ქორწინებები. სამუშაო ფურცელზე მუშაობა მოსწავლეებს საშუ-
ალებას მისცემს განსაზღვრონ როგორი იყო სხვადასხვა ეთ-
ნიკური და რელიგიური ჯგუფის თანაცხოვრების ტრადიციები
მარნეულში XX საუკუნის ბოლოს.

IV. ძირითადი ცნებები: ეთნიკური და რელიგიური ჯგუფი,
ტრადიცია, „ნოვრუზ“-ბაირამი, „სემენი“, აღდგომა.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი: წყაროების ანალიზის საფუძველზე
მოსწავლეებს შეეძინებათ წარმოდგენა, თუ როგორი იყო სხ-
ვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის თანაცხოვრების
ტრადიციები მარნეულში XX საუკუნის ბოლოს.

წინაპირობა:

სამუშაო ფურცელი შესაძლებელია კლასში შეტანილ იქნას მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეისწავლიან XX საუკუნის საქართველოს ისტორიას.

აქტივობები:

1. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს ჩაუტარეთ მინილექცია მარნეულის რაიონის შესახებ. უთხარით მათ, რომ ამ რაიონში, რომელიც კომპაქტურად არის დასახლებული აზერბაიჯანელებით, ქართველები და სხვა ეროვნების წარმომადგებლები უმცირესობას წარმოადგენენ, თუმცა, ხშირია შერეული ქორწინებები.

2. მოსწავლეები წყვილებში ეცნობიან წყაროებს 1-3 და ამზადებენ პასუხებს დავალება 1-3-ის მიხედვით. მასწავლებელი შერჩევით მოისმენს რამდენიმე წყვილის ზეპირ პასუხებს.

3. მოსწავლეები დაიყოფიან 4 კაციან ჯგუფებად, გაეცნობიან წყაროებს 4-5. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს ინდივიდუალურად, შემდეგ შეაჯერებენ თავიანთ ნამუშევრებს და ჩამოაყალიბებენ დავალება 5-ის შეჯერებულ ვერსიას.

4. თითოეული ჯგუფი აკეთებს შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას. ჯგუფები ერთმანეთს უსვამენ კითხვებს.

5. გაკვეთილის ბოლო ნაწილი დაეთმობა განმაზოგადებელ კითხვაზე (რა არის მარნეულში სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთობის დამახასიათებელი ნიშანი) მსჯელობას და გაკვეთილის შეჯამებას.

VI. წყაროების მიმოხილვა:

წყარო 1. მარნეულის რაიონის რუკა. მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ რაიონის საზღვრებს: ვინ ესაზღვრება მას?

წყაროში 2 მოცემულია ცხრილი, რომელიც ასახავს მარნეულის რაიონის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას.

წყარო 3-ში მოცემულია მართლმადიდებლური ეკლესია და მეჩეთი, რომლებიც მარნეულში XX საუკუნის ბოლოს აშენდა. წყაროებში 4-5-ში მოცემულია ინტერვიუები ქართულ-აზერბაიჯანული და აზერბაიჯანულ-ბერძნული ოჯახების წევრებთან და ასახავს ამ ოჯახების ტრადიციებს.

VII. პასუხები დავალებებზე:

დავალება 1.

1. მარნეულის რაიონის საზღვრის დიდი ნაწილი გადის საქართველოს რაიონებთან და სომხეთთან, მცირე ნაწილი კი აზერ-

ბაიჯანთან. საქართველოს რაიონებიდან მარნეულის რაიონი ესაზღვრება: ბოლნისის, თეთრი წყაროსა და გარდაბნის რაიონებს.

2. მარნეულის რაიონის ამგვარი მდებარეობა ადგილობრივ მოსახლეობას ასწავლის სხვა ეროვნებების წარმომადგენლების ტრადიციებისა და კულტურის პატივისცემას, რაც ხელს შეუწყობს ეროვნებათაშორისი მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებას.

დავალება 2.

მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ, რა ცვლილებები მოხდა საქართველოში 1980-90-იან წლებში, დააღვაწონ ეს ცვლილებები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, შეისწავლონ ცხრილი და გამოთქვან ვარაუდი, რა იყო მარნეულის რაიონის მოსახლეობი ეთნიკური შემადგენლობის ცვლილების მიზეზები.

ცხრილში ჩანს აზერბაიჯანული მოსახლეობის მკვეთრი მატება 1979 –დან 2002 წლამდე. რამ გამოიწვია აზერბაიჯანული მოსახლეობის ასეთი მატება? მხოლოდ ბუნებრივმა მატებამ? მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან ვარაუდი, მოახდინა თუ არა ეთნო-კოფლიქტებმა გავლენა ამ ფაქტზე.

დავალება 3.

მოსწავლეები უნდა შეეცადონ ახსნან, რა პროცესებზე მეტყველებს ამ საკულტო ნაგებობების მშენებლობის თარიღები.

დავალება 4.

მოსწავლემ წყარო 4-ის შესწავლის საფუძველზე უნდა გამოთქვას მოსაზრება: მამედოვების ოჯახში ნოვრუზ-ბაირამს რელიგიური დღესასწაულის მნიშვნელობით ზეიმობენ, თუ მას უფრო საოჯახო დღესასწაულის მნიშვნელობა აქვს და წყაროში უნდა მოძებნოს თავისი მოსაზრების დამადასტურებელი სიტყვები.

დავალება 5:

მოსწავლემ წყარო 5-ის ანალიზის საფუძველზე უნდა ახსნას, რით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ იმ ოჯახში, სადაც ყველა მამაკაცი მუსლიმია, აღნიშნავდნენ აღდგომას; განიხილოს, რა რელიგიური ტრადიციები ჩამოყალიბდა ამ ოჯახში. წყაროებში 4-5 მოცემული ფოტოსურათების მიხედვით შეადაროს, რა არის საერთო ამ ორი რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციაში.

განმაზოგადებელი კითხვის სავარაუდო პასუხი: ურთიერთგაგება, ურთიერთთანაგრძნობა, პატივისცემა ერთმანეთის ტრადიციებისადმი

სამუშაო ფურცელი 12. ხალხთა „ჭიანჭველების ბუდე“ ჩაქეში

I. სტანდარტთან შესაბამისობა:

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **48. საქართველო სსრკ-ში XX საუკუნის მეორე ნახევარში.**

ისტ. IX.6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საქართველოში არსებული რელიგიებისა და მათი აქ გავრცელების ისტორიული მიზეზების შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადგენს საქართველოში სხვადასხვა ეპოქაში არსებული რელიგიებისა და კონფესიების სიას და მსჯელობს მათი ურთიერთობების შესახებ როგორც ერთმანეთთან, ასევე სახელმწიფოსთან;

ბ) IX კლასის სამოქალაქო განათლების სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: **6. კონფლიქტის განვითარებისა და მოგვარების გზები მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო**

მოქ. IX.7. მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს საქართველოს მრავალფეროვნების ძირითად მახასიათებლები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის საზოგადოების მრავალფეროვნების დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც ვრცელდება საქართველოს მოსახლეობაზე;
- საკუთარი სკოლის ან დასახლების მაგალითზე, ადგენს საზოგადოების მრავალფეროვნების დიაგრამას;
- აკავშირებს ერთმანეთთან ადამიანური ღირსების, თანასწორობისა და საზოგადოების მრავალფეროვნების ნიშნებს;
- მსჯელობს საქართველოს მოსახლეობაში უმრავლესობისა და უმცირესობის გამოყოფის პრინციპებზე სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (მაგალითად, ეთნიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური და სხვ.);
- საქართველოს მოსახლეობის მაგალითზე წარმოადგენს იმ ჯგუფებს, რომლებიც გაერთიანებულია მრავალფეროვნების რამდენიმე ნიშნის მიხედვით (მაგ.: ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური ან სოციალური, სქესობრივი და ასაკობრივი);

- ირჩევს საქართველოს ერთ-ერთ რეგიონს, ახასიათებს მის მოსახლეობას მრავალფეროვნების ნიშნების მიხედვით და ასახელებს არსებული მრავალფეროვნების ისტორიულ-გეოგრაფიულ მიზეზებს.

გ) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს:

ჩვენ და ისტორია:

- ისტორიის საგანი (რას შეისწავლის ისტორია?); პროფესია - ისტორიკოსი

როგორ ვსწავლობთ ისტორიას:

- ა) პირველადი და მეორადი წყაროები
- ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ.X.4. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს და შეაფასოს ისტორიული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციები.

შედგეი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღარებს ორ წყაროს, რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე გვაწვდის განსხვავებულ ინფორმაციას, ან გვაძლევს ისტორიული მოვლენის ან პიროვნების განსხვავებულ შეფასებას. მსჯელობს იმ ფაქტორებზე, რომლებმაც განაპირობა კონკრეტული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობა;
- აღარებს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე (პიროვნებაზე) არსებულ ორი (ან სამი) ისტორიკოსის განსხვავებულ თვალსაზრისს, კრიტიკულად აფასებს მას და აყალიბებს საკუთარ შეხედულებას ამ ისტორიული მოვლენის (პიროვნების) შესახებ;

ისტ.X.5. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება.

შედგეი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ტიპოლოგიურად აჯგუფებს საისტორიო წყაროებს;
- ერთმანეთისგან ასხვავებს ნარატიულ და დოკუმენტურ საისტორიო მასალას;

ისტ.X.6. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები.

შედგეი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს პირველად და მეორად წყაროებზე;
- გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ისტორიული წყაროს ავტორის შესახებ და კრიტიკულად აფასებს, თუ რამდენად

სანდოა იგი (მაგ.: იკვლევს იყო თუ არა ავტორი მოვლენის თვითმხილველი, რა წყაროებით სარგებლობდა იგი; მოქმედებდა თუ არა ცენზურა წყაროს ავტორზე);

- განსაზღვრავს ისტორიული წყაროს შექმნის მიზანს - ავტორის მოტივაციას (მაგ.: მხედველობაში იღებს წყაროს ავტორის პირად ურთიერთობას ისტორიული პირთან, მის დამოკიდებულებას უცხოელთა მიმართ, მისი ეპოქის საზოგადოებრივ გარემოს, ფასეულობებსა და მენტალიტეტს);
- განსხვავებს იმ ინფორმაციას, რომლის მოწოდებაც წყაროს ავტორის უპირველესი მიზანია, წყაროში არსებული ყველა სხვა ცნობისაგან;
- პირველად წყაროებზე მუშაობისას მხედველობაში იღებს ისტორიული მოვლენის მონაწილეების განსხვავებულ ფასეულობებს, ინტერესებს, შეხედულებებს, მოტივებსა და სხვა ადამიანურ ფაქტორებს;
- ისტორიულ წყაროებზე მუშაობისას ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;
- ისტორიული წყაროდან მიღებულ ინფორმაციას აჯგუფებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, რელიგია, სოციალური ურთიერთობები) მიხედვით;
- აღიქვამს ისტორიულ ეპოქას: ა) აყალიბებს მისთვის საინტერესო ეპოქაში არსებულ ფასეულობებს, შეხედულებებსა და შესაძლებლობებს; აღწერს, თუ როგორ აღიქვამდნენ იმ პერიოდის ადამიანები თავიანთ ეპოქას; ბ) ცდილობს თავიდან აიცილოს წარსული ეპოქის მხოლოდ დღევანდელი გადასახედოდან შეფასება.

დ) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემებს:

14. საზოგადოება და კულტურა XX ს-ის პირველ ნახევარში;

25. საზოგადოება და კულტურა თანამედროვეობაში

ისტ. XII.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა კულტურების ურთიერთობის კვლევა.

II. ფურცლის ანოტაცია

საკვანძო კითხვა: რატომ ეძახიან ჩაქვს „ხალხთა ჭიანჭველების ბუდეს“?

მოსწავლე, გაეცნობა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მრავალეთნიკური სოფლის – ჩაქვის ისტორიული განვითარებას XX საუკუნის განმავლობაში. წყაროებზე დაყრდნობით,

ის განაალიზებს, თუ რა არის იმის მიზეზი, რომ საუკუნოვანი თანაცხოვრების პირობებში, ჩაქვში ეთნიკურ ნიადაგზე არ მომხდარა არც ერთი კონფლიქტი; რა აერთიანებს ერთმანეთისაგან ეთნიკური და რელიგიური ნიშნით განსხვავებულ ადამიანებს, რა განაპირობებს მათ მშვიდობიან თანაცხოვრებას მრავალი წლის განმავლობაში.

განმაზოგადოებელი კითხვა: რა არის საჭირო იმისათვის, რომ ადამიანები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ მრავალეთნიკურ დასახლებაში?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ საქართველოს შავი ზღვისპირეთში, კერძოდ, დაბა ჩაქვის მიდამოებში მომრავლდა სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობა, მათ შორის, ქართველები (ქრისტიანები და მუსლიმები), რუსები, ბერძნები, სომხები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, ქურთები, ბულგარელები, ლატვიელები, ლიტველები, ესტონელები,

უზბეკები, ჩეჩნები, ოსები, მოლდაველები... ჩაქვში ხალხი მასობრივად 1930-იან წლებში ჩამოსახლეს, როცა რუსეთში საშინელი შიმშილი იყო.

სამუშაოს საძებნელად დაძრული გაჭირვებული ადამიანები სამუშაოს პოულობდნენ ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობასა და ჩაის გადამამუშავებელ ფაბრიკაში. მათვე ევალებოდათ ჭაობების ამოშრობა ჩაის პლანტაციების გასაშენებლად. XXI საუკუნის დასაწყისში დაემატნენ თურქები, ჩინელები, არაბები და სხვა, თუმცა, ჩინელები აქ ადრეც იყვნენ.

მოსახლეობის მრავალეთნიკურმა შემადგენლობამ ხელი შეუწყო ჩაქვში შერეული ოჯახების მომრავლებას. მიუხედავად მოსახლეობის სიჭრელისა, ჩაქვში არ ყოფილა ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტები. სამუშაო ფურცელზე მუშაობა მოსწავლეებს საშუალებას მისცემს განსაზღვრონ, რამ განაპირობა ამგვარი მდგომარეობა.

IV. ძირითადი ცნებები: ხალხთა „ჭიანჭველების ბუდე“, რასა, საიმპერატორო ოჯახი, საუფლისწულო უწყება, მრავალეთნიკური საზოგადოება, მშვიდობიანი თანაცხოვრება.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი: სამუშაო ფურცელში მოცემული წყ-

აროების ანალიზის საფუძველზე მოსწავლე დაადგენს, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ ადამიანები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ მრავალეთნიკურ ქალაქში.

წინაპირობა: მოსწავლეს შესწავლილი უნდა ჰქონდეს XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორია: კოლექტივიზაციის, ინდუსტრიალიზაციის ხანა, მეორე მსოფლიო ომი.

აქტივობები:

1. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს მინი-ლექციით ან კითხვებით გაახსენეთ კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ხანა საქართველოში, მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოში შექმნილი სირთულეები.

2. დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა წყარო 1-ის მიხედვით: რამდენად შეესაბამება კრიტიკის გამონათქვამი (იგი კავკასიას ხალხთა ჭიანჭველების ბუდეს უწოდებს) ჩაქვის სინამდვილეს და რატომ?

3. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებად 1-6 წყაროებზე და ამზადებენ კითხვებზე პასუხს დავალება 1-ის მიხედვით. მასწავლებლის სურვილის მიხედვით, ჯგუფებში ცალკეულ საკითხებზე აკეთებენ პრეზენტაციებს. ჯგუფები ერთმანეთს კითხვებს უსვამენ.

4. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად წყაროებზე 7-8 და ამზადებენ კითხვებზე პასუხს დავალება 2-3-ის მიხედვით. მასწავლებლის შერჩევით, რამდენიმე წყვილი ზეპირად პასუხობს დავალებების საკითხებს. მოსწავლეები უპასუხებენ აგრეთვე საკვანძო და განმაზოგადებელ კითხვებს.

VI. წყაროების მიმოხილვა:

წყარო 1 გადმოგვცემს უცხოელი მეცნიერის კ. რიტერის ცნობებს კავკასიის მოსახლეობის შესახებ.

წყაროში 2 ა-დ მოთხრობილია ჩაქვის შექმნის ისტორია.

წყაროში 3 მოცემულია ინტერვიუ ჩაქვის ხანდაზმულ მკვიდრთან აკაკი ბეჭვაიასთან ჩაქვის მრავალეთნიკური მოსახლეობის შესახებ.

წყაროები 4-5 ასახავს ჩაქვის მრავალეთნიკური მოსახლეობის ყოფაცხოვრებას XX საუკუნის შუა ხანებში.

წყარო 6 გადმოგვცემს ჩაქვის გამგეობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს ჩაქვის მოსახლეობის შესახებ.

წყარო 7-ში გადმოცემულია ინტერვიუ ჩაქვის მკვიდრთან ი. გორგილაძესთან, რომელიც საუბრობს ჩაქვში ტურიზმის გან-

ვითარებისა და მისი შედეგების შესახებ.

წყაროში 8 მოცემულია ინტერვიუ ჩაქველებთან, რომლებიც თავიანთი დასახლების შესახებ მოგვითხრობენ.

VII. პასუხები დავალებებზე:

დავალება 1.

1. ხაზი უნდა გაესვას შემდეგ საკვანძო სიტყვებს: ვრცელი ჩელტიკის ანუ ბრინჯის ყანა; ჩაქვის ხეობა ნაყოფიერი მიწებით გაცილებით მდიდარი იყო, ხოლო მოსახლეობა - შედარებით მცირე; მიტოვებული მიწები; გაჭირვებული ადამიანები სიხარულით მოდიოდნენ და ასრულებდნენ უმძიმეს სამუშაოს, ოღონდ ლუკმა-პური ჰქონოდათ. რუსეთში საშინელი შიმშილი იყო.

2. მათ იშოვნეს სამუშაო, რომელიც ასე სჭირდებოდათ, თანდათან შეიძინეს ბინები, შექმნეს ოჯახები, მიეწვივნენ ამ მიდამოებში ცხოვრებას.

3. სხვადასხვა დროს ჩაქვში მრავალი ეროვნების ადამიანი ჩამოსახლდა. ისინი ერთად შრომობდნენ და აშენებდნენ ახალ სოფელს, რომელიც მათ სამშობლოდ იქცა. აქ თავს უცხოდ არავინ თვლიდა, მათ შორის, არც მე ვიგრობდი თავს უცხოდ.

დავალება 2.

მშვიდობიანი თანაცხოვრება მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას უწყობს ხელს.

დავალება 3.

მაგალითისთვის: დაპირისპირების არც ერთი ფაქტი;

განმაზოვადებელი კითხვის სავარაუდო პასუხი: სიბოლო, მეგობრობა და ურთიერთთანადგომა, მატერიალური კეთილდღეობა.

VIII. ბიბლიოგრაფია:

დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბილისი, 1864.

ო. თურმანიძე, საადგილმამულო ურთიერთობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში, ბათუმი, 2001.

სამუშაო ფურცელი 13.

უდიები XX საუკუნის ქართულ გარემოში

I. სტანდარტთან შესაბამისობა:

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო ში-

ნაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემებს: 48. საქართველო სსრკ-ში XX საუკუნის მეორე ნახევარში: 49. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა

ისტ. IX.6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საქართველოში არსებული რელიგიებისა და მათი აქ გავრცელების ისტორიული მიზეზების შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადგენს საქართველოში სხვადასხვა ეპოქაში არსებული რელიგიებისა და კონფესიების სიას და მსჯელობს მათი ურთიერთობების შესახებ როგორც ერთმანეთთან, ასევე სახელმწიფოსთან;
- ბ) IX კლასის სამოქალაქო განათლების სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემებს:
მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო

მოქ. IX.7. მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს საქართველოს მრავალფეროვნების ძირითად მახასიათებლები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის საზოგადოების მრავალფეროვნების დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც ვრცელდება საქართველოს მოსახლეობაზე;
- საკუთარი სკოლის ან დასახლების მაგალითზე, ადგენს საზოგადოების მრავალფეროვნების დიაგრამას;
- აკავშირებს ერთმანეთთან ადამიანური ღირსების, თანასწორობისა და საზოგადოების მრავალფეროვნების ნიშნებს;
- მსჯელობს საქართველოს მოსახლეობაში უმრავლესობისა და უმცირესობის გამოყოფის პრინციპებზე სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (მაგ. ეთნიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური და სხვ.);
- საქართველოს მოსახლეობის მაგალითზე წარმოადგენს იმ ჯგუფებს, რომლებიც გაერთიანებულია მრავალფეროვნების რამდენიმე ნიშნის მიხედვით (მაგ.: ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური ან სოციალური, სქესობრივი და ასაკობრივი);
- ირჩევს საქართველოს ერთ-ერთ რეგიონს, ახასიათებს მის მოსახლეობას მრავალფეროვნების ნიშნების მიხედვით და ასახელებს არსებული მრავალფეროვნების ისტორიულ-გეოგრაფიულ მიზეზებს.

გ) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: **როგორ ვსწავლობთ ისტორიას:**

ა) პირველადი და მეორადი წყაროები

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია
ისტ.X.5. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების
კლასიფიცირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ტიპოლოგიურად აჯგუფებს საისტორიო წყაროებს;
- ერთმანეთისგან ასხვავებს ნარატიულ და დოკუმენტურ საისტორიო მასალას;
- აღიქვამს ეთნოგრაფიული და არქეოლიგიური მონაცემების, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობას;
- აღიქვამს ლინგვისტური მონაცემების, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობას;
- საუბრობს ფოლკლორული მასალის, როგორც საისტორიო წყაროს შესახებ.

დ) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემებს: 14. საზოგადოება და კულტურა XX ს-ის პირველ ნახევარში (საზოგადოება და კულტურა XX საუკუნის პირველი ნახევარის საქართველოში); 21. საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. 25. საზოგადოება და კულტურა თანამედროვეობაში: პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოებიდან ინფორმაციულ საზოგადოებამდე.

ისტ. XII.7. მსჯელობს რელიგიის, როგორც იდენტობის ერთ-ერთ საშუალების, მნიშვნელობაზე თანამედროვე მსოფლიოში.

ისტ. XII.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა კულტურების ურთიერთობის კვლევა.

II. ფურცლის ანოტაცია

საკვანძო კითხვა: როგორ ცხოვრობდნენ უდიები XX საუკუნის ქართულ გარემოში?

მოსწავლე გაეცნობა საქართველოს მოსახლეობის ალბანური წარმომშობის ერთ-ერთი მცირეციცხოვანი ეთნიკური ჯგუფის – უდიების ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას ქართველების გარემოცვაში. საერთო საკლასო დისკუსიის გზით მოსწავლე თავად გამოთქვამს მოსახრებებს, როგორ უნდა მოხდეს უდიების ინტეგრირება ქართულ საზოგადოებრიობასთან ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას მათი ტრადიციები და თვითმყოფადობა.

ვანმაზოვადოებელი კითხვა: რა ფაქტორებს შეუძლია მცირერიცხოვანი ხალხების თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

XX საუკუნის 20-იან წლებში აზერბაიჯანში მომხდარი ეთნოკონფლიქტის შემდეგ საქართველოში გადმოსახლეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ძველად არსებული სახელმწიფოს – ალბანეთის ძირძველი მოსახლეობის – უდიეების გარკვეული ნაწილი. ყვარლის რაიონში დასახლებულმა უდიებმა დღემდე შემოინახეს ქრისტიანული რწმენა და მშობლიური ენა. დღესდღეობით უდიეების უდიდეს უმრავლესობას შექმნილი აქვს შერეული ოჯახები, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ახერხებენ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. სამუშაო ფურცელზე მუშაობა მოსწავლეებს საშუალებას მისცემს გაიაზრონ, რა ფაქტორებს შეუძლია მცირერიცხოვანი ხალხების თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა?

IV. ძირითადი ცნებები: უდიები, თვითმყოფადობა.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი: წყაროების ანალიზის საფუძველზე მოსწავლეები დაადგენენ, თუ როგორ ცხოვრობდნენ უდიები XX საუკუნის ქართულ გარემოში.

წინაპირობა:

სამუშაო ფურცელი შესაძლებელია კლასში შეტანილ იქნას მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეისწავლიან XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიას.

აქტივობები:

1. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს ჩაუტარეთ მინი ლექცია უდიეების წარმოშობის შესახებ. უთხარით მათ, რომ უდიელები ერთ-ერთი უძველესი ხალხის – ალბანელების შთამომავლები არიან, ალბანეთი დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

2. მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობენ წყაროებზე 1-4 და ამზადებენ კითხვებზე პასუხებს დავალება 1-ის მიხედვით. მოსწავლეების შერჩევით რამდენიმე მათგანი ზეპირად უპასუხებს კითხვებს.

3. კლასი დაყავით რამდენიმე ჯგუფად. ჯგუფები იმუშავენ წყაროებზე 5-7 და მოამზადებენ პასუხებს დავალება 2-5-ის მიხედვით.

4. თითოეული ჯგუფი აკეთებს შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას. ჯგუფები ერთმანეთს უსვამენ კითხვებს.

5. გაკვეთილის ბოლო ნაწილი დაეთმობა განმარტებულ

კითხვაზე (რა ფაქტორებს შეუძლია მცირერიცხოვანი ხალხების თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეუწყობა?) მსჯელობას და გააკეთოთ შიშაშემატება.

VI. წყაროების მიმოხილვა:

წყარო 1 – მოცემულია საბჭოთა კავშირის რუკა

წყაროში 2 ასახულია უდიდების რაოდენობა სსრკ-ში 1989 წლისათვის

წყარო 3-ში მოცემულია უდიდების განსახლება საბჭოთა კავშირში XX საუკუნეში.

წყარო 4-ში გადმოცემულია წარმოშობით უდიდები ქალბატონის მონათხრობი უდიდების შესახებ.

წყარო 5-ში მოცემულია უდიდების საზოგადო მოღვაწის ზ. სილიკაშვილის 1924 წლის 22 აპრილის მიმართვა განათლების სახალხო კომისრის მიმართ.

წყარო 6. ფოტოზე ასახული არიან უდიდების გამაჩენილი წარმომადგენლები ძმები ბეჟანიშვილები (XX საუკუნის 30-იანი წლები).

წყარო 7 გადმოგვცემს ინფორმაციას უდიდური დამწერლობისა და ენის შესახებ, მოცემულია ალბანური დამწერლობის ნიმუში. განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ ალბანელები უდიდების წინაპრები იყვნენ.

წყაროში 8 მოცემულია საათობრივი ბადე, ჩამოთვლილია საგნები, რომლებსაც უდიდები თანამედროვე სკოლაში სწავლობენ, განსაზღვრულია საათების რაოდენობა.

VII. პასუხები დავალებზე:

დავალება 1.

1 ა) წყარო 2-ის მიხედვით მოსწავლეებმა რუკაზე უნდა დაიტანონ მონაცემები უდიდების განსახლების შესახებ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. რუკაზე დატანილი მონაცემების მიხედვით ისინი დაადგენენ, რომ უდიდები არ ცხოვრობენ სომხეთის, ლიტვის, ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში.

1 ბ) აზერბაიჯანის სსრ-ში, რადგან ამ ტერიტორიაზე მდებარეობდა ქვეყანა ალბანეთი, რომელიც იყო უდიდების ძირძველი სამშობლო.

2 ა) მოსწავლეებმა წყარო 3-ის მიხედვით, უნდა დაადგინონ უდიდების რაოდენობის ცვლილების ტენდენცია საბჭოთა კავშირისა და საქართველოში.

ბ) მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან ვარაუდები ამ ტენდენ-

ციების მიზეზების შესახებ.

დავალება 2.

მოსწავლეები წყარო 5-ზე დაყრდნობით მსჯელობენ, როგორი პირობები შეიქმნა უდი ახალგაზრდობის განვითარებისათვის 1920-იან წლებში საქართველოში მათი გადმოსახლების შემდეგ: უდიების ახალ სოფელში დაარსდა ახალი ტიპის სასოფლო სკოლა შვიდწლელი, მსგავსად, გერმანული სასოფლო სკოლისა,

სადაც მოსწავლეები დღეში შვიდ საათს მეცადინეობდნენ. სამ საათს სწავლობდნენ ზოგად საგნებს, ოთხ საათს კი ანდომებდნენ ფიზიკურად შრომას. ისინი მუშაობდნენ სკოლის ფერმაში, ბოსტანში, ვენახში, საფუტკრეში და სხვა.

დავალება 3.

მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი, რომ უდიები საზოგადოების აქტიური წევრები გამხდარიყვნენ, ფაქტორებს შორის უნდა დაასახელონ განათლების საკითხის წარმატებით გადაჭრა სოფელ ზინობიანში.

დავალება 4.

მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ, რა გზით ახერხებენ უდიები თვითმყოფადობის შენარჩუნებას: ვინაიდან დღეს-დღეობით სოფელ ზინობიანში თითქმის არავინ საუბრობს უდიურად და ყველა ღაპარაკობს ქართულად, რადგან ყოველ ოჯახში არის ქართველი რძალი ან ქართველი სიძე. შესაძლებელია, დროთა განმავლობაში უდიური ენა დაიკარგოს. უდიების თვალსაჩინო წარმომადგენელთა აზრით, საჭიროა, რომ ადამიანებმა, რომლებიც კარგად ფლობენ ენას, უდიური ენის სწავლების კურსი შეადგინონ, რაც ახალგაზრდა თაობას მშონლიური ენის შესწავლის საშუალებას მისცემს.

დავალება 5.

1. ქართული, რუსული, ინგლისური, უდიური.

2. მშობლიური ენის გარდა უდი ბავშვები სწავლობენ ყველა იმ ენას, რომელიც პრიორიტეტულია საქართველოში, ყველა იმ საგანს, რომლებიც ისწავლება საქართველოს საჯარო სკოლებში. ამდენად, მათ სრული საშუალება ეძლევათ გახდნენ თანამედროვე საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

განმაზოგადებელი კითხვის სავარაუდო პასუხი: მცირე ერების თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად აუცილებელია მათი ენის, რელიგიის, ზოგადად, კულტურის დაცვა.

VIII. ბიბლიოგრაფია:

ე. ნეშუმაშვილი, ვინ არიან უდინები, თბ., 2002.

გ. ჩავადოვი, უდილარი, ბაქო, 1999 (რუსულ ენაზე).

„ეთნოსები საქართველოში“, თბილისი, 2008.

სამუშაო ფურცელი 14.

ქისტები XX საუკუნის საქართველოში

I. სტანდარტთან შესაბამისობა.

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: 48. საქართველო სსრკ-ში XX საუკუნის მეორე ნახევარში: 49. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა 50. საბჭოთა კავშირის დაშლა 51. დამოუკიდებელი საქართველო: დამოუკიდებლობის გამოცხადება, 1991-92 წლის სახელმწიფო გადატრიალება, ბრძოლა სეპარატიზმის წინააღმდეგ, “ვარდების რევოლუცია”.

ისტ. IX.6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საქართველოში არსებული რელიგიებისა და მათი აქ გავრცელების ისტორიული მიზეზების შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადგენს საქართველოში სხვადასხვა ეპოქაში არსებული რელიგიებისა და კონფესიების სიას და მსჯელობს მათი ურთიერთობების შესახებ როგორც ერთმანეთთან, ასევე სახელმწიფოსთან;

ბ) IX კლასის სამოქალაქო განათლების სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: 6. კონფლიქტის განვითარებისა და მოგვარების გზები. მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო

მოქ. IX.7. მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს საქართველოს მრავალფეროვნების ძირითად მახასიათებლები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის საზოგადოების მრავალფეროვნების დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც ვრცელდება საქართველოს მოსახლეობაზე;
- საკუთარი სკოლის ან დასახლების მაგალითზე, ადგენს საზოგადოების მრავალფეროვნების დიაგრამას;
- აკავშირებს ერთმანეთთან ადამიანური ღირსების, თანასწორობისა და საზოგადოების მრავალფეროვნების ნიშნებს;
- მსჯელობს საქართველოს მოსახლეობაში უმრავლესობისა და უმცირესობის გამოყოფის პრინციპებზე სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (მაგ. ეთნიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური და სხვ.);
- საქართველოს მოსახლეობის მაგალითზე წარმოადგენს იმ

ჯგუფებს, რომლებიც გაერთიანებულია მრავალფეროვნების რამდენიმე ნიშნის მიხედვით (მაგ.: ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური ან სოციალური, სქესობრივი და ასაკობრივი);

- ირჩევს საქართველოს ერთ-ერთ რეგიონს, ახასიათებს მის მოსახლეობას მრავალფეროვნების ნიშნების მიხედვით და ასახელებს არსებული მრავალფეროვნების ისტორიულ-გეოგრაფიულ მიზეზებს.

გ) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: **ჩვენ და ისტორია: ისტორიის საგანი (რას შეისწავლის ისტორია?); პროფესია - ისტორიკოსი როგორ ვსწავლობთ ისტორიას:**

ა) პირველადი და მეორადი წყაროები;

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია.

ისტ.X.5. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ტიპოლოგიურად აჯგუფებს საისტორიო წყაროებს;
- ერთმანეთისგან ასხვავებს ნარატიულ და დოკუმენტურ საისტორიო მასალას;
- აღიქვამს ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემების, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობას;
- აღიქვამს ლინგვისტური მონაცემების, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობას;
- საუბრობს ფოლკლორული მასალის, როგორც საისტორიო წყაროს შესახებ.

დ) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: **14. საზოგადოება და კულტურა XX ს-ის პირველ ნახევარში (საზოგადოება და კულტურა XX საუკუნის პირველი ნახევარის საქართველოში); 21. საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. 25. საზოგადოება და კულტურა თანამედროვეობაში: პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოებიდან ინფორმაციულ საზოგადოებამდე.**

ისტ. XII.7. მსჯელობს რელიგიის, როგორც იდენტობის ერთ-ერთ საშუალების, მნიშვნელობაზე თანამედროვე მსოფლიოში.

ისტ. XII.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა კულტურების ურთიერთობის კვლევა.

II. ფურცლის ანოტაცია

საკვანძო კითხვა: როგორ აღიქვამს ქისტებს თანამედროვე ქართული საზოგადოება?

მოსწავლე გაეცნობა ქისტების ყოველდღიურ ცხოვრებას საქართველოს ერთ-ერთ მთიან რეგიონში; გაანალიზებს, რას ეფუძნება ქრისტიანებისა და მუსლიმების ურთიერთობა სოფელ ჯოყოს მაგალითზე; ჩამოაყალიბებს კავკასიის ხალხების საერთო წეს-ჩვეულებებისა და მენტალიტეტის ფორმირების მიზეზებს.

განმაზოგადოებელი კითხვა: ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი სიჭრელე – კავკასიური კულტურის სიმდიდრეა თუ პრობლემების წყარო?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი 200 წელზე მეტი ხნის წინ ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში ჩასახლდა ჩეჩნური წარმოშობის ტომი, რომელსაც ქართველები ქისტებს უწოდებდნენ. ქართულმა კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა ქისტებზე. ისინი მეტწილად ქართული ცხოვრების წესს არიან ნაზიარები. არც მუსლიმურ აღმსარებლობას შეუშლია მათთვის ხელი ქართველებთან სიახლოვეში, ვინაიდან ისინი ქრისტიანულ ჩვეულებებს, რომლებიც გამაჰმადიანებამდე ჰქონიათ, ჯერ კიდევ ვერ სთმობენ. სამუშაო ფურცელზე მუშაობისას მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ: ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი სიჭრელე – კავკასიური კულტურის სიმდიდრეა თუ პრობლემების წყარო?

IV. ძირითადი ცნებები: ადათ-წესები, მენტალიტეტი, მორალური და ზნეობრივი ეტიკეტი, ეთნოსი, ეროვნული დღესასწაულები.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი: წყაროების ანალიზის საფუძველზე მოსწავლეებს შეეძმნებათ წარმოდგენა, თუ როგორ აღიქვამს ქისტებს თანამედროვე ქართული საზოგადოება.

წინაპირობა:

სამუშაო ფურცელი შესაძლებელია კლასში შეტანილ იქნას მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეისწავლიან XX საუკუნის საქართველოს ისტორიას.

აქტივობები:

1. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს ჩაუტარეთ მინი დეკლაცია. უთხარით მათ, რომ 200 წელზე მეტი ხნის წინ ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში ჩასახლდა ჩეჩნური წარმოშობის ტომი, რომელსაც ქართველები ქისტებს უწოდებენ. ქარ-

თულმა კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა ქისტებზე. ისინი მაჰმადიანები არიან, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია ქართველებთან სიახლოვეში.

2. მოსწავლეები წყვილებში ეცნობიან სამუშაო ფურცლის წყაროებს 1-3 და ამზადებენ პასუხებს დავალება 1-ის მიხედვით. მასწავლებელი შერჩევით მოისმენს რამდენიმე წყვილის ზეპირ პასუხებს.

3. მოსწავლეები დაიყოფიან ოთხ კაციან ჯგუფებად, გაეცნობიან წყარო 4(ა,ბ,გ,დ). ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს ინდივიდუალურად, შემდეგ შეაჯერებენ თავის ნამუშევრებს და ჩამოაყალიბებენ დავალება 2-ის შეჯერებული ვერსიას.

4. თითოეული ჯგუფი აკეთებს შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას. ჯგუფები ერთმანეთს უსვამენ კითხვებს.

5. გააკეთილის ბოლო ნაწილი დაეთმობა განმაზოგადებელ კითხვაზე (ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი სიჭრელე – კავკასიური კულტურის სიმდიდრეა თუ პრობლემების წყარო?) მსჯელობას და გააკეთილის შეჯამებას.

VI. წყაროების მიმოხილვა:

წყარო 1 ასახავს ხანშიშესული ქისტი მამაკაცების თაყვრილობას.

წყარო 2 გადმოგვცემს ქისტი მწერლის აზრებს საკუთარი ხალხის შესახებ.

წყაროში 3 გადმოცემულია ქართველი მწერლის მოსაზრებები ქისტებთან დაკავშირებით.

წყარო 4 ქისტების სარწმუნოების შესახებ

ა) გადმოცემულია პანკისის ხეობაში მცხოვრებ დუისელთა რელიგიური აღმსარებლობის შესახებ, რომლებიც ამჟამად მაჰმადიანურ სარწმუნოებას აღიარებენ. ქრისტიანულ ჩვეულებას კი, რომელიც გამაჰმადიანებამდე ჰქონდათ და აღიარებდნენ, კიდევ არ სთმობენ. დღემდე დიდ დღესასწაულად აქვთ დარჩენილი „ნიჯუაი“, „ოლღუა“ და „სინიი“, რომლებიც ქრისტიანული დღესასწაულები: შობა, აღდგომა და ნათლისღება-წყაღკურთხევის იდენტურია.

ბ) ასახულია მინარეთი დუისში და მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია ჯოყოლოში (პანკისის ხეობა)

გ) მოცემულია ინტერვიუ პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოში მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიის მომვლელ ლადო ცხადაძესთან.

დ) გვთავაზობს ინტერვიუს ჯოყოლოში მცხოვრებ, იმერელი

დიაკვნის ვასო ცხადაძის შთამომავალთან ვახტანგ ცხადაძესთან.

VII. პასუხები დავალებებზე:

დავალება 1.

ა) რელიგია – მუსლიმები; ბ) ეთნიკური წარმომავლობა – ჩეჩნები; გ) ტერიტორიული განსახლება – საქართველოს რესპუბლიკა, ახმეტის რაიონი.

2. „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“.

3. სტუმრისადმი პატივისცემა, მოყვრისადმი თავდადება, ვაჟკაცობა.

4. სტუმარ-მასპინძლობა, მორალური და ზნეობრივი წესიერება. არ ახასიათებთ ფანატიზმი რელიგიურ აღმსარებლობაში.

დავალება 2.

1. პანკისის ხეობაში მცხოვრები დუისელები ამჟამად მაკმადიანურ სარწმუნოებას აღიარებენ. ქრისტიანულ ჩვეულებას, რომელიც გამაჰმადიანებამდე ჰქონდათ და აღიარებდნენ მაინც კიდევ არ სთმობენ; ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს როგორც მუსლიმური, ისე ქრისტიანული სალოცავები.

ა) ლადო და ვახტანგ ცხადაძეები ერთი კაცის – დიაკვნ ვასო ცხადაძის შთამომავლები არიან.

ბ) ჟამთა მსვლელობამ პანკისელი ქისტები აიძულა მიეღოთ მუსლიმური აღმსარებლობა, მაგრამ წინაპართა სარწმუნოების ელემენტების შენარჩუნება მათთვის არის როგორც სულიერი მოთხოვნილება, ისე ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირების საშუალება.

2. კავკასიის ხალხების საერთო წეს-ჩვეულებებისა და მენტალიტეტის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო საერთო სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ, რომელიც საქართველოს მთიან რეგიონებში არსებობდა.

განმაზოგადებელი კითხვის სავარაუდო პასუხი: საუკუნეების განმავლობაში ცხოვრების ერთნაირმა სოციალ-ეკონომიკურმა პირობებმა, მსგავსმა პოლიტიკურმა ვითარებამ კავკასიის მთიანეთის ხალხებს ჩამოუყალიბა მსგავსი წეს-ჩვეულებები და მენტალიტეტი, ეს მათ ეხმარებოდა მშვიდობიან თანაარსებობაში. ამდენად ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი სიჭრელე – კავკასიური კულტურის სიმდიდრეა და არა პრობლემების წყარო. თუ კლასში აღმონძლებიან მოსწავლეები, რომლებსაც საპირისპირო მოსაზრება აქვთ, სთხოვეთ მათ არგუმენტირებულად დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრება.

VIII. ბიბლოგრაფია

1. ხასო ხანგოშვილი, ქისტები (ისტორიულ-პოპულარული ნარკვევი), თბ., 2005.

2. მათე ალბუთაშვილი, პანკისის ხეობა, თბ., 2005.

სამუშაო ფურცელი 15. ესპანელი ბებიის ისტორია

I. სტანდარტთან შესაბამისობა:

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემებს: ჩვენ და ისტორია: ისტორიის საგანი (რას შეისწავლის ისტორია?); პროფესია - ისტორიკოსი.

როგორ ვსწავლობთ ისტორიას:

- ა) პირველადი და მეორადი წყაროები
- ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ.X.4. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს და შეაფასოს ისტორიული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ორ წყაროს, რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე გვაწვდის განსხვავებულ ინფორმაციას, ან გვაძლევს ისტორიული მოვლენის ან პიროვნების განსხვავებულ შეფასებას. მსჯელობს იმ ფაქტორებზე, რომლებმაც განაპირობა კონკრეტული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობა;
- ადარებს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე (პიროვნებაზე) არსებულ ორი (ან სამი) ისტორიკოსის განსხვავებულ თვალსაზრისს, კრიტიკულად აფასებს მას და აყალიბებს საკუთარ შეხედულებას ამ ისტორიული მოვლენის (პიროვნების) შესახებ;

ისტ.X.5. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ტიპოლოგიურად აჯგუფებს საისტორიო წყაროებს;
- ერთმანეთისგან ასხვავებს ნარატიულ და დოკუმენტურ საისტორიო მასალას;

ისტ.X.6. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს პირველად და მეორად წყაროებზე;
- გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ისტორიული წყაროს ავტორის შესახებ და კრიტიკულად აფასებს, თუ რამდენად სანდოა იგი (მაგ.: იკვლევს იყო თუ არა ავტორი მოვლენის თვითმხილველი, რა წყაროებით სარგებლობდა იგი; მოქ-

მედებდა თუ არა ცენზურა წყაროს ავტორზე);

- განსაზღვრავს ისტორიული წყაროს შექმნის მიზანს - ავტორის მოტივაციას (მაგ.: მხედველობაში იღებს წყაროს ავტორის პირად ურთიერთობას ისტორიული პირთან, მის დამოკიდებულებას უცხოელთა მიმართ, მისი ეპოქის საზოგადოებრივ გარემოს, ფასეულობებსა და მენტალიტეტს);
- განსხვავებს იმ ინფორმაციას, რომლის მოწოდებაც წყაროს ავტორის უპირველესი მიზანია, წყაროში არსებული ყველა სხვა ცნობისაგან;
- პირველად წყაროებზე მუშაობისას მხედველობაში იღებს ისტორიული მოვლენის მონაწილეების განსხვავებულ ფასეულობებს, ინტერესებს, შეხედულებებს, მოტივებსა და სხვა ადამიანურ ფაქტორებს;
- ისტორიულ წყაროებზე მუშაობისას ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;
- ისტორიული წყაროდან მიღებულ ინფორმაციას აჯგუფებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, რელიგია, სოციალური ურთიერთობები) მიხედვით;
- აღიქვამს ისტორიულ ეპოქას: ა) აყალიბებს მისთვის საინტერესო ეპოქაში არსებულ ფასეულობებს, შეხედულებებსა და შესაძლებლობებს; აღწერს, თუ როგორ აღიქვამდნენ იმ პერიოდის ადამიანები თავიანთ ეპოქას; ბ) ცდილობს თავიდან აიცილოს წარსული ეპოქის მხოლოდ დღევანდელი გადასახედოდან შეფასება.

ბ) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემებს: **ტოტალიტარიზმი მსოფლიოში: ა) სტალინი - საბჭოთა კავშირი (საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში); ბ) ჰიტლერი, მუსოლინი, ფრანკო; მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი; მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი - საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში, ქართველები მეორე მსოფლიო ომში; მეორე მსოფლიო ომის შედეგები.**

ისტ. XII.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა კულტურების ურთიერთობის კვლევა.

II. ფურცლის ანოტაცია

საკვანძო კითხვა: რატომ იქცა საქართველო სამშობლოდ მეორე მსოფლიო ომის წინ ესპანეთიდან ევაკუირებული

ბავშვებისათვის?

მოსწავლე, სხვადასხვა სახის წყაროებზე დაყრდნობით და ერთი ესპანურ-ქართული ოჯახის მაგალითზე, გაეცნობა და გაანალიზებს უპატრონოდ დარჩენილი ესპანელი ბავშვების მდგომარეობას, საქართველოში მათი გადმოსახლების შემდეგ; იმ ისტორიულ ფაქტებს, რომლებმაც მათი საქართველოში გადმოსახლება განაპირობა და მომავალში მათ ბედს შეეხო. ის გაანალიზებს, როგორი ადამიანური თვისებები განაპირობებს ხალხის ურთიერთ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

განმაზოგადოებელი კითხვა: რომელ ისტორიულ მოვლენებს შეუძლია გავლენის მოხდენა ცალკეული ადამიანის ბედზე?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

1936 წლის თებერვალში ესპანეთში ხელისუფლების სათავეში მოვიდა სახალხო ფრონტის მემარცხენე მთავრობა, რომელიც ძირითადად შედგებოდა რესპუბლიკელების, სოციალისტებისა და კომუნისტებისაგან. ამავე წლის ივლისში მთავრობას დაუპირისპირდა მემარჯვენე კოალიცია ფრანცისკო ფრანკოს მეთაურობით. ქვეყანაში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელსაც ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ესპანეთის სახალხო ფრონტის მემარცხენე მთავრობის დაცვის მიზნით, საბჭოთა კავშირმა ესპანეთში გაგზავნა დიდძალი სამხედრო ტექნიკა: იარაღი, ტანკები და თვითმფრინავები, მოხალისეთა სახით მიავლინა საბჭოთა სამხედროები, ძირითადად, მფრინავები და ტანკისტები; ამასთან, გამოთქვა მზადყოფნა მოეხდინა ესპანელი კომუნისტების შვილების საბჭოთა კავშირში ევაკუირება. ბავშვების გადმოყვანა განხორციელდა რამდენიმე ეტაპად. გადმოიყვანეს ასეულობით ბავშვი, რომლებიც საბჭოთა ბავშვთა სახლებში გაიზარდნენ. სსრ კავშირში გადმოსახლებული ბავშვების გარკვეული ნაწილი საქართველოში მოხვდა. მათი უმრავლესობა ღრმა სიბერემდე აქვე დარჩა. სამუშაო ფურცელზე მუშაობა მოსწავლეებს საშუალებას მისცემს ერთ-ერთი ევაკუირებული ბავშვის - ტერეზა საგარსასუ გარმენდიას ცხოვრების მაგალითზე გაიზარდონ ის რთული და წინააღმდეგობრივი ისტორიული სინამდვილე, რომელმაც ამ ბავშვების ბედი განსაზღვრა.

IV. ძირითადი ცნებები: სახალხო ფრონტის მთავრობა, სამოქალაქო ომი, სოლიდარობა, ევაკუაცია, ბლოკადა.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი: სამუშაო ფურცელში მოცემული წყაროების ანალიზის საფუძველზე მოსწავლე დაადგენს, თუ რატომ იქცა საქართველო სამშობლოდ ესპანეთიდან ევაკუირებული ბავშვებისათვის.

წინაპირობა: მოსწავლეს შესწავლილი უნდა ჰქონდეს XX საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიო ისტორია, მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდი და მეორე მსოფლიო ომის ხანა.

აქტივობები:

1. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს მინი-ლექციით ან კითხვებით გაახსენეთ მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში ევროპაში, კერძოდ, ესპანეთში მიმდინარე მოვლენები, მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირში განვითარებული პროცესები.

2. მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობენ წყაროებზე 1-5 და დავალებების 1-2 მიხედვით, ამზადებენ კითხვებზე პასუხს. მასწავლებლის შერჩევით რამდენიმე მათგანი ზეპირად პასუხობს ამ კითხვებს.

3. კლასი დაყავით რამდენიმე ჯგუფად. ისინი ადარებენ წყაროებს 6-8 და ასრულებენ დავალებებს 3-4. თითოეული ჯგუფი აკეთებს შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას. ჯგუფები ერთმანეთს უსვამენ კითხვებს.

4. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად წყაროებზე 9-11 და ამზადებენ კითხვებზე პასუხს დავალება 6-ის მიხედვით. მასწავლებლის შერჩევით, რამდენიმე წყვილი ზეპირად პასუხობს დავალებების საკითხებს. მოსწავლეები ასევე უპასუხებენ საკვანძო და განმაზოგადებელ კითხვებს.

VI. წყაროების მიმოხილვა:

წყარო 1 გადმოგვცემს ინტერნეტში განთავსებულ მასალას ფრანცისკო ფრანკოს შესახებ.

წყარო 2 გადმოგვცემს, თუ როგორ ეხმიანებოდა ქართული საბჭოთა პრესა ესპანეთში მიმდინარე მოვლენებს.

წყაროში 3 მოცემულია დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში გადმოცემული ცნობები ესპანეთის მოვლენების შესახებ.

წყაროები 4-5 ასახავს სკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს 1937 წლის 5 აგვისტოსა და სსრკ სახკომსაბჭოს 1937 წლის 16 სექტემბრის დადგენილებებს ესპანელი ბავშვების შესახებ.

წყაროში 6 ასახულია ესპანელი ბავშვებისა და პედაგოგების ერთ-ერთი პირველი ნაკადი, რომელიც სსრ კავშირში ევაკუაციის შემდეგ საერთაშორისო პიონერთა ბანაკში (არტეკი, უკრაინა) მოათავსეს.

წყაროში 7 მოთხრობილია ესპანეთიდან ევაკუირებული

ერთ-ერთი ბავშვის – ტერეზა საგარსასუ გარმენდიას თავგადასავალი. იგი სხვა ბავშვებთან ერთად მოხვდა საქართველოში, გათხოვდა, შექმნა ესპანურ-ქართული ოჯახი, შეეძინა შვილები და შვილიშვილები, შვილთაშვილები, რომლებიც მას ესპანელ ბებიას უწოდებენ.

წყარო 8. რუკახე აღნიშნულია ის მარშრუტი, რომელიც ტერეზა საგარსასუ გარმენდიამ, სხვა ესპანელ ბავშვებთან ერთად, გაიარა ესპანეთიდან თბილისამდე.

წყარო 9 მოგვითხრობს ტერეზა საგარსასუ გარმენდიასთან ერთად საქართველოში მოხვედრილი ესპანელების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

წყაროზე 10 ასახულია ტერეზა საგარსასუ გარმენდია ესპანური სათვისტომოს შეკრებაზე.

წყაროში 11 გადმოცემულია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ტერეზა საგარსასუ გარმენდიას ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები.

VII. პასუხები დავალებებზე:

დავალება 1.

ხაზი უნდა გაესვას შემდეგ საკვანძო ფრაზებს:

1936 წლის 18 ივლისს ესპანეთში დაიწყო სამოქალაქო ომი. ორივე მხარემ დაიწყო „არასწორ მხარეს მოხვედრილი“ თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დახვრეტა.

გერმანელი და იტალიელი ფაშისტები ესპანეთში შევიდნენ ესპანელი ფაშისტების დასახმარებლად.

დავალება 2.

ევროპის საქმეებში ჩარევა, გავლენის გაძლიერება ესპანეთში

დავალება 3.

ბავშვები გამოაწვევეს ერთნაირ ფორმებში, ე.წ. პიონერის ფორმებში, მათ ერგოთ მოსაწყენი ცხოვრება მშობლებისაგან მოწყვეტით და მათგან შორს. წარმოუდგენელია ისინი თავს ბედნიერად თვლიდნენ.

დავალება 4

1. ესპანეთის სამოქალაქო ომმა ტერეზა საგარსასუ გარმენდია საბჭოთა კავშირში მოახვედრა, ლენინგრადის ბლოკადის შემდეგ იგი სასწავლებლად ტაშკენტში გაგზავნეს, ხოლო იქიდან სამუშაოდ თბილისში გაამწვეს.

2. 1936-1939 წლების სამოქალაქო ომი ესპანეთში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი.

3. უარყოფითი მოვლენები: 1936-1939 წლების სამოქალაქო ომი ესპანეთში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი.

დადებითი მოვლენები: მეორე მსოფლიო ომის დასრულება, სასწავლებლად ტაშკენტში გაგზავნა, სამუშაოდ თბილისში გადმოსვლა, 1967 წელს დედის პოვნა.

დავალება 5.

მოსწავლემ რუკაზე უნდა მიუთითოს აღნიშნული მარშრუტი.
დავალება 6.

1. მუშაობდნენ, ქმნიდნენ ხელოვნების ნიმუშებს ან პროდუქციას საწარმოებში (იხ. წყარო 9), ზრდიდნენ შვილებს...

2. ტერეზა საქართველოში ქართველ კაცზე გათხოვდა, ქართულ ოჯახში მას მეუღლის დედა-მამა თბილად შეხვდნენ. აქ იგრძნო მან მშობლიური სიტბო, რომელიც ასე აკლდა. აქვე შეითვისა და შეიყვარა ქართული ტრადიციები; სწორედ ამიტომ თვლიდა იგი საქართველოს თავის სამშობლოდ.

განმაზოგადებელი კითხვის სავარაუდო პასუხი:

ომებს, ეთნოკონფლიქტებს.

VIII. ბიბლოგრაფია:

6. ახმეტელი, ნ. მურდულია. საქართველოს და მსოფლიოს ისტორია, 2, „ლიოგენე“, თბ., 2008.

სამუშაო ფურცელი 16. ეთნოკონფლიქტები და ბავშვები

I. სტანდარტთან შესაბამისობა:

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: 48. საქართველო სსრკ-ში XX საუკუნის მეორე ნახევარში; 49. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა; 50. საბჭოთა კავშირის დაშლა; 51. დამოუკიდებელი საქართველო: დამოუკიდებლობის გამოცხადება, 1991-92 წლის სახელმწიფო გადატრიალება, ბრძოლა სეპარატიზმის წინააღმდეგ, ვარდების რევოლუცია.

ბ) IX კლასის სამოქალაქო განათლების სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემებს: 6. კონფლიქტის განვითარებისა და მოგვარების გზები; მრავალფეროვანი საქართველო და მრავალფეროვანი სამყარო.

მოქ. IX.9. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ერთმანეთთან საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის დებულებებს;
- მსჯელობს საქართველოში მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის გარანტიებზე;
- გამოყოფს საქართველოს არასრულწლოვანი და სრულწლოვანი მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის განსხვავებასა და მსგავსებებს;

გ) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემებს: **ჩვენ და ისტორია: ისტორიის საგანი (რას შეისწავლის ისტორია?); პროფესია - ისტორიკოსი.**

როგორ ვსწავლობთ ისტორიას:

ა) პირველადი და მეორადი წყაროები

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ.X.4. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს და შეაფასოს ისტორიული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ორ წყაროს, რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე გვაწვდის განსხვავებულ ინფორმაციას, ან გვაძლევს ისტორიული მოვლენის ან პიროვნების განსხვავებულ შეფასებას. მსჯელობს იმ ფაქტორებზე, რომლებმაც განაპირობა კონკრეტული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობა;
- ადარებს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე (პიროვნებაზე) არსებულ ორი (ან სამი) ისტორიკოსის განსხვავებულ თვალსაზრისს, კრიტიკულად აფასებს მას და აყალიბებს საკუთარ შეხედულებას ამ ისტორიული მოვლენის (პიროვნების) შესახებ;

ისტ.X.5. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ტიპოლოგიურად აჯგუფებს საისტორიო წყაროებს;
- ერთმანეთისგან ასხვავებს ნარატიულ და დოკუმენტურ საისტორიო მასალას;

ისტ.X.6. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს პირველად და მეორად წყაროებზე;
- გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ისტორიული წყაროს ავტორის შესახებ და კრიტიკულად აფასებს, თუ რამდენად სანდოა იგი (მაგ.: იკვლევს იყო თუ არა ავტორი მოვლენის თვითმხილველი, რა წყაროებით სარგებლობდა იგი; მოქმედებდა თუ არა ცენზურა წყაროს ავტორზე);
- განსაზღვრავს ისტორიული წყაროს შექმნის მიზანს - ავტორის მოტივაციას (მაგ.: მხედველობაში იღებს წყაროს ავტორის პირად ურთიერთობას ისტორიული პირთან, მის დამოკიდებულებას უცხოელთა მიმართ, მისი ეპოქის საზოგადოებრივ გარემოს, ფასეულობებსა და მენტალიტეტს);
- განასხვავებს იმ ინფორმაციას, რომლის მოწოდებაც წყაროს ავტორის უპირველესი მიზანია, წყაროში არსებული ყველა სხვა ცნობისაგან;
- პირველად წყაროებზე მუშაობისას მხედველობაში იღებს ისტორიული მოვლენის მონაწილეების განსხვავებულ ფასეულობებს, ინტერესებს, შეხედულებებს, მოტივებსა და სხვა ადამიანურ ფაქტორებს;
- ისტორიულ წყაროებზე მუშაობისას ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;
- ისტორიული წყაროდან მიღებულ ინფორმაციას აჯგუფებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, რელიგია, სოციალური ურთიერთობები) მიხედვით;
- აღიქვამს ისტორიულ ეპოქას: ა) აყალიბებს მისთვის საინტერესო ეპოქაში არსებულ ფასეულობებს, შეხედულებებსა და შესაძლებლობებს; აღწერს, თუ როგორ აღიქვამდნენ იმ პერიოდის ადამიანები თავიანთ ეპოქას; ბ) ცდილობს თავიდან აიცილოს წარსული ეპოქის მხოლოდ დღევანდელი გადასახედოდან შეფასება.

დ) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: **24. პერესტროიკა, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლა – დამოუკიდებელი საქართველო**

ისტ. XII.1. მსჯელობს მიგრაციული პროცესების მიზეზებსა და შედეგებზე; ირჩევს სხვადასხვა ეპოქაში მომხდარ ორ მიგრაციულ პროცესს და აღარებს მათ მიზეზებსა და შედეგებს;

ისტ. XII.4. ჯგუფური დისკუსიისას მსჯელობს სეპარატიზმის შესახებ საქართველოსა და მსოფლიოში და თანაკლასელებთან

ერთად ქმნის ამ პრობლემის გადაჭრის საკუთარ მოდელს.

II. ფურცლის ანოტაცია

საკვანძო კითხვა: 1990-იანი წლების რა ისტორიულმა მოვლენებმა იქონია გავლენა ბავშვების ცხოვრების პირობებზე საქართველოში?

მოსწავლე გაიაზრებს XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ეთნოკონფლიქტების შედეგად დაზარალებული ოჯახების ბავშვების მდგომარეობას; დაასაბუთებს, თუ რატომ უნდა იყოს დაინტერესებული სახელმწიფო და საზოგადოება მოზარდი თაობის პრობლემების გადაჭრით. წყაროების საფუძველზე დაადგენს, თუ რომელი უფლებები ხორციელდებოდა ეთნოკონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ბავშვებთან დაკავშირებით; შეეცდება გამონახოს გზები დაზარალებული ბავშვების მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

განმაზოგადოებელი კითხვა: რა გავლენა იქონია 1990-იანი წლების ეთნოკონფლიქტებმა საქართველოში ბავშვების ბედზე?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

XX საუკუნის 90-იან წლებში და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში პროვოცირებულ იქნა ეთნოკონფლიქტები, რომელთა შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდნენ ბავშვები, რომლებმაც დაკარგეს მშობლები ან იძულებით გადაადგილების გამო გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები შეექმნათ. სამუშაო ფურცელზე მუშაობა მოსწავლეებს საშუალებას მისცემს გაიაზრონ, რაოდენ საზარელი და დამღუპველია ეთნოკონფლიქტები, რომლებიც ძირეულად ცვლის მოზარდთა ცხოვრების პირობებს.

IV. ძირითადი ცნებები: ეთნოკონფლიქტი, კონფლიქტის რეგონი, ბავშვთა სოფელი, „ბავშვის უფლებათა კონვენცია“.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე მსჯელობს XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მომხდარი ეთნოკონფლიქტების შედეგებზე.

წინაპირობა:

სამუშაო ფურცელი შესაძლებელია კლასში შეტანილ იქნას მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეისწავლიან საქართველოს ისტორიას XX საუკუნის 90-იანი წლების ჩათვლით. მასალის შეტანამდე, მოსწავლეებს შეიძლება დავავალოთ აიღონ ინტერვიუები იმ პირთაგან (თუ ასეთებს იცნობენ), რომლებსაც XX საუკუნის

90-იანი წლებში ან XXI საუკუნის დასაწყისში მოუხდათ იძულებით დაეცოვნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები სამანაბლოში ან აფხაზეთში. ინტერვიუების დროს დასვან კითხვები: რამ აიძულა ისინი დაეცოვნენ საცხოვრებელი ადგილები და რა პირობებში მოუხდათ მათ საცხოვრებელი ადგილების დატოვება, ჰყავდათ თუ არა ბავშვები მაშინ და როგორ იმოქმედა მათზე იძულებით გადაადგილების შედეგად შექმნილმა პირობებმა.

აქტივობები:

1. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს მინი-ლექციით ან კითხვებით გაახსენეთ საქართველოს ისტორიის XX საუკუნის 90-იანი წლების ეთნოკონფლიქტები.

2. მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობენ წყაროებზე 1-3 და ამზადებენ კითხვებზე პასუხს დავალებების 1-3 მიხედვით. მასწავლებლის შერჩევით რამდენიმე მათგანი ზეპირად უპასუხებს ამ კითხვებს.

3. კლასი დაყავით რამდენიმე ჯგუფად. ჯგუფები შეუსაბამებენ წყაროებში 1,2,3 მითითებულ მაგალითებს იმ დოკუმენტებს, რომლებიც წყაროში 4 (ა,ბ,გ) არის მოცემული;

დაადგენენ ამ უფლებებიდან, რომელი ხორციელდებოდა ეთნოკონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ბავშვებთან დაკავშირებით.

4. თითოეული ჯგუფი აკეთებს შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას. ჯგუფები ერთმანეთს უსვამენ კითხვებს.

5. გაკვეთილის ბოლო ნაწილი დაეთმობა განმაზოგადებელ კითხვაზე (რა გავლენა იქონია 1990-იანი წლების ეთნოკონფლიქტებმა საქართველოში ბავშვების ბედზე?) მსჯელობას და გაკვეთილის შეჯამებას.

VI. წყაროების მიმოხილვა:

წყარო 1 (ა,ბ) მაწანწალა ბავშვების ცხოვრების ეპიზოდებს აღწერს.

წყარო 2 ა-დ კონფლიქტის რეგიონებიდან დევნილი ბავშვების ბედის შესახებ მოგვითხრობს.

წყაროში 3 ა და ბ გადმოცემულია ბავშვთა სოფლის მცხოვრებლების ისტორია

წყარო 4

ა) გადმოცემულია მუხლები „ბავშვის უფლებათა კონვენციიდან“.

ბ) გადმოცემულია მუხლები საქართველოს კონსტიტუციიდან, თავი II – საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლება.

გ) გადმოცემულია მუხლები კანონიდან „ზოგადი განათლების შესახებ“.

VII. პასუხები დავალებებზე:

დავალება 1.

1. სურ.1, სურ.2-ზე აღწერილია მაწანწალა ბავშვების კვების და თამაშის მომენტები.

2. მოსწავლეებმა ფოტოსურათებისთვის სათაურები უნდა მოიფიქრონ. მაგალითად, რა იქნება ხვალ დილით?

დავალება 2.

ა) სამაჩაბლოში ეთნოკონფლიქტი, აფხაზეთის კონფლიქტი, ჩემი ოჯახი იძულებული იყო თავისი საცხოვრებელი ადგილი დაეტოვებინა. მამაჩემი ქართველია, დედა კი აფხაზი მყავს. აფხაზეთის ომი.

ბ) თეოს ეთნოკონფლიქტის შემდეგ სახლი დაეწვა. მამა კონფლიქტის დროს დაეღუპა. მალე დედაც მოუკვდა. მერე ქუჩაში აღმოჩნდა. შემდეგ ერთმა ქალმა შეიღად აიყვანა და ზრდიდა.

გ) ვასო აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ მშობლებს აცდა, ბავშვთა სახლში მიიყვანეს. დედამისი, წარმოშობით რუსი, რუსეთში გაემგზავრა. მამამისმა კი სხვა ცოლი შეირთო. ბავშვთა სახლს ვერ შეეგუა და გაიპარა. შემდეგ

ქუჩაში ცხოვრობდა ამხანაგებთან ერთად ერთ მიტოვებულ სახლში, სადაც დენი და გათბობა არ არის. ფულს ბაზრობაზე შოულობს. ხან ტვირთს ეზიდება, ხანაც ქურდობს.

დ) ანას სხვა ლტოლვილებთან ერთად უმძიმესი გზით თბილისში ჩამოსვლა მოუხდა. სანამ ბინას მისცემდნენ, თბილისში რაღაც მიტოვებულ შენობაში ცხოვრობდა, სადაც შუქიც კი არ იყო. მამას დიდხანს არ ჰქონდა მუდმივი სამუშაო, დედა კი ფიქრობდა, რომ რადგან ეროვნებით აფხაზია, საქართველოში მას სამუშაოს არავინ მისცემდა და არც უცდია მისი მოძებნა. ერთხანს იმდენად გაუჭირდათ, რომ სასკოლო წიგნებიც კი ვერ უყიდეს და მთელი თვე უწვივოდ დადიოდა სკოლაში.

ე) ნინო ავადმყოფ ბებიასთან ერთად მარტო ცხოვრობს. პატრონობს მას. ოჯახში ყველაფერს ის აკეთებს. როდესაც ბებია ცუდად არის, ღამეებსაც ათენებს. ამის გამო სკოლასაც ხშირად აცდენს.

2. ა) ეთნოკონფლიქტები; ბ) საჭიროა მეტი გულისხმიერება, თანაგრძნობა

დავალება 3.

1. ბავშვთა სოფელი.

2. მოზარდი თაობა სახელმწიფოს მომავალია.

3. ამ საკითხთან დაკავშირებით გაიმართება დისკუსია კლასში.
დავალება 4.

1.

წყარო 1 – წყარო 4 ა) მუხლები 6, 20, 24, 26, 31;

წყარო 2 – წყარო 4 ბ) მუხლი 35

წყარო 3 – წყარო 4 ა) მუხლი 27, გ) მუხლები 3, 22.

2.

მუხლები 20, 27; ბ) მუხლი 35, გ) მუხლები 3, 22.

განმაზოგადებელი კითხვის სავარაუდო პასუხი: ბევრი მათგანი დარჩა უსახლკაროდ, არ ჰქონდა სწავლის, გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარების, საქართველოს კონსტიტუციითა და „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მუხლებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების საშუალება.

VIII. ბიბლიოგრაფია:

6. ახმეტელი, ნ. მურდულია. საქართველოს და მსოფლიოს ისტორია, 2, გამ. „დიოგენე“, 2008;

მიბრაცია

სამუშაო ფურცელი 17. „გაყოფილი ლუკმა“

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება: ა) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: 45. საქართველო საბჭოთა იმპერიაში მსოფლიო ომებს შორის პერიოდში; 46. მეორე მსოფლიო ომი და საქართველო;

ისტ. IX 4. მოსწავლე იკვლევს სოციალური ურთიერთობების ისტორიას საქართველოში

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს საქართველოში ურბანიზაციითა და მიგრაციის სხვა სახეობით გამოწვეულ სოციალურ ცვლილებებზე;
- ისტ. IX 5. აანალიზებს საგარეო და საშინაო ფაქტორების გავლენას ქართული სახელმწიფოს წარმოშობასა და განვითარებაზე.
- მსჯელობს მსოფლიო ომებით გამოწვეულ ცვლილებებზე და საქართველოსთვის ამ ცვლილების მნიშვნელობაზე;

ბ) IX კლასის გეოგრაფიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: 30. მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური შემადგენლობა;

გეო.IX.9. ანალიზებს საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის და ურბანიზაციის პროცესებს და აკეთებს პროგნოზებს

შედგეი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს საქართველოში არსებული მიგრაციული პროცესების გამომწვევ მიზეზებზე...
- მსჯელობს საქართველოში მიგრაციული პროცესების განვითარებაზე და შედეგებს წარმოადგენს კლასის წინაშე;
- გამოსატავს საკუთარ დამოკიდებულებას საქართველოს შიდა და გარემიგრაციული პროცესების შედეგად გამოწვეულ სოციალურ ცვლილებებზე და მსჯელობს სიტუაციის გაუმჯობესების შესაძლო გზებზე.

გ) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო

შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **როგორ ესწავლებოთ**

ისტორიას:

ა) პირველადი და მეორადი წყაროები;

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ. X 5. ანალიზებს პირველად და მეორად წყაროებს

ისტ. X 6. გეგმავს და ატარებს ისტორიულ კვლევას.

ისტ. X 7. წერს ისტორიულ თემას.

დ) XII კლასის ისტორიის სტანდარტების სავალდებულო

შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **13. ტოტალიტარიზმი**

მსოფლიოში: ა) სტალინი-საბჭოთა კავშირი (საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში); 16. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი – საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში; 21. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში – ეროვნული მოძრაობა საქართველოში 20-იან 70-იან წლებში;

ისტ. XII 1. მოსწავლე ანალიზებს XIX და XX საუკუნეებში მსოფლიოსა და საქართველოში მომხდარ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლილებებს

შედგეი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს მიგრაციული პროცესების მიზეზებსა და შედეგებზე; ირჩევს ორ მიგრაციულ პროცესს და ადარებს მათ მიზეზებსა და შედეგებს.
- კონკრეტული შედეგები:
- მოიპოვებს ინფორმაციას (წყაროების, ისტორიული რუკის, ცხრილის საშუალებით) ე.წ. “გოლოდომორისა” და მეორე ომის შედეგად გამოწვეული უკრაინელთა საქართველოში მიგრაციის შესახებ და კლასში ჯგუფური მუშაობისას რუკაზე დაიტანს ამ მიგრაციების მარშრუტებს;

- ინდივიდუალურად ან ჯგუფური მუშაობისას ცხრილის საშუალებით აჯგუფებს საქართველოში უკრაინელთა მიგრაციის მიზეზებსა და შედეგებს;
- შეუძლია მიგრაციის პროცესის თავისებურებების დახასიათება;
- მოიპოვებს ინფორმაციას მეორე მსოფლიო ომის მიზეზით იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ და მსჯელობს წარმოქმნილ სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებზე, გამოთქვამს მოსახრებებს პრობლემის დარეგულირებაზე;
- საკლასო დისკუსიისას მსჯელობს უკრაინული და ქართული კულტურების ურთიერთმიმართებაზე;
- წერს თემას, რომელშიც აღწერს საქართველოში უკრაინელთა გადასახლების მიზეზებს, ახალ გარემოში მათ ყოველდღიურ ყოფასა და ცხოვრებას.

II. ანოტაცია:

საკვანძო კითხვა: როგორ ცხოვრობდნენ ერთად ქართველები და ევაკუირებული უკრაინელები საქართველოში 1930-40-იან წლებში?

მოსწავლე გაანალიზებს: 1930-40-იან წლებში უკრაინელთა საქართველოში მიგრაციის მიზეზებს; მათი ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს; სიძნელეებს, რომელსაც წააწყდნენ საქართველოში უკრაინელი მიგრანტები. ჩამოაყალიბებს თავის მოსახრებებს ზემოაღნიშნულ საკითხებზე ჯგუფური მუშაობის საფუძველზე.

განმაზოგადოებელი კითხვა: რა არის სამუშაო ფურცლის სათაურის გზავნილი?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

უკრაინელები მცირე რაოდენობით საქართველოს ტერიტორიაზე პირველად XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდნენ, როდესაც რუსეთის იმპერიის დედოფალმა ეკატერინე II-მ დაუმორჩილებლობის გამო დაშალა ე.წ. «ზაპოროჟსკაია სეჩ», რის შედეგადაც ბევრი კახაკი იძულებული გახდა იმპერიის სამხრეთი ტერიტორიებისაკენ გაქცეულიყო. ამის შედეგად ზოგიერთი მათგანი საქართველოშიც აღმოჩნდა.

XIX საუკუნის დამდეგს საქართველოში რუსული სამხედრო დაბეჭი ჩამოაყალიბეს, რომლებშიც თადარიგში გასული ჯარისკაცები დაასახლეს. მათში უკრაინელებიც იყვნენ. XIX საუკუნეში უკრაინელთა გადმოსახლების ერთი მიზეზი პოლიტიკური ხასიათის იყო: მათი უმეტესობა დევნასა და რეპრესიებს გაურბოდა. მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური ფაქტორიც, რომელიც

უმიწაწყლო გლეხებს თავისუფალი მიწების ძიებისაკენ უბიძგებდა. რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხებმა თავისუფალი მიწების ძიება დაიწყეს.

1922 წლიდან საქართველოში უკრაინელთა ახალი ტალღის შემოსვლა აღინიშნება. მხოლოდ 12 წლის განმავლობაში, 1926 წლიდან 1939 წლამდე, უკრაინული მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში 3,2-ჯერ გაიზარდა და ამ პერიოდის ბოლოსათვის 46 ათასი ადამიანი შეადგინა. საქართველოში უკრაინელების გადმოსახლება განპირობებული ჯერ „გოლოდომორით“ და შემდეგ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარღვევის განვითარების მაღალი ტემპების შედეგად მაღალკვალიფიციურ კადრებზე გაჩენილი მზარდი მოთხოვნით. საქართველოში უკრაინელთა ახალი ტალღა შემოვიდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც მოხდა ზურგში ევაკუაცია.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 7 039 უკრაინელი ცხოვრობდა. მათი ნახევარი ქ. თბილისში სახლობს, მრავლად არიან აჭარაშიც.

IV. ძირითადი ცნებები (დამატებით მასალასთან ერთად):

„გოლოდომორი“ – (ურკ.: Голодомор — შიმშილით სიკვდილი) — მასიური შიმშილობა, რომელმაც 1933 წლის პირველ ნახევარში უკრაინის სსრ-ის მნიშვნელოვანი ტერიტორია მოიცვა და დაახლოებით 2,2 მილიონი ადამიანი შეიწირა (ზოგიერთი მონაცემებით 10 მილიონამდე). შიმშილობა გამოწვეული იყო საბჭოთა პოლიტიკით, რომელმაც კერძო მეურნეები იძულებით გააწვევრიანა კოლექტიურ მეურნეობებში. არსებობს მოსაზრება, რომ გოლოდომორი ხელოვნურად იყო გამოწვეული უკრაინული ნაციონალიზმის ჩასახშობად და ამგვარად იურიდიული თვალსაზრისით გენოციდად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, ამის საწინააღმდეგოდ ასევე ამტკიცებენ, რომ გოლოდომორი საბჭოთა ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებული რადიკალური ეკონომიკური ცვლილებებით გამოწვეული ტრადიციული შინამეურნეობების მოშლის შედეგი იყო.

2008 წლის მარტისთვის უკრაინის პარლამენტმა 19 სხვა ქვეყნის მთავრობამ საბჭოთა მთავრობის ქმედებები გენოციდად მიიჩნია. 2003 წელს გაეროში მიღებულმა ერთობლივმა დეკლარაციამ მასობრივი შიმშილობა ტოტალიტარული რეჟიმის პოლიტიკისა და არაჰუმანური ქმედებების შედეგად აღიარა, რასაც საბჭოთა კავშირში მილიონობით უკრაინელის, რუსის, ყაზახისა და სხვა ეროვნების ხალხის დაღუპვა მოჰყვა. 2008 წლის 23 ოქტომბერს ევროპის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელმაც გოლოდო-

მორი ჰუმანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად სცნო.

ვეაკუაცია – “დაცლა”, “დაცარიელება”. ორგანიზებული გამოყვანა ადმიანებისა, დაწესებულებებისა, გამოტანა ქონებისა, მოწყობილობისა და სხვ. იმ ადგილიდან, სადაც რამე საფროთხეა მოსალოდნელი (უპირატესად საომარი მოქმედებების დროს).

მიგრაცია – ცალკეული პირების, ან ჯგუფების მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა გადასახლების მიზეზებისა და მიზნების მიუხედავად. მისი მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ეკოლოგიური კატასტროფები თუ პოლიტიკური მოტივები, ისე უკეთესი ეკონომიკური პერსპექტივები, ან პოლიტიკური დაცულობა გადასახლების ადგილას. განხორციელების ფორმის მიხედვით გამოყოფენ ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციას, ხოლო დროითი განზომილების მიხედვით – მუდმივსა და დროებითს.

ადამიანების გადასვლა ერთი რეგიონიდან მეორეში (შიდა მ.), ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში (გარე მ.) ან კიდევ მოსახლეობის პერიოდული გადინება–შემოდინება ერთი რეგიონიდან მეორეში (ქანქარისებური მ.).

ოკუპაცია – სამხედრო ოკუპაცია ძალის გამოყენებით, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის დროებითი დაკავება. სამხედრო ოკუპაცია არ წარმოადგენს ტერიტორიის შექენის ფორმას, არამედ იგი ძალის გამოყენებით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის მხოლოდ დროებითი დაკავებაა და, წესისამებრ, უნდა შეწყდეს კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ დადებული საზავო ან სხვა სახის ხელშეკრულებათა საფუძველზე (მაგალითად, ჰიტლერული გერმანიის ტერიტორია დაიყო ოთხ საოკუპაციო ზონად აშშ–ს, სსრ კავშირს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის).

საკ. კპ (ბ) – საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა). საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების (სსრკ) ერთადერთი ლეგალური პოლიტიკური პარტია. პარტიის დამაარსებელი და ბელადი იყო ვლადიმერ ლენინი. 1898–1917 წლებში მას ერქვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; 1917–1918 წლებში – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (ბოლშევიკებისა); 1918–1925 წლებში – რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა); 1925–1952 წლებში – საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა); 1952–1991 წლებში – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

სახკომსაბჭო – საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების (სსრკ) სახალხო კომისართა საბჭო. სახალხო კომისართა პირველი საბჭო დაფუძნდა ჯერ კიდევ ხუთი წლით ადრე საბჭოთა კავშირის შექმნამდე, 1917 წლის 27 ოქტომბერს. სსრკ–

ის სახკომსაბჭო ფუნციონირებდა 1923 წლის 6 ივლისიდან 1946 წლის 15 მარტამდე, როგორც სსრკ-ის უმაღლესი ადმინისტრაციული და განმკარგულებელი (არსებობის დასაწყისში, როგორც საკანონმდებლო) ორგანო, მისი მთავრობა. სახალხო კომისართა საბჭო თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკასა და ავტონომიურ რესპუბლიკაშიც იყო, მაგალითად, საქართველოს სახკომსაბჭო.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის

გაკვეთილის მიზანი: პირველადი წყაროების ანალიზი, შეფასება და მათი სანდოობის საფუძველზე ისტორიული ვითარების აღდგენა; სხვადასხვა ტიპის წყაროებიდან ინფორმაციის მიღება, დაჯგუფება და განზოგადება; ისტორიულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა; ისტორიული მოვლენების შედარება და დასკვნების გაკეთება; ჯგუფური მუშაობა და თანამშრომლობის უნარი; პრეზენტაციის უნარი; ისტორიული თემის დაწერის უნარი;

წინაპირობა: პირველადი წყაროების ანალიზისა და შეფასების უნარი. გაკვეთილისათვის საჭირო მასალა: ფურცელი ჩანაწერებისათვის №1; დიდი საწერი ფურცლები (დაფაზე/კედელზე გასაკრავი); მარკერები.

აქტივობები:

დაწერეთ დაფაზე ან დიდი ფორმატის ფურცელზე გაკვეთილის საკვანძო შეკითხვა და გააცანით ის მთელ კლასს: როგორ ცხოვრობდნენ ერთად ქართველები და უკრაინელები საქართველოში 1930-40-იან წლებში?

მოსწავლეებთან ერთად დაახუსტეთ ცნებების - „ევაკუაცია“ და „მიგრაცია“ – მნიშვნელობა. შეეკითხეთ მთელ კლასს:

- რატომ მიდიან ადამიანები ერთი ადგილიდან, რეგიონიდან ან ქვეყნიდან მეორეში?
- მიგრაცია ყოველთვის ნებაყოფლობითია? (მოსწავლეთა სავარაუდო პასუხები: ახალი შესაძლებლობები, თავი გააღწიონ არსებულ პრობლემებს, თავისუფლების ძიება; არ სურთ, მაგრამ აიძულებენ და ა.შ.);
- რა შეიძლება იყოს XX საუკუნის 30-40-იან წლებში უკრაინელთა საქართველოში მიგრაციის მიზეზი?
- რა შესაძლო სიძნელეებს წააწყდებოდნენ საქართველოში უკრაინელი მიგრანტები?

VI. პასუხი დაეალებებზე

დაეალება 1.

დაყავით კლასი ოთხ ჯგუფად. ოთხივე ჯგუფი მუშაობს წყ-

აროებზე 1-5, წერილობით პასუხობს დავალების შეკითხვებს და აესებს ცხრილს; მოსწავლეებმა, უმჯობესია, წყაროები დაინ-
აწილონ და ისე შეავსონ ცხრილი; ცხრილის გრაფაში „საერთო
სიძნელეები“ შეიძლება ჩაწერონ: ქართული ენის არცოდნა,
მშობლიური მხარის ნოსტალგია.

თითოეული ჯგუფი ასახელებს იმ მოსაზრებას, რომელიც არ
იყო ნახსენები სხვა ჯგუფების მიერ.

დავალება 2.

ოთხივე ჯგუფი მუშაობს წყაროებზე 6-8 და წერილობით პა-
სუხობს დავალების შეკითხვებს; თითოეული ჯგუფი ასახელებს
იმ მოსაზრებას, რომელიც არ იყო ნახსენები სხვა ჯგუფების მიერ.

დავალება 3.

ოთხივე ჯგუფი მუშაობს რუკაზე და წერილობით პასუხობს
დავალების შეკითხვებს; თითოეული ჯგუფი ასახელებს იმ მო-
საზრებას, რომელიც არ იყო ნახსენები სხვა ჯგუფების მიერ.

2. დააწერინეთ ჯგუფებს საქართველოში „მეოფი“ უკრაინე-
ლი გოგონას წერილი ჩანაწერების ფურცელი №1-ის მიხედვით;
დაწერილი წერილები ჯგუფებმა უნდა ერთმანეთს გადაუგზა-
ვონ და წაიკითხონ კლასის წინაშე მიღებული წერილები.

მიეცით კლასს საშინაო დავალება: “გაიკითხეთ თქვენს მეზო-
ბლებსა და ნათესავებში - თუ იცნობენ XX საუკუნის 30-40-იან
წლებში საქართველოში ჩასულ უკრაინელებს ან მათ შთამომავ-
ლებს. შეეცადეთ, აიღოთ მათგან ინტერვიუ და წარმოადგინოთ
კლასში ან მოიწვიოთ თქვენს მეგობრებთან სასაუბროდ”.

დაუსვით კლასს განმაზოგადებელი კითხვა - რა არის სამუ-
შაო ფურცლის სათაურის გზავნილი? დისკუსიისას ყურადღება
გაამახვილეთ შემდეგ საკითხებზე:

ქვეყანაში წარმოქმნილი საერთო განსაცდელის დაძლევისათ-
ვის სახელმწიფოს აქვს განსაზღვრული კონკრეტული პოლიტიკა?

ქვეყანაში წარმოქმნილი საერთო განსაცდელის დაძლევა
ხდება მხოლოდ რიგითი მოქალაქეების ძალისხმევით?

სახელმწიფოს პოლიტიკა ხელს უწყობს ქვეყანაში წარმოქმ-
ნილი საერთო განსაცდელის დაძლევას?

VII. ბიბლიოგრაფია:

1. ე. კუპატაძე, ევაკუირებული სამრეწველო საწარმოების,
დაწესებულებებისა და მოსახლეობის მიღება და განლაგება
საქართველოში საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერი-
ოდში. 1941-1945 წწ., თბ., 1978;

2. ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ის-

ტორია, თბ., 2009.

ჩანაწერების ფურცელი №1. უკრაინელი გოგონას წერილი

დაწერეთ საქართველოში მყოფი უკრაინელი გოგონას წერილი, რომელსაც ის უგზავნის თავისი მეგობარს უკრაინაში. წერილში შეეხებით შემდეგ საკითხებს: ისტორიული მოვლენა, სახელმწიფო პოლიტიკა, მგზავრობა, სკოლა, ოჯახი, ყოველდღიურობა.

თავდაპირველად თითოეულ საკითხს მოუძებნეთ შესაბამისი წყარო.

ისტორიული მოვლენა ----- (წყაროს ნომერი)

სახელმწიფო პოლიტიკა ----- (წყაროს ნომერი)

მგზავრობა (საიდან სად, მარშრუტი, ტრანსპორტი, თარიღი)----- (წყაროს ნომერი)

სკოლა და ოჯახი (კლასელების ეროვნება, საცხოვრებელი, ოჯახის წევრები) ----- (წყაროს ნომერი)

ადგილობრივების დამოკიდებულება----- (წყაროს ნომერი)

გამოიყენეთ თქვენს მიერ შერჩეული წყაროები და დაწერეთ წერილი. წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ას სიტყვას.

18. მუდმივად სამშობლოს ძიებაში (მესხეთიდან დეპორტირებულები)

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: 45. საქართველო საბჭოთა იმპერიაში მსოფლიო ომებს შორის პერიოდში; 46. მეორე მსოფლიო ომი და საქართველო;

ისტ. IX 4. მოსწავლე იკვლევს სოციალური ურთიერთობების ისტორიას საქართველოში

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს საქართველოში ურბანიზაციითა და მიგრაციის სხვა სახეობით გამოწვეულ სოციალურ ცვლილებებზე;

ისტ. IX 5. აანალიზებს საგარეო და საშინაო ფაქტორების გავლენას ქართული სახელმწიფოს წარმოშობასა და განვითარებაზე

- მსჯელობს მსოფლიო ომებით გამოწვეულ ცვლილებებზე და საქართველოსთვის ამ ცვლილების მნიშვნელობაზე;

- აანალიზებს საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენას

თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს განვითარებაზე.
ბ) IX კლასის გეოგრაფიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: 30. მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური შემადგენლობა;

გეო.IX.9. აანალიზებს საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის და ურბანიზაციის პროცესებს და აკეთებს პროგნოზებს

შედგეი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს საქართველოში არსებული მიგრაციული პროცესების გამომწვევ მიზეზებზე...
- მსჯელობს საქართველოში მიგრაციული პროცესების განვითარებაზე და შედეგებს წარმოადგენს კლასის წინაშე;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საქართველოს შიდა და გარემიგრაციული პროცესების შედეგად გამოწვეულ სოციალურ ცვლილებებზე და მსჯელობს სიტუაციის გაუმჯობესების შესაძლო გზებზე.

გ) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **როგორ ვსწავლობთ ისტორიას:**

ა) პირველადი და მეორადი წყაროები;

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ. X 5. აანალიზებს პირველად და მეორად წყაროებს

ისტ. X 6. გეგმავს და ატარებს ისტორიულ კვლევას.

ისტ. X 7. წერს ისტორიულ თემას.

დ) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: 13. ტოტალიტარიზმი მსოფლიოში: ა)სტალინი-საბჭოთა კავშირი (საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში); 16. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი – საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში; 21. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში – ეროვნული მოძრაობა საქართველოში 20-იან 70-იან წლებში;

ისტ. XII 1. მოსწავლე აანალიზებს XIX და XX საუკუნეებში მსოფლიოსა და საქართველოში მომხდარ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლილებებს

შედგეი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს მიგრაციული პროცესების მიზეზებსა და შედეგებზე; ირჩევს ორ მიგრაციულ პროცესს და აღარებს მათ მიზეზებსა და შედეგებს.

ასევე:

ე) VIII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო

შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: **37. სტალინის მმართველობა საბჭოთა კავშირში; 49. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები /ღირსებიდან უფლებამდე და თავისუფლებამდე; ისტ. VIII 2. ახასიათებს კონფლიქტის შედეგად გამოწვეულ მიგრაციულ პროცესებს**

შედგეი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- მოიპოვებს ინფორმაციას (ისტორიული რუკების, სახელმძღვანელოსა და დამატებითი ლიტერატურის საშუალებით) ომის შედეგად გამოწვეული მოსახლეობის იძულებითი თუ ნებაყოფლობითი იმიგრაციის შესახებ.

ისტ. VIII 10. მსჯელობს დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძვლებზე

შედგეი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- ახასიათებს დემოკრატიის ძირითად პრინციპებს და უკავშირებს მათ ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს; საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებს მისთვის ცნობილი საერთაშორისო დოკუმენტების დებულებების მეშვეობით (მაგ: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია და სხვა);

ისტ. VIII 12. მოსწავლე ანალიზებს ადამიანის უფლებების საფუძვლებსა და მათი განვითარების ისტორიულ პირობებს

შედგეი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად გაითამაშებს სიტუაციას, როდესაც ილახება ადამიანის ღირსება ან თავისუფლება; გამოთქვამს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას ამ ღირებულებების მნიშვნელობის შესახებ;

ვ) VIII კლასის გეოგრაფიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **5. მიგრაცია.**

გეო.VIII. 7. შეისწავლის მიგრაციის პროცესსა და განსახლების თავისებურებებს.

შედგეი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- ...მსჯელობს ადამიანის მიგრაციის შესაძლო მიზეზებზე და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები;
- ვარაუდობს მიგრაციის შესაძლო შედეგებზე ინდივიდისა (რომელიც ჩართულია ამ პროცესში) და ქვეყნებისათვის (საიდანაც და საითაც მიმართულია კონკრეტული მიგრაცია);

II. ანოტაცია:

საკვანძო კითხვა: რატომ ეძებენ დღემდე დეპორტირებული მესხები თავიანთ სამშობლოს?

მოსწავლე გაერკვევა 1940-იან წლებში სამხრეთ საქართველოსა და აჭარის რეგიონებიდან მესხი მოსახლეობის ერთი ნაწილის იძულებით გასახლების მიზეზებსა და შედეგებში; გაანალიზებს საქართველოს მთავრობისა და საზოგადოების, სხვადასხვა ორგანიზაციის პოზიციას დეპორტირებულ მესხებთან დაკავშირებით XX საუკუნის 40-იანი წლებიდან დღემდე. მოსწავლე ამ საკითხებში გაერკვევა კლასში სიმულაციური აქტივობის მეშვეობით.

განმაზოვადებელი კითხვა: რატომ გაასახლა სახელმწიფომ საქართველოდან, ხოლო შემდეგ დააბრუნა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი:

1944 წელს სსრკ-ის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილება სამხრეთ საქართველოდან „არასაიმედო“ ხალხის ევახეთში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში გასახლების შესახებ. 1944 წლის ნოემბერში სამხრეთ საქართველოდან სატვირთო ვაგონებით გასახლებულ იქნა 80 ათასამდე მაჰმადიანი მესხი, მათგან დაახლოებით 17 ათასი გზაში დაიღუპა. 1999 წელს საქართველომ ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას აიღო დეპორტირებული მესხების საქართველოში დაბრუნების ვალდებულება.

2007 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ითვალისწინებს იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციას. საქართველოში დაბრუნების მსურველთა საბუთების მიღება 2010 წლის 1 იანვარს დასრულდა.

IV. ძირითადი ცნებები (დექსიკონთან ერთად):

ასამბლეა – (assemblée) „კრება“ რაიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება.

დეპორტაცია – „არანებაყოფლობითი პოლიტიკური მიგრაცია“; გაძევება სახელმწიფოდან.

ეთნოციდი – (ეტიჰნოს და ცაედო) „ხალხი“ და „გვლაფი“, „ეხოცაჲ“. მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების გაქლეტა ეთნიკური, რასობრივი და ეროვნული (რელიგიური) მოტივებით.

ეთთო – ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია – უსაფრთხოების რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია.

მიგრაცია ცალკეული პირების, ან ჯგუფების მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა გადასახლების მიზეზებისა და მიზნების მიუხედავად. მიგრაციის მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ეკოლოგიური კატასტროფები თუ პოლიტიკური მოტივები, ისე უკეთესი ეკონომიკური პერსპექტივები, ან პოლიტიკური დაცუ-

ლობა გადასახლების ადგილას. განხორციელების ფორმის მიხედვით გამოყოფენ ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციას, ხოლო დროითი განზომილების მიხედვით - მუდმივსა და დროებითს.

ადამიანების გადასვლა ერთი რეგიონიდან მეორეში (შიდა მ.), ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში (გარე მ.) ან კიდევ მოსახლეობის პერიოდული გადინება-შემოდინება ერთი რეგიონიდან მეორეში (ქანქარისებური მ.).

რეპატრიაცია – გულისხმობს იმ პირთა დაბრუნებას, მოქალაქეობის, მუდმივი საცხოვრებლის, ან წარმოშობის ადგილას, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ.

რეპატრიანტი – რეპატრიანტი-ი [ლათ. repatrians (repatriantis)] - პირი, რომელიც ბრუნდება სამშობლოში რეპატრიაციის ძალით; პირი, რომელმაც კანონით დადგენილი წესით მოიპოვა რეპატრიანტის სტატუსი.

სეგრეგაცია – რაიმე ნიშნის (კანის ფერი, ენის, ეთნიკური წარმომავლობისა და სხვა) საფუძველზე რომელიმე ქვეყნის მიერ საკუთარი მოსახლეობის მიზანდასახული გამოიჯენის პოლიტიკა. ამგვარი გამოიჯენა ხორციელდება ცხოვრების ყველა სფეროს მიმართ.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის გაკვეთილის მიზანი:

დეპორტირებული მესხების მიგრაციული პროცესების მიხედვით და შედეგების გარკვევა; ევროსაბჭოს, ევროკავშირის პოლიტიკის ანალიზი საქართველოსა და დეპორტირებულ მესხებთან დაკავშირებით.

წინაპირობა: პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზის უნარი. გაკვეთილისთვის საჭირო მასალა: ფურცელი ჩანაწერებისათვის №1 (სამი ცალი); ფურცელი ჩანაწერებისათვის 2 (სამი ცალი); სამი ცალი კონვერტი წყაროების ჩასადებად; ჯგუფების დასახელებები; დიდი საწერი ფურცლები (დაფაზე/კედელზე გასაკრავი); მარკერები.

აქტივობები:

მოსწავლეებთან ერთად დაახუსტეთ ცნების – „მიგრაცია“ მნიშვნელობა. შეეკითხეთ მთელ კლასს:

- რატომ მიდიან ადამიანები ერთი ადგილიდან, რეგიონიდან ან ქვეყნიდან მეორეში?
- მიგრაცია ყოველთვის ნებაყოფლობითია?

(მოსწავლეთა სავარაუდო პასუხები: ახალი შესაძლებლობები, თავი დაადწიონ არსებულ პრობლემებს, თავისუფლების

ძიება; არ სურთ, მაგრამ აიძულებენ და ა.შ.);

- რა იცით დეპორტირებული მესხების შესახებ?

პასუხები რომელიმე მოსწავლეს დააწერინეთ დაფაზე ან დიდ ფურცელზე.

2. აუხსენით მოსწავლეებს, რომ მოაწყოთ სიმულაციურ თამაშს – მრგვალი მაგიდა-დისკუსია: დეპორტირებული მესხები სამშობლოს მუდმივ ძიებაში.


დაყავით კლასი სამ ჯგუფად (თითოეულ ჯგუფში 3-4 მოსწავლე, მათი სურვილიდან გამომდინარე – თუ ვის ვისი/რა როლის შესრულება სურს):

- სახელმწიფო სტრუქტურები და საერთაშორისო ორგანიზაციები;
- დეპორტირებული მესხები;
- საქართველოს საზოგადოება;

3. თითოეული ჯგუფი უნდა გაეცნოს თავისი ჯგუფისათვის განკუთვნილ წყაროებს (შეიძლება წყაროები დაიჭრას და ცალ-ცალკე კონვერტში მოთავსდეს) და შეავსოს ფურცელი ჩანაწერებისათვის №1. მოსწავლეებმა, უმჯობესია, წყაროები დაინაწილონ და დააღაგონ ქრონოლოგიურად; თითოეულმა ჯგუფმა გამოიყოს ერთი მოსწავლე, რომელიც ჩაიწერს ჯგუფის წევრების მოსაზრებებს და შეავსებს ფურცელს ჩანაწერებისათვის №1;

4. მოსწავლეები აწყობენ დისკუსიას თემაზე: დეპორტირებული მესხები სამშობლოს მუდმივ ძიებაში, რომლის დროსაც თითოეული ჯგუფი წარმოადგენს და დაიცავს თავის პოზიციას (წყაროების საფუძველზე).

დისკუსიისას, სასურველია, მერხების შემდეგნაირი განლაგება (მრგვალი მაგიდის იმიტაცია):



თითოეულ ჯგუფს წინ დაუდეთ მათი ჯგუფის სახელი.

5. მუშაობა ჩანაწერების ფურცელზე №2

დისკუსიის დასრულების შემდეგ, თუ დრო დაგრჩებათ, დაყოთ კლასი სამ-ოთხ ჯგუფად – „ექსპერტები“;

- ჯგუფები მოსმენილი დისკუსიისა და წყაროების საფუძველზე ავსებენ ჩანაწერების ფურცელს №2;
- ჯგუფების პრეზენტაციები. თითოეული ჯგუფი ასახელებს იმ მოსაზრებას, რომელიც არ იყო ნახსენები სხვა ჯგუფების მიერ.

- მასწავლებელმა უნდა შეასრულოს მედიატორის როლი და უზრუნველყოს ყველა მოსწავლის აქტიური ჩართვა.
 - მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ პირველ პირში, ანუ კარგად გაითავისონ როლი.
6. დაუსვით კლასს განმაზოგადებელი კითხვა და კითხვები:
- რატომ გაასახლა სახელმწიფომ საქართველოდან, ხოლო შემდეგ დააბრუნა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი?
 - სახელმწიფო მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფს ასახლებს და აბრუნებს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე?
- სახელმწიფო მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფს ასახლებს და აბრუნებს თავისი საზოგადოების, საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოთხოვნების გათვალისწინებით?
- სახელმწიფო მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფს ასახლებს და აბრუნებს ისე, რომ ფიქრობს/არ ფიქრობს ახალ ადგილებზე მათი ინტეგრაციის საკითხებზე?

VI. ბიბლიოგრაფია:

1. მერაბ ბერიძე, გვარები და ტოპონიმები მეტყველებენ, თბილისი, 2006.
2. მერაბ ბერიძე, ქართველთა გამუსლიმება და გვარის შეცვლა მესხეთში, თბილისი, 2006.
3. უჩა ბლუაშვილი, მესხეთის სახელგონი შვილები, თბილისი, 2008.
4. უჩა ბლუაშვილი, სამხრეთ საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური იდენტობა და რაოდენობა, თბილისი, 2006.
5. თენგიზ ვარდიძე, რეპატრაციის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2007.
6. ტარიელ ფუტყარაძე, მესხეთიდან დეპორტირებულთა თვითაღქმა იანეთში ჩასახლებულ პირთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, არტანუჯი, 2005.
7. გიგა ქამუშაძე, იანეთში რეპატრირებული მოსახლეობის თურქული მეტყველების თავისებურებანი (დისერტაცია, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი, 2006.
8. ლავრენტი ჯანიაშვილი, 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, თბილისი, 2006.
9. Гурам Мамулия, Концепция государственной политики Грузии в

ჩანაწერების ფურცელი №2 (ჯგუფისათვის - „ექსპერტები“)
 XX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში რამდენჯერმე
 მოხდა მაჰმადიანი მესხების მიგრაცია. მოსმენილი დისკუსიისა
 და წყაროების საფუძველზე შეავსეთ ქვემოთ მოტანილი ცხრილი.

I მიგრაცია
თარიღი: -----
ინიციატორი/განმახორციელებელი: ----- -----
მიგრაციის მიმართულება: -----
მიგრანტთა სტატუსი: -----
მიგრაციის ტიპი: -----
მიზეზი: ----- -----
შედეგი: ----- ----- -----
<input type="checkbox"/> მოკლევადიანი <input type="checkbox"/> გრძელვადიანი

II მიგრაცია
თარიღი: -----
ინიციატორი/განმახორციელებელი: ----- -----
მიგრაციის მიმართულება: -----
მიგრანტთა სტატუსი: -----
მიგრაციის ტიპი: -----
მიზეზი: ----- -----
შედეგი: ----- ----- -----
<input type="checkbox"/> მოკლევადიანი <input type="checkbox"/> გრძელვადიანი

III მიგრაცია
თარიღი: -----
ინიციატორი/განმახორციელებელი: ----- -----
მიგრაციის მიმართულება: -----
მიგრანტთა სტატუსი: -----
მიგრაციის ტიპი: -----
მიზეზი: ----- -----
შედეგი: ----- ----- -----
<input type="checkbox"/> მოკლევადიანი <input type="checkbox"/> გრძელვადიანი

IV მიგრაცია
თარიღი: -----
ინიციატორი/განმახორციელებელი: ----- -----
მიგრაციის მიმართულება: -----
მიგრანტთა სტატუსი: -----
მიგრაციის ტიპი: -----
მიზეზი: ----- -----
შედეგი: ----- ----- -----
<input type="checkbox"/> მოკლევადიანი <input type="checkbox"/> გრძელვადიანი

შენიშვნა: ჩანაწერების ფურცლები №1 და 2 მიზანშეწონილია იყოს A4 ფორმატის.

19. რუსთავი – „ორმოცი ძმის“ ქალაქი

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **47. საქართველო სსრკ-ში XX საუკუნის მეორე ნახევარში;**

ისტ. IX 4. მოსწავლე იკვლევს სოციალურ ურთიერთობების ისტორიას საქართველოში

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

მსჯელობს საქართველოში ურბანიზაციითა და მიგრაციის სხვა ტიპებით გამოწვეულ სოციალურ ცვლილებებზე. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ადარებს მათ მიზეზებსა და შედეგებს;

ბ) IX კლასის გეოგრაფიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **32. ურბანიზაცია და დასახლების ტიპები**

გეო.IX.9. ანალიზებს საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის და ურბანიზაციის პროცესებს და აკეთებს პროგნოზებს

გ) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **როგორ ვსწავლობთ ისტორიას:**

ა) პირველადი და მეორადი წყაროები;

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ. X 5. ანალიზებს პირველად და მეორად წყაროებს

ისტ. X 6. გეგმავს და ატარებს ისტორიულ კვლევას.

დ) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **13. ტოტალიტარიზმი მსოფლიოში: ა)სტალინი-საბჭოთა კავშირი (საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში); 21. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში – ეროვნული მოძრაობა საქართველოში 1920-იან 70-იან წლებში;**

ისტ. XII 1. მოსწავლე ანალიზებს XIX და XX საუკუნეებში მსოფლიოსა და საქართველოში მომხდარ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლილებებს

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

მსჯელობს მიგრაციული პროცესების მიზეზებსა და შედეგებზე; ირჩევს სხვადასხვა ეპოქაში მომხდარ ორ მიგრაციულ პროცესს და ადარებს მათ მიზეზებსა და შედეგებს;

ისტ. XII 7. იკვლევს სხვადასხვა კულტურების ურთიერთობას ასევე;

დ) VIII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **37. სტალინის მმართველობა საბჭოთა კავშირში**

ისტ. VIII 2. ახასიათებს კონფლიქტის შედეგად გამოწვეულ მიგრაციულ პროცესებს

ე) VIII კლასის გეოგრაფიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: **5. მიგრაცია; 6. ურბანიზაცია**

გეო.VIII. 7. შეისწავლის მიგრაციის პროცესსა და განსახლების თავისებურებებს.

გეო.VIII.8. ახასიათებს ურბანიზაციის პროცესს.

შედგვი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

იკვლევს ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების გამო ქალაქების ფუნქციის შექმნა-დაკარგვის შედეგად წარმოქმნილ სოციალურ პრობლემებს; მოჰყავს შესაბამისი მაგალითები.

კონკრეტული შედეგები:

შეუძლია მიგრაციის პროცესის თავისებურებების დახასიათება;

მსჯელობს ახალი ქალაქის – რუსთავის დაარსებასთან დაკავშირებულ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ პრობლემებზე და ურბანიზაციის ხელშემწყობ ფაქტორებზე;

ახასიათებს ინდუსტრიულ ცენტრს – რუსთავს;

მსჯელობს ქალაქ რუსთავში მიგრაციული პროცესების მიზეზებსა და შედეგებზე;

იკვლევს რომელი ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების გამო მიენიჭა რუსთავს ქალაქის ფუნქცია.

II. ანოტაცია:

საკვანძო შეკითხვა: საიდან წარმოიშვა რუსთავის ზედმეტსახელი „ორმოცი ძმის“ ქალაქი?

მოსწავლე გაიგებს, რომ 1940-იან წლებში მეტალურგების ახალი ქალაქის რუსთავის დაარსება ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გამოძახილი იყო, ხოლო ქალაქის ინტერნაციონალური, მრავალეროვნული ხასიათი – ნაწილობრივ, სახელმწიფოს მხრიდან შიდამიგრაციული პროცესების რეგულირების შედეგი. მოსწავლე იმსჯელებს ახალი, მრავალეროვნული ქალაქის დაარსებასთან დაკავშირებულ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ პრობლემებზე ქალაქ რუსთავზე პირობითი გადასადები ფილმის სცენარებში.

განმაზოგადოებელი კითხვა: რა როლი ითამაშა მიგრაციულმა პროცესებმა მრავალეროვანი რუსთავის შექმნაში?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

რუსთავის შესახებ ცნობებს გვაწვდის ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრებაში“. მის მიხედვით, ქალაქი რუსთავი ქართველთა წინაპრის ქართლოსის ცოლმა ააშენა: „ცოლმან მისმან აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი.“ ქართლოსის სიკვდილის შემდეგ კუხეთი და ქალაქი რუსთავი წილად ხვდა მის შვილს კუხოსს. ლეონტი მროველის მეორე ცნო-

ბის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელს ქართლში ლაშქრობისას დახვედრია ქალაქები: დიდი მცხეთა, ურბნისი, უფლისციხე, სარკინე, რუსთავი და სხვა. ამიტომ ძვ. წ. IV საუკუნეში რუსთავი უკვე ქალაქია. არქეოლოგიური მონაცემების თანახმად რუსთავში ძლიერი სამოსახლო უკვე ბრინჯაოს ხანაში არსებობდა.

IV საუკუნის შუა წლებიდან რუსთავი იქცა რევიანთა რეზიდენციად, უფლისწულთა ქალაქად ანუ ვოსტან ქალაქად. „ვოსტან“ ირანული წარმოშობის სიტყვა და უფლისწულისთვის გამოყოფილ მამულს ნიშნავს. რუსთავს ვოსტან-ქალაქი ანუ ბოსტან-ქალაქი მთელი ადრეული შუა საუკუნეების მანძილზე ერქვა. IV საუკუნის ბოლო მეოთხედში უკვე გამეფებულმა თრდატ რევის ძემ, ბოსტან-ქალაქში მტკვრიდან ყარაიას ველებამდე გაიყვანა სარწყავი არხი, ანუ რუ. სწორედ ამ არხიდან მიიღო ქალაქმა მეორე სახელწოდება — რუსთავი, ანუ რუს, სარწყავი არხის სათავე. ამ სახელს ქალაქი ვოსტან-ქალაქის პარალელურად VI საუკუნიდან ატარებდა. IX საუკუნიდან კი რუსთავი რევიანთა საუფლისწულო ქალაქი აღარ არის და ამიტომ მას რჩება მხოლოდ სახელი რუსთავი.

XII—XIII საუკუნეებში რუსთავში საქალაქო ცხოვრებამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ქალაქში ყვაოდა ხელოსნობის ისეთი დარგები როგორცაა კერამიკის, მინის, ლითონის, ტყავის, ძვლის, ხის, ასევე საფეიქრო წარმოება. რუსთაველი ხელოსნების მიერ დამზადებული ნაწარმი გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით. რუსთავი იმავე დროს ჩართული იყო მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო გზების ქსელში.

რუსთავი, როგორც ქალაქი, განადგურდა 1265 წელს მონღოლების შემოსევის, ბექა-ყაენის ლაშქრობის შედეგად. 1940-იან წლებამდე მხოლოდ ქალაქის ციხის ნანგრევებმა მოაღწია. 1944 წელს ისტორიული ნაქალაქარის ტერიტორიაზე დაიწყო მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა, რაც სსრკ-ში ინდუსტრიალიზაციის გეგმის ნაწილი იყო. ქარხნის მშენებლობასთან ერთად საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ქალაქის მშენებლობას. ქალაქის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდნენ სსრკ-ის სხვადასხვა რესპუბლიკის, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომელთა ნაწილი საცხოვრებლად რუსთავში დარჩა. 1948 წლის 19 იანვარს რუსთავმა ქალაქის სტატუსი მიიღო.

IV. ძირითადი ცნებები (განმარტებებით):

კპ(ბ) – კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა). საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების (სსრკ) ერთადერთი

ლეგალური პოლიტიკური პარტია. პარტიის დამაარსებელი და ბელადი იყო ვლადიმერ ლენინი. 1898–1917 წლებში მას ერქვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; 1917–1918 წლებში – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (ბოლშევიკებისა); 1918–1925 წლებში – რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა); 1925–1952 წლებში – საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა); 1952–1991 წლებში – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

სახკომსაბჭო – საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების (სსრკ) სახალხო კომისართა საბჭო. სახალხო კომისართა პირველი საბჭო დაფუძნდა ჯერ კიდევ ხუთი წლით ადრე საბჭოთა კავშირის შექმნამდე, 1917 წლის 27 ოქტომბერს. სსრკ-ის სახკომსაბჭო ფუნციონირებდა 1923 წლის 6 ივლისიდან 1946 წლის 15 მარტამდე, როგორც სსრკ-ის უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი (არსებობის დასაწყისში, როგორც საკანონმდებლო) ორგანო, მისი მთავრობა (თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკასა და ავტონომიურ რესპუბლიკაში იყო, ასევე, სახალხო კომისართა საბჭო, მაგალითად, საქართველოს სახკომსაბჭო).

1946 წლის 15 მარტს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭო გარდაიქმნა სსრკ-ის მინისტრთა საბჭოდ, რომელმაც იარსება 1991 წლამდე.

ხუთწლელი – ხუთწლიანი გეგმის მოქმედების პერიოდი. ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენდა სსრკ-ის კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას ერთიან გეგმიურ საწყისებზე სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის. კომპარტიის ხელმძღვანელთა განცხადებით „[ეს] იყო კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ სოციალიზმის მიერ ფრონტზე გეგმაშეწონილი შეტევის, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენებისა და აგრარული ქვეყნის ინდუსტრიულ ქვეყნად გარდაქმნის გაშლილი პროგრამა.“ პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადები იყო 1928-1932 წლები.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე ანალიზებს პირველად წყაროებს, აფასებს მათ და სანდოობის საფუძველზე აღადგენს ისტორიულ ვითარებას. ასევე:

- ისტორიულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა;
- ისტორიული მოვლენების შედარება და დასკვნების გაკეთება;
- ჯგუფური მუშაობა და თანამშრომლობის უნარი;

- პრეზენტაციის უნარი;
- ისტორიული თემის დაწერის უნარი;

წინაპირობა: პირველადი წყაროების ანალიზისა და შეფასების უნარი

გაკვეთილისთვის საჭირო მასალა: ფურცელი ჩანაწერებისათვის №1 და №2; დიდი საწერი ფურცლები (დაფაზე/კედელზე გასაკრავი); მარკერები.

აქტივობები:

დაწერეთ დაფაზე ან დიდი ფორმატის ფურცელზე გაკვეთილის საკვანძო შეკითხვა და გააცანით ის მთელ კლასს: საიდან წარმოიშვა რუსთავის ხედმეტსახელი “ორმოცი ძმის” ქალაქი?

მოსწავლეთა მოტივაციის მიზნით აღნიშნეთ, რომ ქალაქი რუსთავი უძველესი ქალაქია და ფუნქციონირებდა მონღოლების შემოსევამდე (იხ. III. მოკლე ისტორიული მიმოხილვა);

აუხსენით მოსწავლეებს გაკვეთილის ფორმატი: რეჟისორი მათ სთავაზობს “გადაიღონ” დოკუმენტური ფილმი ქალაქ რუსთავზე. ამისათვის მოსწავლეებს მოუწევთ სცენარის დაწერა და მისი პრეზენტაცია კლასის წინაშე. ფილმის ძირითადი სიუჟეტებია: 1. რუსული სკოლა რუსთავში და 2. რუსთავის მშენებლები;

- დაყავით კლასი ორ ჯგუფად იმის მიხედვით, თუ ვის რომელი სიუჟეტის მიხედვით სურს ფილმის გადაღება;
- დაურიგეთ ჯგუფებს წყაროები და ჩანაწერების ფურცელი №1 და №2 ჯგუფებში სამუშაოდ;
- ჯგუფების პრეზენტაციები;
- შეჯამება: დაუსვით კლასს განმაზოგადებელი კითხვა - რა როლი ითამაშა მიგრაციულმა პროცესებმა მრავალეროვანი რუსთავის შექმნაში?

VI. პასუხი დავალებებზე

მოსწავლეებმა, უმჯობესია, წყაროები დაინაწილონ და ისე შეავსონ ჩანაწერების ფურცლები;

წყარო 1. ყურადღება უნდა გამახვილდეს: რუსთავში ივანე ოვადოვსკი საკუთარი ნებით არ ჩასულა; დასახლებიდან „როზა ლუქსემბურგი“ გერმანელები იძულებით გაასახლეს;

წყაროში 3ბ ყურადღება უნდა გამახვილდეს: ისწავლებოდა რუსული და ქართული ენა.

ჩანაწერების ფურცელი №1.

სავარაუდო საკვანძო შეკითხვები: რატომ იხსნება რუსული სკოლა რუსთავში? არის თუ არა სკოლა რუსთავში ინტერნაციონალური?

ჩანაწ. ფურც. №2, რატომ ჩადიან რუსთავში სხვადასხვა კუთხეებიდან? არის თუ არა რუსთავი ინტერნაციონალური ქალაქი?

ჩანაწერების ფურცელი №1: რუსული სკოლა რუსთავში

გაეცანით წყაროებს და შეავსეთ ჩანაწერების ფურცელი.

I. თავდაპირველად ჩამოაყალიბეთ ფილმის მთავარი მიზანი და საკვანძო შეკითხვა, რომელზეც გსურთ პასუხის მიღება:

წყაროები, რომელიც დაგეხმარებათ საკვანძო შეკითხვაზე პასუხის მიღებაში:

ფილმის სათაური -----

სიუჟეტის ძირითადი აქცენტები:
სკოლის შექმნის ისტორია

საინტერესო მოვლენები და ფაქტები სკოლის ცხოვრებიდან

მოსწავლეები და მასწავლებლები; მათი ეროვნება, სქესი, ასაკი; დირექტორი

მოსწავლეების ჩაცმულობა და გარეგნობა

სასწავლო საგნები, სკოლის ინტერიერი

მოსწავლეების რაოდენობის ზრდა

სხვა (შეგიძლიათ დაამატოთ)

II. დაწერეთ სცენარი (5-8 კადრი) – რუსული სკოლა რუსთავში – სიუჟეტის ძირითადი აქცენტების გამოყენებით:

III. შეიცვალა თუ არა სიუჟეტის საკვანძო შეკითხვის ფორმულირება? თუ შეიცვალა, დაწერეთ ახალი ვარიანტი:

ჩანაწერების ფურცელი №2: რუსთავის მშენებლები გაეცანით წყაროებს და შეავსეთ ჩანაწერების ფურცელი.

I. თავდაპირველად ჩამოაყალიბეთ ფილმის მთავარი მიზანი და საკვანძო შეკითხვა, რომელზეც გსურთ პასუხის მიღება:

წყაროები, რომელიც დაგეხმარებათ საკვანძო შეკითხვაზე პასუხის მიღებაში:

ფილმის სათაური

სიუჟეტის ძირითადი აქცენტები:
ქალაქის შექმნის ისტორია

საინტერესო მოვლენები და ფაქტები ქალაქის ცხოვრებიდან

სახელმწიფოს პოლიტიკა მრეწველობასა და ეკონომიკაში

შრომითი კადრების მობილიზაციის პრაქტიკა: ნებაყოფლობითი თუ იძულებითი

რუსთავის მაცხოვრებლები: ეროვნება, პროფესია, ასაკი, სქესი

რატომ ჩადის ზოიას ოჯახი რუსთავში?

ცხოვრების პირობები

მოსახლეობის მიგრაციის ტიპი და მიმართულება

სამუშაო ფურცელი 20.
„აგორებული ქეები” (ეკოლოგიური მიგრანტები
საქართველოში)

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემებს: 47. საქართველო სსრკ-ში XX საუკუნის მეორე ნახევარში; 49. საბჭოთა კავშირის დაშლა

ისტ. IX 4. მოსწავლე იკვლევს სოციალური ურთიერთობების ისტორიას საქართველოში

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

მსჯელობს საქართველოში ურბანიზაციითა და მიგრაციის სხვა ტიპებით გამოწვეული სოციალური ცვლილებებზე. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ადარებს მათ მიზეზებსა და შედეგებს;

IX კლასის გეოგრაფიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: 25. მოსახლეობის დინამიკა; 30. მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური შემადგენლობა.

გეო. IX.9. აანალიზებს საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის და ურბანიზაციის პროცესებს და აკეთებს პროგნოზებს

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

მსჯელობს ურბანიზაციის ხელშემწყობ და ხელშემშლელ ფაქტორებზე და მათთან დაკავშირებულ სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებზე;

გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საქართველოს შიდა და გარემიგრაციული პროცესების შედეგად გამოწვეულ სოციალურ ცვლილებებზე და მსჯელობს სიტუაციის გაუმჯობესების შესაძლო გზებზე.

გ) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: **როგორ ვსწავლობთ ისტორიას:**

ა) პირველადი და მეორადი წყაროები;

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ. X.5. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება.

ისტ. X.6. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები.

დ) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: **24. პერესტროიკა, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლა. დამოუკიდებელი საქართველო;**

ისტ. XII 1. მოსწავლე აანალიზებს XIX და XX საუკუნეებში მსოფლიოსა და საქართველოში მომხდარ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლილებებს

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

მსჯელობს მიგრაციული პროცესების მიზეზებსა და შედეგებზე. ასევე,

ე) VIII კლასის გეოგრაფიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით

გათვალისწინებულ თემას: **5. მიგრაცია.**

გეო.VIII. 7. შეისწავლის მიგრაციის პროცესსა და განსახლების თავისებურებებს.

კონკრეტული შედეგები:

მსჯელობს საქართველოში 1980-90-იან წლებში შიდა მიგრაციული პროცესების განვითარებაზე და შედეგებს წარმოადგენს კლასის წინაშე;

იკვლევს და აანალიზებს ეკოლოგიური ცვლილებების შედეგად ახალი დასახლებების შექმნით წარმოქმნილ პრობლემებს;

მოიპოვებს ინფორმაციას სტიქიური მოვლენების მიზეზით იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ და მსჯელობს წარმოქმნილ სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებზე, გამოთქვამს მოსაზრებებს პრობლემის დარეგულირებაზე;

გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საქართველოს შიდა მიგრაციული პროცესების შედეგად გამოწვეულ სოციალურ ცვლილებებზე და მსჯელობს სიტუაციის გაუმჯობესების შესაძლო გზებზე.

II. ანოტაცია:

საკვანძო შეკითხვა: რატომ იქცა ეკომიგრანტების განსახლების საკითხი ეროვნებათა შორის ურთიერთობის პრობლემად საქართველოში?

სამუშაო ფურცელი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოიკვლიონ და გაანალიზონ 1980-90-იან წლებში საქართველოში ეკოლოგიური ცვლილებების შედეგად გამოწვეული შიდამიგრაციული პროცესები; გამოთქვან მოსაზრებები ახალი დასახლებების შექმნით წარმოქმნილი პრობლემებისა და საზოგადოებისა და სახელმწიფოს როლის შესახებ ამ პრობლემების გადაჭრისას.

მოსწავლეს დასჭირდება პრევენციის მომზადება და შეხედულებების შეჯერება ეკომიგრანტების პრობლემების გადაჭრის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

განმაზოგადებელი კითხვა: როგორი უნდა იყოს ხელისუფლების პოლიტიკა და საზოგადოების პოზიცია, რათა ეკომიგრანტების ადაპტაციისათვის ხელსაყრელი გარემოს შეიქმნას?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი:

1980-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოს მთიანი რეგიონებიდან გაძლიერდა შიდამიგრაციის პროცესი, რაც გამოწვეული იყო კლიმატური ცვლილებებითა და ეკოლოგიური კატასტროფებით. განვლილი საუკუნის ბოლო მეოთხედში ათიათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა წყალდიდობების, მეწყერების თუ ზეავეების შედეგად. 1981 – 2010 წლებში განსახლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დაახლოებით 11000 ოჯახი გადაასახლეს (დაახლოებით 60000 ადამიანი), ძირითადად აჭარისა და სვანეთის მაღალმთიანი რეგიონებიდან. ამავე პერიოდში მიგრანტთა დაუდგენელი რაოდენობა, ძირითადად, აჭარიდან, დამოუკიდებლად გადასახლდა საქართველოს სხვა მხარეებში მათი მშობლიური რეგიონების მოსახლეობით გადატვირთულობისა და მცირემიწიანობის გამო. მიგრაციის პროცესმა პიკს 2002-2003 წლებში მიაღწია. ეკომიგრანტები დასახლდნენ ნინოწმინდის, ახალქალაქის, ადიგენის, გურიის და საქართველოს სხვა რაიონებში. ეს ჩასახლება ზოგ რაიონში წარმატებული იყო, ზოგში კი წარუმატებელი, რასაც უკუმიგრაციის პროცესი მოჰყვა.

უკუმიგრაციის ძირითადი მიზეზები იყო: მოსახლეობის დაპირისპირება ეთნიკურ ნიადაგზე, განხვავებული სოციალური და კულტურული ღირებულებები, განსხვავებული კლიმატი და მეურნეობის წარმოების წესი, სოციალური პრობლემები და ა.შ.

IV. ძირითადი ცნებები (განმარტებებით):

ევაკუაცია – ”დაცლა”, “დაცარიელება”. ორგანიზებული გამოყვანა ადმიანებისა, დაწესებულებებისა, გამოტანა ქონებისა, მოწყობილობისა და სხვ. იმ ადგილიდან, სადაც რამე საფრთხეა მოსალოდნელი.

ეკომიგრანტი – ეკოლოგიური მიგრანტი. სხვადასხვა ეკოლოგიური კატასტროფებისა და სტიქიური უბედურებების მიზეზით გამოწვეული მიგრაცია.

მიგრაცია – ცალკეული პირების, ან ჯგუფების მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა გადასახლების მიზეზებისა და მიზნების

მიუხედავად მიგრაციის მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ეკოლოგიური კატასტროფები თუ პოლიტიკური მოტივები, ისე უკეთესი ეკონომიკური პერსპექტივები, ან პოლიტიკური დაცულობა გადასახლების ადგილას. განხორციელების ფორმის მიხედვით გამოყოფენ ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციას, ხოლო დროითი განზომილების მიხედვით - მუდმივსა და დროებითს.

ადამიანების გადასვლა ერთი რეგიონიდან მეორეში (შიდა მ.), ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში (გარე მ.) ან კიდევ მოსახლეობის პერიოდული გადინება—შემოდინება ერთი რეგიონიდან მეორეში (ქანქარისებური მ.).

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი:

სხვადასხვა ტიპის წყაროებიდან ინფორმაციის მიღება, დაჯგუფება და განზოგადება;

ისტორიულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა;

ჯგუფური მუშაობა და თანამშრომლობის უნარი;

პრეზენტაციის უნარი;

წინაპირობა:

XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის ცოდნა და საქართველოში არსებული ეკოლოგიური პრობლემების ცოდნა.

გაკვეთილათვის საჭირო მასალა: დიდი საწერი ფურცლები (დაფაზე/კედელზე გასაკრავი); მარკერები.

აქტივობები:

დაწერეთ დაფაზე ან დიდი ფორმატის ფურცელზე გაკვეთილის საკვანძო შეკითხვა და გააცანით ის მთელ კლასს: რატომ იქცა ეკომიგრანტების განსახლების საკითხი ეროვნებათა შორის ურთიერთობის პრობლემად საქართველოში?

მოსწავლეებთან ერთად დაახუსტეთ ცნების - „ეკომიგრანტი“ - მნიშვნელობა.

დავალება 1. დაყავით კლასი ოთხ ჯგუფად;

ოთხივე ჯგუფი მუშაობს წყაროებზე 1-3, წერილობით პასუხობს დავალების შეკითხვებს და წარმოადგენს კლასის წინაშე. თითოეული ჯგუფი ასახელებს იმ მოსაზრებას, რომელიც არ იყო ნახსენები სხვა ჯგუფების მიერ;

დავალება 2.

ჯგუფები მუშაობენ წყაროებზე 4-5, წერილობით პასუხობენ დავალების შეკითხვებს და წარმოადგენენ კლასის წინაშე.

თითოეული ჯგუფი ასახელებს იმ მოსაზრებას, რომელიც არ იყო ნახსენები სხვა ჯგუფების მიერ;

დავალება 3.

ჯგუფები მუშაობენ წყაროებზე 6-10, წერილობით პასუხობენ დავალების შეკითხვებს და წარმოადგენენ კლასის წინაშე. თითოეული ჯგუფი ასახელებს იმ მოსაზრებას, რომელიც არ იყო ნახსენები სხვა ჯგუფების მიერ.

VI. პასუხები დავალებებზე:

დავალება 1.

კითხვებზე სავარაუდო პასუხები:

1 - სტიქიური უბედურება (ზვავი, მეწყერი, ხანძარი და ა.შ.), მცირემიწიანობა, მოსახლეობით გადატვირთულობა, უმუშევრობა;

2 - მესტიისა და ლენტეხის რაიონები, მთიანი აჭარა (ხულო, შუახევი);

3 - სამცხე-ჯავახეთი, ქართლი, სამეგრელო; სიახლოვე მშობლიურ მხარესთან, მსგავსი კლიმატი, მსგავსი მეურნეობა, მსგავსი კულტურა, აუთვისებელი მიწები, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობა, ორგანიზებული და არა სპონტანური მიგრაცია;

დავალება 2.

1 - გაითვალისწინეს: სიახლოვე მშობლიურ მხარესთან, ჩასახლების ისტორიული გამოცდილება;

არ გაითვალისწინეს: დაძაბული შიდაეთნიკური სიტუაცია, განხვავებული სოციალური და კულტურული ღირებულებები; განსხვავებული კლიმატი და მეურნეობის წარმოების წესი, ეკომიგრანტთა სურვილები;

2 - სიახლოვე მშობლიურ მხარესთან, ჩასახლების ისტორიული გამოცდილება; მსგავსი კლიმატი, მსგავსი მეურნეობა, მსგავსი სოციალური და კულტურული ღირებულებები, აუთვისებელი მიწები, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობა, ეკომიგრანტების კომპაქტურად ჩასახლების შესაძლებლობა; რაც შეიძლება ნაკლები სოციალური პრობლემები ჩასახლების ადგილზე, ეკომიგრანტთა სურვილის გათვალისწინება, გამართული ინფრასტრუქტურა, ორგანიზებული და არა სპონტანური მიგრაცია;

3 - იგივე, რაც არის 2-ში.

დავალება 3.

1. მეურნეობის წარმოების მსგავსი წესი, გადმოსახლებულებმა თავად აირჩიეს ჩასახლების ადგილი, კეთილმეზობლური ურთიერთობა ადგილობრივებთან;

2. კონფლიქტები ეთნიკურ ნიადაგზე, მოუწყობელი ინფრასტრუქტურა;

3. ეთნიკური, საყოფაცხოვრებო;

4. მოუწყობელი ინფრასტრუქტურა, კლიმატი, ეთნიკური დაპირისპირება, საყოფაცხოვრებო პირობები, განსხვავებული სამეურნეო ტრადიცია და კულტურა, ეკომიგრანტთა ინტერესების გათვალისწინება;

5. სამცხე-ჯავახეთი, 1989-1998 წწ.;

6. სახელმწიფოს მხრიდან დახმარება, ეკომიგრანტთა ინტერესების განსახდვრა, ჩასახლების ადგილის შერჩევა მათი მონაწილეობით, ფინანსური დახმარება და ა.შ.

შეჯამება: დაუსვით კლასს განმაზოგადებელი კითხვა - როგორი უნდა იყოს ხელისუფლების პოლიტიკა და საზოგადოების პოზიცია, რათა ეკომიგრანტების ადაპტაციისათვის ხელსაყრელი გარემო შეიქმნას?

სამუშაო ფურცელი 21. მედლის ორი მხარე: ქართელები და ოსები (1980-90-იანი წლები)

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემებს: 48. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა; 49. საბჭოთა კავშირის დაშლა; 50. დამოუკიდებელი საქართველო: დამოუკიდებლობის გამოცხადება, 1991-92 წლის სახელმწიფო გადატრიალება, ბრძოლა სეპარატიზმის წინააღმდეგ;

ისტ. IX 5. ანალიზებს საგარეო და საშინაო ფაქტორების გავლენას ქართული სახელმწიფოს წარმოშობასა და განვითარებაზე მედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე;

ანალიზებს და ადარებს საგარეო ფაქტორების გავლენას ქვეყნის შიდა კონფლიქტებზე;

ბ) IX კლასის გეოგრაფიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: 25. მოსახლეობის დინამიკა; 30. მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური შემადგენლობა.

გეო.IX.9. ანალიზებს საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის და ურბანიზაციის პროცესებს და აკეთებს პროგნოზებს

მედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე;

მსჯელობს ურბანიზაციის ხელშემწყობ და ხელშემშლელ

ფაქტორებზე და მათთან დაკავშირებულ სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებზე;

გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საქართველოს შიდა და გარემიგრაციული პროცესების შედეგად გამოწვეულ სოციალურ ცვლილებებზე და მსჯელობს სიტუაციის გაუმჯობესების შესაძლო გზებზე.

გ) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: **როგორ ვსწავლობთ ისტორიას:**

ა) პირველადი და მეორადი წყაროები;

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ.X.5. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება.

ისტ.X.6. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები.

დ) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: **24. პერესტროიკა, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლა. დამოუკიდებელი საქართველო;**

ისტ. XII 1. მოსწავლე აანალიზებს XIX და XX საუკუნეებში მსოფლიოსა და საქართველოში მომხდარ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლილებებს

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

მსჯელობს მიგრაციული პროცესების მიზეზებსა და შედეგებზე.

ისტ. XII 5. იკვლევს პოლიტიკური ისტორიის საკითხებს, განსაზღვრავს საქართველოს ადგილს მსოფლიო ისტორიულ პროცესში

ასევე,

ე) VIII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით

გათვალისწინებულ თემას: **რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში - რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოში;**

ისტ. VIII 2. ახასიათებს კონფლიქტის შედეგად გამოწვეულ მიგრაციულ პროცესებს

ისტ. VIII 13. მოსწავლე ახასიათებს საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაარსებობისთვის აუცილებელ პირობებს

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

ჩამოთვლის იმ ღირებულებებს, რომელთა პატივისცემა აუცი-

ლებელია ადამიანთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის; დასაბუთებისას იყენებს ადამიანების მშვიდობიანი თანაცხოვრების (მაგ: განსხვავებული რასის, ეროვნების ან სარწმუნოების) მისთვის ცნობილ მაგალითებს ისტორიიდან და თანამედროვეობიდან.

მსჯელობს პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებით გამოწვეულ სოციალურ ცვლილებებზე.

ვ) VIII კლასის გეოგრაფიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **5. მიგრაცია.**

გეო.VIII. 7. შეისწავლის მიგრაციის პროცესსა და განსახლების თავისებურებებს. შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

მსჯელობს ადამიანის მიგრაციის შესაძლო მიზეზებზე და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები;

ვარაუდობს მიგრაციის შესაძლო შედეგებზე ინდივიდისა (რომელიც ჩართულია ამ პროცესში) და ქვეყნებისათვის (საიდნაც და საითაც მიმართულია კონკრეტული მიგრაცია)

კონკრეტული შედეგები:

სხვადასხვა ტიპის წყაროდან ინფორმაციის მიღება, დაჯგუფება და განზოგადება;

ისტორიულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა;

ისტორიული მოვლენების შედარება და დასკვნების გაკეთება;

ჯგუფური მუშაობა და თანამშრომლობის უნარი;

პრეზენტაციის უნარი;

II. ანოტაცია:

საკვანძო კითხვა: რატომ გახდა პოლიტიკური ლიდერების საჯარო გამოსვლა ცალკეული ეთნიკური ჯგუფის მიგრაციის მიზეზი?

მოსწავლე, მრავალფეროვანი წყაროების დახმარებით და ჯგუფებში მუშაობის შედეგად, გაანალიზებს: 1990-იან წლებში საქართველოდან ოსების მიგრაციის მიზეზებსა და დინამიკას; ქართული სახელმწიფოს მიერ გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯებს; იმსჯელებს დაძაბულობის ზრდის მიზეზებსა და კონფლიქტის მოგვარების გზებზე.

განმაზოგადოებელი კითხვა: რა გავლენა იქონია 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისის მოვლენებმა საქართველოს მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებზე?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი:

სამხრეთ ოსეთი რესპუბლიკად თვითნებურად გამოცხადდა

1990 წლის სექტემბერში. სამხრეთ ოსეთი მიისწრაფოდა სტატუსის ამაღლებას, რათა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებით (რომლის თაობაზეც რეფერენდუმი უნდა გამართულიყო 1991 წლის 17 თებერვალს) განახლებული საბჭოთა კავშირის სუბიექტი გამხდარიყო. სწორედ ამიტომ გააუქმა საქართველოს ახლადარჩეულმა უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის, როგორც თვითგამოცხადებული რესპუბლიკა, ისე მანამდე არსებული ავტონომიური ოლქი.

მანამდე კი მოვლენები ასე ვითარდებოდა: 1988 წლის დანაწიისში ოსური ინტელიგენციის ერთი ნაწილის (ა.ჩოჩიევი, ა.ცხოვრებოვი, ზ.აბაევა, ა.ჯიგაევი და სხვ.) მიერ ორგანიზებულად ყალიბდება არაფორმალური პოლიტიზირებული მოძრაობა „ადამონ ნიხასი“ (სახალხო კრება) აღან ჩოჩიევის ხელმძღვანელობით, რომელიც აძლიერებს ანტიქართულ აგიტაციას და აყენებს ოლქის რესპუბლიკად გარდაქმნის მოთხოვნას. 1989 წლის ივნისში „ადამონ ნიხასი“ ოფიციალურად დარეგისტრირდა და მკვეთრად გააძლიერა პროვოკაციული აქციები მდგომარეობის დესტაბილიზაციის მიზნით.

1989 წლის 26 მარტს „ადამონ ნიხასის“ ლიდერი აღან ჩოჩიევა ღია წერილში მხარი დაუჭირა აფხაზეთის მოთხოვნას დამოუკიდებლობის შესახებ, ე.წ. „ლიხნის მიმართვას“ (1989 წლის 18 მარტი). 1989 წლის 26 მაისს მოხდა პირველი დაპირისპირება ქართველ „არაფორმალურებს“, რომლებსაც მხარს უჭერდა ზვიად გამსახურდია და ოსებს შორის.

1989 წლის აგვისტოში საქართველოს უმაღლესმა საბჭომ რესპუბლიკაში ქართული ენა ოფიციალურ ენად გამოაცხადა. ამ კანონის გამო, 1989 წლის სექტემბერში აღან ჩოჩიევის „ადამონ ნიხასმა“ და ოსმა მუშებმა პროტესტით მიმართეს სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს, უმაღლეს საბჭოსა და სკკპ-ის ცენტრალურ კომიტეტს, უწოდეს რა მას ანტიდემოკრატიული და ანტიკონსტიტუციური. „ადამონ ნიხასი“ მოითხოვდა, რომ სკკპ-ის ცკ-ს თავის პლენუმზე ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების საკითხი განეხილა. მოგვიანებით, სექტემბერშივე, სამხრეთი ოსეთის უმაღლესმა საბჭომ რეგიონის ოფიციალურ ენად ოსური გამოაცხადა.

1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ გამოაცხადა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა საქართველოს სსრ-ის ფარგლებში. ნოემბერში საქართველოს უმაღლესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის მოთხოვნა უკანონოდ

გამოაცხადა.

1989 წლის 23 ნოემბერს ათასობით ქართველი „არაფორმალ“ ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნის გივი გუმბარიძის მეთაურობით, ავტობუსებითა და მანქანებით გაეშურნენ ცხინვალისაკენ მშვიდობიანი მოლაპარაკებებისათვის. ოსებმა გზის ბლოკირება მოახდინეს და ქართველები ცხინვალში არ შეუშვეს, იყვნენ დაჭრილებიც.

1989 წლის ნოემბერი – 1990 წლის იანვარი ქართულ-ოსური პირველი შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა, რასაც შედეგად ოსებისა და ქართველების მიგრაციული პროცესები მოჰყვა.

IV. ძირითადი ცნებები (განმარტვებით):

ადამონ ნიხასი – სამხრეთ ოსეთის სახალხო კრება. ორგანიზაცია ადამონ ნიხასი ჯერ კიდევ 1979 წელს ჩამოყალიბდა არაფორმალური ჯგუფის სახით. მისი საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა როკის გვირაბის გახსნის შემდეგ, 1986 წლის ზამთრიდან, როცა ჩრდილოეთ ოსეთთან ურთიერთობა გაადვილდა. 1988 წლის დასაწყისში ოსური ინტელიგენციის ერთი ნაწილის (ა.ჩოჩიევი, ა.ცხოვრებოვი, ზ.აბაევა, ა.ჯიგაევი და სხვ.) მიერ უკვე ორგანიზებულად ყალიბდება არაფორმალური პოლიტიზირებული მოძრაობა ადამონ ნიხასი, აღან ჩოჩიევის ხელმძღვანელობით, რომელიც აძლიერებს ანტიქართულ აგიტაციას და აყენებს ოლქის რესპუბლიკად გარდაქმნის მოთხოვნას. 1989 წლის ივნისში ადამონ ნიხასმა ოფიციალურ რეგისტრაციას მიადწია და მკვეთრად გააძლიერა პროვოკაციული აქციები მდგომარეობის დესტაბილიზაციის მიზნით. 1988 წლის მონაცემებით, სწორედ ამ არაფორმალური შოვინისტური გაერთიანების წყალობით, ყოფილი ოლქის პოლიტიკური მმართველობის ბიუროკრატიულ აპარატში 140 წევრიდან 85 ოსი ეროვნების იყო, 34 ქართველი, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების 227 წევრიდან 176 ოსი იყო, 43 კი ქართველი.

ცხინვალის რეგიონის ოს მეცნიერ-მუშაკთა და მწერალთა უმრავლესობა ანტიქართული ორგანიზაცია „ადამონ ნიხასის“ წევრები იყვნენ.

აღან ჩოჩიევი – ანტიქართული, არაფორმალური პოლიტიზირებული მოძრაობის – ადამონ ნიხასი – ხელმძღვანელი; აყენებდა ავტონომიური ოლქის რესპუბლიკად გარდაქმნის მოთხოვნას.

დე ფაქტო (ლათ. დე ფაცტო, სინამდვილეში) - ფაქტობრივად; საერთაშორისო სამართალში დე ფაქტო ცნობა ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ახალი სახელმწიფოს ან მთავრობის არასრულ ცნობას.

დე ფაქტო – დე იურე – განსხვავება რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის არსებობაში ან პოლიტიკური ნორმის ფაქტობრივი და სამართლებრივი სახით რეალიზაციაში. პოლიტიკური პროცესების დინამიკური ხასიათი ხშირად წარმოშობს შეუთავსებლობას პოლიტიკური სუბიექტის რეალურ არსებობასა და მის ლეგიტიმაციას შორის.

მიგრაცია – ცალკეული პირების, ან ჯგუფების მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა გადასახლების მიზეზებისა და მიზნების მიუხედავად. მიგრაციის მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ეკოლოგიური კატასტროფები თუ პოლიტიკური მოტივები, ისე უკეთესი ეკონომიკური პერსპექტივები, ან პოლიტიკური დაცულობა გადასახლების ადგილას. განხორციელების ფორმის მიხედვით გამოყოფენ ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციას, ხოლო დროითი განზომილების მიხედვით - მუდმივსა და დროებითს.

ადამიანების გადასვლა ერთი რეგიონიდან მეორეში (შიდა მ.), ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში (გარე მ.) ან კიდევ მოსახლეობის პერიოდული გადინება–შემოდინება ერთი რეგიონიდან მეორეში (ქანქარისებური მ.).

ნაციონალიზმი – აქ, იდეოლოგია და პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული შუღლის გაღვივება და ერთი ეროვნების წაკიდება სხვა ეროვნებასთან.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი – ავტონომიური ოლქი საქართველოს სსრ–ის შემადგენლობაში 1922 წლის 20 აპრილიდან, 1990 წლის 11 დეკემბრის ჩათვლით.

სეპარატიზმი – 1. სწრაფვა გამოყოფისაკენ, განცალკევებისაკენ. 2. ეროვნულ უმცირესობათა სწრაფვა სახელმწიფოსაგან გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისაკენ.

„სოვეტოს ირისთონი“ – „საბჭოთა ოსეთი“, ოსური გაზეთი.

შოვინიზმი – უკიდურესი ნაციონალიზმი.

ჰელსინკის დეკლარაცია, ანუ დასკვნითი აქტი – ხელი მოაწერა 35 სახელმწიფოს მეთაურმა 1975 წლის 1 აგვისტოს. განსაზღვრა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების, ევროპაში უსაფრთხოების პრინციპები, მათ შორის, ადამიანის უფლებები.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი: ახასიათებს მიგრაციის პროცესის მიზეზებსა და თავისებურებებს; ანალიზებს და ადარებს საგარეო ფაქტორების გავლენას ქართულ-ოსურ კონფლიქტზე; გამოყოფს ქართული სახელმწიფოს ინტერესებს ქართულ-ოსურ კონფლიქტ-

ში და მსჯელობს პოლიტიკოსთა მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ; ჯგუფური დისკუსიისას მსჯელობს ოსური სეპარატიზმის შესახებ და თანაკლასელებთან ერთად ქმნის ამ პრობლემის გადაჭრის საკუთარ მოდელს.

წინაპირობები:

გაკვეთილისათვის საჭირო მასალა: დიდი საწერი ფურცლები (დაფაზე/კედელზე გასაკრავი); მარკერები.

აქტივობები:

დაწერეთ დაფაზე ან დიდი ფორმატის ფურცელზე გაკვეთილის საკვანძო შეკითხვა და გააცანით ის მოელ კლასს: რატომ გახდა პოლიტიკური ლიდერების საჯარო გამოსვლა ეთნიკური ჯგუფის მიგრაციის მიზეზი?

მოსწავლეებთან ერთად დაახუსტეთ ცნებების - „სეპარატიზმი“ და „მიგრაცია“ მნიშვნელობა.

დავალება 1. დაყავით კლასი ოთხ ჯგუფად;

ოთხივე ჯგუფი მუშაობს წყაროებზე 1-9 და წერილობით პასუხობს დავალების შეკითხვებს; მოსწავლეებმა, უმჯობესია, წყაროები დაინაწილონ და ისე შეავსონ ცხრილი;

წყარო 2. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს რუსეთისაკენ ეწევიან;

ჯგუფების პრეზენტაციები. თითოეული ჯგუფი ასახელებს იმ მოსახრებას, რომელიც არ იყო ნახსენები სხვა ჯგუფების მიერ.

სამუშაო ფურცელი 22. სამი ქალის დღიური: ბალტი-სპირელების ბედი საქართველოში

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემებს: 49. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა; 50. დამოუკიდებელი საქართველო: დამოუკიდებლობის გამოცხადება, 1991-92 წლის სახელმწიფო გადატრიალება, ბრძოლა სეპარატიზმის წინააღმდეგ

ისტ. IX 4. მოსწავლე იკვლევს სოციალურ ურთიერთობების ისტორიას საქართველოში

შედგეი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

მსჯელობს საქართველოში ურბანიზაციითა და მიგრაციის სხვა ტიპებით გამოსწვეულ სოციალურ და სხვ. ცვლილებებზე.

ბ) IX კლასის გეოგრაფიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: 30. მოსახლეობის ეროვნუ-

ლი და რელიგიური შემადგენლობა.

გეო. IX. 9. აანალიზებს საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის და ურბანიზაციის პროცესებს და აკეთებს პროგნოზებს

გ) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: როგორ ვსწავლობთ ისტორიას:

ა) პირველადი და მეორადი წყაროები;

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ. X. 5. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება.

ისტ. X. 6. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები.

ისტ. X 7. წერს ისტორიულ თემას.

დ) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: 13. ტოტალიტარიზმი მსოფლიოში: ა) სტალინი-საბჭოთა კავშირი (საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში); 21. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში – ეროვნული მოძრაობა საქართველოში 20-იან 70-იან წლებში; 24. პერესტროიკა, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლა – დამოუკიდებელი საქართველო.

ისტ. XII 1. მოსწავლე აანალიზებს XIX და XX საუკუნეებში მსოფლიოსა და საქართველოში მომხდარ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლილებებს

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

მსჯელობს მიგრაციული პროცესების მიზეზებსა და შედეგებზე.

ე) VIII კლასის გეოგრაფიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: 5. მიგრაცია.

გეო. VIII. 7. შეისწავლის მიგრაციის პროცესსა და განსახლების თავისებურებებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

მსჯელობს ადამიანის მიგრაციის შესაძლო მიზეზებზე და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები; ვარაუდობს მიგრაციის შესაძლო შედეგებზე ინდივიდისა (რომელიც ჩართულია ამ პროცესში) და ქვეყნებისათვის (საიდანაც და საითაც მიმართულია კონკრეტული მიგრაცია

კონკრეტული შედეგები:

მსჯელობს საქართველოში არსებული მიგრაციული პროცესების გამომწვევ მიზეზებზე, ნაკადებზე და უკავშირებს მათ

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს;
გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებს მიგრაციული პროცესების შედეგად საქართველოში გამოწვეულ კულტურულ ცვლილებებზე;

ანაალიზებს ბალტიის ქვეყნების კულტურულ მარკერებს საქართველოში და

ვარაუდობს, როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას კულტურული მრავალფეროვნება საქართველოს განვითარებისათვის.

II. ანოტაცია:

საკვანძო კითხვა: რა პირობები იყო ბალტიისპირელების ინტეგრაციისათვის XX საუკუნის ქართულ საზოგადოებაში?

მოსწავლეები გაიგებენ: როდის ჩავიდნენ, როგორ ინტეგრირდნენ და როგორ ცხოვრობენ საქართველოში ესტონელები, ლიტველები და ლატვიელები 1990-იან წლებში; რამდენად აქტიურად არის ჩართული ბალტიისპირელთა დიასპორა საქართველოს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ კითხვებზე პასუხის გაცემას მოსწავლე მოახერხებს სამი - ესტონელი, ლიტველი და ლატვიელი - ქალის დღიურების ფურცლებიდან.

განმაზოგადებელი კითხვა: რა არის საერთო საქართველოში მცხოვრები ბალტიისპირელი ქალების ბედში?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი:

დღეისათვის საქართველოში მცხოვრები ბალტიის ქვეყნების წარმომადგენლები, უმეტესად, შერეული ქართულ-ლატვიური, ქართულ-ლიტვიური, ქართულ-ესტონური ოჯახების წარმომადგენლები არიან. ისინი საქართველოში პირველი მსოფლიო ომის დროს გამოჩნდნენ, როდესაც მეფის რუსეთის მთავრობის დამხობის შემდეგ ჯარის სხვადასხვა ნაწილებიდან გაქცეულმა ჯარისკაცებმა (განსაკუთრებით, თურქეთის ფრონტზე მობილიზებულებმა) საქართველოს მიაშურეს. ბალტიისპირელთა ახალი ნაკადი საქართველოში მეორე მსოფლიო ომის დროს ჩასახლდა, უმეტესად, ქალები. ბალტიისპირელებს ათეული წლების განმავლობაში თავისი წვლილი შეჰქონდათ ქართული კულტურის განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ მათი დიასპორა მცირერიცხოვანია, ბალტიისპირელთა სათვისტომოები დიდ როლს ასრულებენ, ერთის მხრივ, საკუთარი იდენტურობისა და ისტორიულ სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებაში და, მეორე მხრივ, ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის საქმეში.

IV. ძირითადი ცნებები (განმარტებებით):

დიასპორა – ბერძნ. „გაბნევა“. თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში ცნება „დიასპორა“ აღნიშნავს ეთნიკური უმცირესობის ჯგუფს, რომელიც გადასახლდა, ცხოვრობს და მოღვაწეობს მიმღებ ქვეყანაში, ამასთან აქვს ძლიერი სენტიმენტალური და მატერიალური კავშირები წარმოშობის ქვეყანასთან.

დეპორტაცია – პირის იძულებითი გასახლება, გაძევება სხვა სახელმწიფოში. იგი ძირითადად გამოიყენება უცხოელ და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ, რომლებმაც უკანონოდ გადალახეს სახელმწიფო საზღვარი.

მიგრაცია – ცალკეული პირების, ან ჯგუფების მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა გადასახლების მიზეზებისა და მიზნების მიუხედავად. მიგრაციის მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ეკოლოგიური კატასტროფები თუ პოლიტიკური მოტივები, ისე უკეთესი ეკონომიკური პერსპექტივები, ან პოლიტიკური დაცულობა გადასახლების ადგილას. განხორციელების ფორმის მიხედვით გამოყოფენ ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციას, ხოლო დროითი განზომილების მიხედვით – მუდმივსა და დროებითს.

ადამიანების გადასვლა ერთი რეგიონიდან მეორეში (შიდა მიგრაცია), ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში (გარე მიგრაცია) ან კიდევ მოსახლეობის პერიოდული გადინება-შემოდინება ერთი რეგიონიდან მეორეში (ქანქარისებური მიგრაცია).

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი:

სხვადასხვა ტიპის წყაროებიდან ინფორმაციის მიღება, დაჯგუფება და განზოგადება;

ისტორიულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა;

ისტორიული მოვლენების შედარება და დასკვნების გაკეთება;

ჯგუფური მუშაობა და თანამშრომლობის უნარი;

პრეზენტაციის უნარი;

ისტორიული თემის დაწერის უნარი;

წინაპირობა:

გაკვეთილისათვის საჭირო მასალა: ფურცელი ჩანაწერებისათვის №1,2,3; სამი ცალი კონვერტი წყაროების ჩასადებად; დიდი საწერი ფურცლები (დაფაზე/კედელზე გასაკრავი); მარკერები.

აქტივობები:

დაწერეთ დაფაზე ან დიდი ფორმატის ფურცელზე გაკვეთილ-

ის საკვანძო შეკითხვა და გააცანით ის მოელ კლასს: რა პირობები იყო ბალტიისპირელების ინტეგრაციისათვის XX საუკუნის ქართულ საზოგადოებაში?

მოსწავლეებთან ერთად დაახუსტეთ ცნების - „დიასპორა“ მნიშვნელობა;

აუხსენით მოსწავლეებს გააკეთოთ ფორმატი: სამი ბალტიისპირელი ქალი: ესტონელი, ლიტველი და ლატვიელი, პირობითად, თავისი დღიურების ფურცლებზე მოგვითხრობენ საკუთარი და თანამემამულეების ცხოვრების შესახებ საქართველოში; მოსწავლეები უნდა გაეცნენ წყაროებს და გააკეთონ მათი „მოგონებების“ პრეზენტაცია;

დაყავით კლასი სამ ჯგუფად (მოსწავლეთა სურვილიდან გამომდინარე):

ლიტველი ქალის მოგონებები;

ლატვიელი ქალის მოგონებები;

ესტონელი ქალის მოგონებები.

დაურიგეთ ჯგუფებს წყაროები და ჩანაწერების ფურცელი №1 ჯგუფებში სამუშაოდ; წყაროებზე მუშაობისას: მოსწავლეებმა, უმჯობესია, წყაროები დაინაწილონ და დაალაგონ ქრონოლოგიის მიხედვით; თითოეულმა ჯგუფმა გამოყოს ერთი მოსწავლე, რომელიც ჩაიწერს ჯგუფის წევრების მოსახრებებს და შეავსებს ფურცელს ჩანაწერებისათვის;

თითოეული ჯგუფი უნდა გაეცნოს თავისი ჯგუფისათვის განკუთვნილ წყაროებს (შეიძლება წყაროები დაიჭრას და ცალცალკე კონვერტში მოთავსდეს) და შეავსოს, ჩანაწერების ფურცელი №1.

ჯგუფების პრეზენტაციის დროს: მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ პირველ პირში ანუ კარგად გაითავისონ როლი.

შეჯამება: დაუსვით კლასს განმაზოგადებელი კითხვა რა არის საერთო საქართველოში მცხოვრები ბალტიისპირელი ქალების ბედში?

VI. ბიბლიოგრაფია:

ჟურნალი საქართველოს ქალები: პოლიეთნიკური და კონფესიონალური ასპექტი. თბ. 2006.

ჟურნ. Лучше знать друг друга. Тб. 2009.

Информационный календарь. 2003-2004.

Jurn. Veidas, 2009/ 19.

Jurn. Zodis, 2009/ 2.

სამუშაო ფურცელი 23. “სხვა საქართველო სად არის”: 1990-იანი წლების ემიგრაცია

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: 48. საქართველო სსრკ-ში XX საუკუნის მეორე ნახევარში; 49. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა; 50. საქართველო და საბჭოთა კავშირის დაშლა; 51. დამოუკიდებელი საქართველო: დამოუკიდებლობის გამოცხადება, 1991-92 წლის სახელმწიფო გადატრიალება, ბრძოლა სეპარატიზმის წინააღმდეგ.

ისტ. IX 4. მოსწავლე იკვლევს სოციალურ ურთიერთობების ისტორიას საქართველოში

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

მსჯელობს საქართველოში ურბანიზაციითა და მიგრაციის სხვა ტიპებით გამოწვეულ სოციალური ცვლილებებზე.

ისტ. IX.5. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს საგარეო და საშინაო ფაქტორების გავლენა ქართული სახელმწიფოს წარმოშობასა და განვითარებაზე.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

მსჯელობს კონკრეტულ საგარეო ფაქტორზე, რომელმაც იმოქმედა ქართული სახელმწიფოს შემდგომ განვითარებაზე;

აანალიზებს და აღარებს საგარეო ფაქტორების გავლენას ქვეყნის შიდა კონფლიქტებზე;

ბ) IX კლასის გეოგრაფიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას 30. მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური შემადგენლობა;

გეო. IX.9. აანალიზებს საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის და ურბანიზაციის პროცესებს და აკეთებს პროგნოზებს

გ) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: როგორ ვსწავლობთ ისტორიას:

ა) პირველადი და მეორადი წყაროები;

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ. X.5. მოსწავლეს შეუძლია ისტორიული წყაროების კლასიფიცირება.

ისტ. X.6. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები.

დ) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: **24. პერესტროიკა, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლა. დამოუკიდებელი საქართველო;**

ისტ. XII 1. მოსწავლე ანალიზებს XIX და XX საუკუნეებში მსოფლიოსა და საქართველოში მომხდარ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლილებებს

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

მსჯელობს მიგრაციული პროცესების მიზეზებსა და შედეგებზე; ირჩევს ორ მიგრაციულ პროცესს და აღარებს მათ მიზეზებსა და შედეგებს.

ე) VIII კლასის გეოგრაფიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით

გათვალისწინებულ თემას: 5. მიგრაცია.

გეო.VIII. 7. შეისწავლის მიგრაციის პროცესსა და განსახლების თავისებურებებს.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

მსჯელობს ადამიანის მიგრაციის შესაძლო მიზეზებზე და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები;

ვარაუდობს მიგრაციის შესაძლო შედეგებზე ინდივიდისა (რომელიც ჩართულია ამ პროცესში) და ქვეყნებისათვის (საიდანაც და საითაც მიმართულია კონკრეტული მიგრაცია).

კონკრეტული შედეგები:

მსჯელობს საქართველოში XX ს. ბოლოს არსებული მიგრაციული პროცესების გამომწვევ მიზეზებზე, ნაკადებზე, სიხშირეზე და უკავშირებს მათ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს;

აღარებს საქართველოსა და სხვა ქვეყნებში ცხოვრების პირობებს XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე და გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს.

II. ანოტაცია:

საკვანძო კითხვა: რატომ ტოვებდნენ საქართველოს მოქალაქეები სამშობლოს 1990-იანი წლების დასაწყისში?

მოსწავლე, სხვადასხვა სახის წყაროებზე დაყრდნობით, განალიზებს საქართველოში XX საუკუნის ბოლოს არსებული მიგრაციული პროცესების გამომწვევ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ მიზეზებს. ჯგუფური მუშაობის შედეგად, დაასახელებს მათგან, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან ხუთ მიზეზს, რის გამოც შეიძლებოდა იმ დროს საქართველოს დატოვება. ასე-

ვე, ივარაუდებს ხუთ მიზეზს, რის გამოც სამშობლოში დარჩენა ჯობდა.

განმაზოგადებელი კითხვა: შეძლეს თუ არა 1990-იანი წლების ემიგრანტებმა სხვა საქართველოს ნახვა?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი:

1990-ანი წლების დასაწყისი მძიმე პერიოდია საქართველოს ისტორიაში: სსრკ-ის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი სირთულეები, სამოქალაქო ომი, კონფლიქტები და ომი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ასეთი რთული ვითარების ფონზე გაიზარდა საქართველოდან ემიგრირებულთა რიცხვი, რომელთა შორის ქართველებთან ერთად, მრავლად იყვნენ ეროვნული უმცირესობები წარმომადგენლები.

IV. ძირითადი ცნებები:

აპართეიდი - რასობრივი დისკრიმინაციის ყველაზე სასტიკი ფორმა, რომელიც რასობრივი ნიშნით გამორჩეული გარკვეული ჯგუფებისათვის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების აღკვეთაში გამოიხატება.

ემიგრაცია - (ლათ. migratio გადასახლება) – 1. იძულებითი ან ნებაყოფლობითი გადასახლება თავისი სამშობლოდან სხვა ქვეყანაში (ამ მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე, ემიგრირება)

2. უცხო ქვეყანაში ცხოვრება ასეთი გადასახლების შედეგად.

ემიგრანტი - (ლათ. emigrans/emigrans, ვინც გადასახლება)- პირი რომელიც სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გადასახლდა, რომელიც ემიგრაციაში იმყოფება.

ცხოვრების ხარისხი - სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, რომელიც ადამიანთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხს გამოხატავს.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისთვის:

გაკვეთილის მიზანი: ისტორიული წყაროდან მიღებული ინფორმაციის დაჯგუფება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, სოციალური ურთიერთობები) მიხედვით; ისტორიულ წყაროებზე მუშაობისას მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა; ისტორიული მოვლენების შედარება და დასკვნების გაკეთება; ჯგუფური მუშაობა და თანამშრომლობის უნარი.

წინაპირობა:

გაკვეთილისათვის საჭირო მასალა: ჩანაწერების ფურცელი

№1 და №2 (ერთი ცალი); ოთხი ფერის „სტიკერები“, მარკერები.
აქტივობები:

მოსწავლეებთან ერთად დააზუსტეთ ცნებების - „ემიგრაცია“, „ემიგრანტი“ მნიშვნელობა. შეეკითხეთ მთელ კლასს: თქვენს ნაცნობებს შორის თუ არიან საქართველოდან ემიგრირებულები? რომელ ქვეყანაში არიან ისინი წასულები? ვინ არიან?

2. წყაროებზე მუშაობა მთელ კლასთან

აუხსენით მოსწავლეებს გაკვეთილის ფორმატი: ორი ქართველი დის – ანისა და მარიამის ისტორია. ანიმ დატოვა საქართველო და საცხოვრებლად გაემგზავრა საზღვარგარეთ, მარიამი კი დარჩა. იგი დასწერს წერილებს და მოუთხოვს, თუ რა ხდება საქართველოში 1990-იანი წლების დასაწყისში (წყაროები საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. ეს წყაროებია: სტატიები გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, ოფიციალური დოკუმენტები და ა.შ.).

3. დაყავით კლასი სამ-ოთხ ჯგუფად (თითოეულ ჯგუფში 3-4 მოსწავლე).

4. შეჯამება: დაუსვით კლასს განმაზოგადებელი კითხვა: შეძლეს თუ არა 1990-იანი წლების ემიგრანტებმა სხვა საქართველოს ნახვა?

VI. პასუხები დავალებებზე:

დავალება 1.

ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში წარმოქმნილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა, სამოქალაქო ომმა, კონფლიქტებმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აიძულა საქართველოში მცხოვრები რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები და ოსები დაეტოვებინათ საქართველო.

დავალება 2.

ყურადღება უნდა გამახვილდეს: კუპონი ერთ წელში გაუფასურდა, იყო ელექტროენერჯის მიწოდების პრობლემა, საქართველო ცხოვრების ხარისხით 87-ე ადგილზეა.

დავალება 3.

ყურადღება უნდა გამახვილდეს: კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

დავალება 4.

ჯგუფები მუშაობენ ჩანაწერების ფურცელზე №1 (ჩანაწერების ფურცლები №1 და 2, მიზანშეწონილია, იყოს A4-ის ფორმატის): მათ წყაროებსა (1-11) და საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით, სხვა-

დასხვა ფერის სტიკერებზე უნდა დაწერონ მოკლე ფრაზებით, თუ რა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მოვლენები ხდებოდა საქართველოში; როგორია ყოველდღიური ცხოვრება (პოლიტიკური - ერთი ფერის, ეკონომიკური - სხვა ფერის და ა.შ.) და მიაკრან შესაბამის გრაფაში ჩანაწერების ფურცელზე №1;

ჯგუფები მუშაობენ ჩანაწერების ფურცელზე №2:

მათ სტიკერები ჩანაწერების ფურცელიდან №1 უნდა მოხსნან და მიაკრან ჩანაწერების ფურცელზე №2, რათა დაასახელონ საქართველოში დარჩენის და მისი დატოვების ხუთი მიზეზი. ჯგუფები იყენებენ დამატებით სტიკერებს დამატებითი მიზეზების დასახელებისათვის.

VII. ბიბლიოგრაფია:

Болдуин Э. Статистические данные об иммигрантах в Греции. Исследование проведены для IМEPO, Министерство внутренних дел. Заключительный доклад, 15 ноябрь 2004 г. Афины. М., 2004

Болдуин Э. Иммиграция и уровень безработицы в Греции: представления и реальность, Юужной Европы. Общество и политика. М., 1999

Кинг Р.«Ельдорадо» иль крепость? Миграция в Юужной Европе. Лондон, 2000

4. Пол и международная миграция: Фокус на Грецию. Греческая изменение социальных исследований. Афины, 2003

10. სასარგებლო ბმულები:

Geographical Mobility: Populations Characteristics

<http://www.census.gov/prod/2004pubs/p20-549.pdf>

Lesson Plans - Migration: Why People Move - National Geographic

<http://www.nationalgeographic.com/xpeditions/lessons/09/g68/tgmigration.html>

Migration Policy Institute: Migration Information Source

<http://www.migrationinformation.org/datahub/comparative.cfm>

რელობია

სამუშაო ფურცელი 24. კანონი და რეალობა

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემებს: 13. ტოტალიტარიზმი მსოფლიოში ა) სტალინი-საბჭოთა კავშირი (საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში); 14. საზოგადოება და კულტურა XX საუკუნის I ნახევარში.

ისტ. XII.6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საზოგადოების ცნობიერებაზე ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდში ჩამოყალიბებული სოციალური სტრუქტურების გავლენის შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

შეარჩევს რომელიმე კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციას მოქალაქეთა ცხოვრებიდან (სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური), შეისწავლის შექმნილ ვითარებას, მხარეთა ინტერესებს.

ისტ. XII.7. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა რელიგიის მნიშვნელობაზე, XIX და XX სს.-ში; მსოფლიოსა და საქართველოზე მისი გავლენის შეფასება.

მსჯელობს, თუ როგორ იცვლებოდა დამოკიდებულება საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში და რა გავლენას ახდენდა ეს ცვლილებები ქვეყნის კულტურულ განვითარებაზე

ბ) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას – 46. საქართველო საბჭოთა იმპერიაში მსოფლიო ომებს შორის პერიოდში.

ისტ. IX.6 მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საქართველოში არსებული რელიგიებისა და მათი აქ გავრცელების ისტორიული მიზეზების შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ადგენს სხვადასხვა ეპოქაში საქართველოში არსებული რელიგიების და კონფესიების სიას და მსჯელობს მათი ურთიერთობის შესახებ როგორც ერთმანეთთან, ასევე სახელმწიფოსთან

გ) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: როგორ ვსწავლობთ ისტორიას: პირველადი და მეორადი წყაროები;

წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

II. ანოტაცია

საკვანძო კითხვა: როგორი იყო საბჭოთა სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა 1920–40-იან წლებში?

სამუშაო ფურცელი ეხება 1920-40-იან წლებში რელიგიის სფეროში საბჭოთა კანონმდებლობის და სახელმწიფოში შექმნილი რეალური ვითარების წინააღმდეგობრივ ხასიათს. მოსწავლე გააცნობიერებს სახელმწიფოს როლს ნეგატიური სტერეოტიპების ჩამოყალიბების საქმეში და რომ მარტო კარგი კანონი არ არის საკმარისი რეალურ ცხოვრებაში მის განსახორციელებლად.

განმაზოგადოებელი კითხვა: რა მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ბოლშევიკები სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განხორციელებაში?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი – პირველი მსოფლიო ომის

დროს მის მონაწილე ქვეყნებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. 1917 წლის თებერვალში რუსეთის იმპერიაში, რომლის შემადგენლობაში საქართველოც შედიოდა, დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ იმპერატორი ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა. სახელმწიფოს სათავეში დროებითი მთავრობა ჩაუდგა, რუსეთში რესპუბლიკა გამოცხადდა, თუმცა ის უდღეური აღმოჩნდა და იმავე წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკურმა ფრთამ ვ. ლენინის ხელმძღვანელობით სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო. საქართველოს პოლიტიკური ელიტა არ დაემორჩილა ბოლშევიკებს და 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

სახელმწიფოს სათავეში მოსვლითანავე ბოლშევიკებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს არა მარტო მემამულეებსა და მეწარმეებს, არამედ სხვადასხვა რელიგიის მღვდელმსახურებს. მათ 1920-იან წლებში დაანგრიეს ეკლესიები, მეჩეთები, სინაგოგები; დაიჭირეს, დახვრიტეს, ან გადაასახლეს უამრავი მღვდელი, მოლა თუ რაბინი. იგივე პროცესები მიმდინარეობდა საქართველოში, რომელიც 1921 წლის თებერვლიდან საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო, ხოლო 1922 წლის ბოლოდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში შევიდა.

IV. ძირითადი ცნებები: ათეიზმი; ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან; რელიგიური პოლიტიკა; შიიტური მეჩეთი

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის

გაკვეთილის მიზანი: საკანონმდებლო აქტების, საბჭოთა ღიადრების გამონათქვამების და ქვეყანაში რეალურად შექმნილი ვითარების შედარების საფუძველზე მოსწავლე აანალიზებს საბჭოთა სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკას 1920-40-იან წლებში.

წინაპირობა: მოსწავლემ უნდა იცოდეს რუსეთში საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების, 1921 წელს საქართველოს რუსეთის მიერ ოკუპაციის და საბჭოთა კავშირის შექმნის ისტორია. ამიტომ, ეს სამუშაო ფურცელი უნდა შეიტანოს ამ თემების შესწავლის შემდეგ. შეგიძლიათ კითხვა-პასუხის რეჟიმში გაახსენოთ და გაუაქტიუროთ ეს ცოდნა. მაგალითად, გაიხსენეთ, რამ გამოიწვია ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთში? თქვენი აზრით, რატომ ვერ შეძლო საქართველომ დამოუკიდებლობის შენარჩუნება?

აქტივობები: 1. მოსწავლეები ინდივიდუალურად ეცნობიან წერილობით წყაროებს – წყარო 1, 2, 3 და ამზადებენ კითხვებზე პასუხს (წერილობით ან ზეპირად). შემდეგ თქვენი შერჩევით რამდენიმე მათგანი ზეპირად პასუხობს.

2. წყვილებში მუშაობენ ვიზუალურ წყაროებზე 4, 5, ამზადებენ კითხვებზე პასუხს და შერჩევით აკეთებენ პრეზენტაციებს.

3. ბოლოს ინდივიდუალურად წერენ ნახევარგვერდიან ესეის: საბჭოთა სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა 1920-40-იან წლებში. თქვენი მოლოდინია, რომ პასუხი გაცევს კითხვას: რამდენად შეესაბამებოდა კანონმდებლობა და საბჭოთა ლიდერების დეკლარირება ქვეყანაში შექმნილ რეალობას? წერითი სამუშაო გაასწორეთ სახლში და შეაფასეთ განმავითარებელი შეფასებით (კომენტარებით).

VI. წყაროების მოკლე მიმოხილვა

წყარო 1-3 ეხება ბოლშევიკური მთავრობის ოფიციალურ (წყ. 1) და მათი ლიდერების დეკლარირებულ (წყ. 2-3) პოზიციას რელიგიის მიმართ.

წყარო 4-5 – აღწერს ქვეყანაში არსებულ რეალურ ვითარებას, სადაც ანგრევდნენ ეკლესიებს, მეჩეთებს და ა.შ.

VII. პასუხები დავალებებზე:

დავალება 1.

1. მოსწავლე იმსჯელებს იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდეს ერთმანეთის საქმეებში

2. წყარო 1-ს.

3. „ყველა ადამიანი თავისუფალია და შეუძლია იწამოს რელიგია ან არ იწამოს არც ერთი, ე. ი. იყოს ათეისტი, უღმერთო, როგორც ჩვეულებრივ არის ყველა სოციალისტი“ (ლენინი); „დროა სამღვდულოების არსებობა დასრულდეს. ჩვენი წარმატება მხოლოდ ეკლესიისგან დამოუკიდებლად არის შესაძლებელი“ (ტროცკი).

4. მოსწავლემ უნდა დაასახელოს მუშები და გლეხები.

5. მომხრეების ზოგიერთი არგუმენტი – სამღვდულოება მემამულეების და ბურჟუაზიის ბუნებრივი მოკავშირე იყო, რადგან თავად

იყო უმსხვილესი მიწათმფლობელი და არ სურდა პრივილეგიების დაკარგვა. ამიტომ საჭირო იყო მათი დასუსტება, განადგურება, მიწების ხალხისთვის დაბრუნება. მოწინააღმდეგეების არგუმენტები – მოსახლეობის უმრავლესობა მორწმუნე იყო და რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადება ფაქტობრივად მათ წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ამით ბოლშევიკები ფაქტიურად მოსახლეობის უმეტეს ნაწილს უპირისპირდებოდნენ და დასაყრდენს კარგავდნენ.

6. რევოლუციის ღიდერები რელიგიას ადამიანის პირად საქმედ მიიხნევდნენ, თუმცა პარტიის წევრი აუცილებლად ათეისტი უნდა ყოფილიყო.

დავალება 2.

1. ბოლშევიკური პარტიის წევრები და კომკავშირლები

2. მოსწავლე ალბათ ასეთ პასუხს გაქცემთ – მოხუცი ადამიანი ჩემად დაგმობდა, ახალგაზრდა მოხელეების უმეტესობა გაამართლებდა, მისი ასაკის ახალგაზრდისთვის კი, თუ მორწმუნე არ იყო მხოლოდ სანახაობა იქნებოდა.

3. „სოციალისტი უნდა იყოს ათეისტი“; „დროა სამღვდელოება დასრულდეს“; „სასწავლებლებში რელიგიური მრწამსის სწავლება იკრძალება“. საპირისპირო ღოზუნგები – „ძირს ათეიზმი“; „ბრძოლა გამოეუცხადოთ უღმერთოებს“.

დავალება 3.

მოსწავლე აღწერს წყაროს და იმსჯელებს, იმაზე, რომ საქართველოშიც იგივე პოლიტიკა მიმდინარეობდა, რაც მთელ საბჭოთა კავშირში.

საკვანძო კითხვის სავარაუდო პასუხი: კანონი საბჭოთა სახელმწიფოში ფორმალურად დემოკრატიული იყო, თუმცა, რეალურად მიმდინარეობდა შეურიგებელი ბრძოლა ზოგადად რელიგიის და მორწმუნეების წინააღმდეგ, რაც საკულტო ნაგებობებისა და მღვდელმთავრების ფიზიკურ განადგურებაში გამოიხატა.

განმაზოგადებელი კითხვის სავარაუდო პასუხი: ქართველი ბოლშევიკები აქტიურად დევნიდნენ ყველა აღმსარებლობას, რაც წყარო 5-დან კარგად ჩანს.

VIII. ბიბლიოგრაფია:

გ. აბდლაძე, ნ. კვიციანიშვილი, ბ. კუპატაძე, ქ. ჯანუაშვილი. უახლესი ისტორია, XII, გამ., „საქართველოს მაცნე“, 2008;

ნ. ახმეტელი, ნ. მურდულია. საქართველოს და მსოფლიოს ისტორია, 12, გამ. „დიოგენე“, 2008;

ჟან ლუი ვან რეჟემორტერი, მიშელ ლორანი. ეკლესიის მდგომარეობა საბჭოთა სინამდვილეში (1917-1945), ქრისტიანული კვლევები, III, 2009

ვ. თორაძე, ნ. თორაძე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მე-19 და მე-20 საუკუნეებში, 1996;

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

ა) XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: 14. საზოგადოება და კულტურა XX საუკუნის I ნახევარში.

ისტ. XII.7. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა რელიგიის მნიშვნელობაზე, XIX და XX სს.-ში; მსოფლიოსა და საქართველოზე მისი გავლენის შეფასება.

შედგეი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

მსჯელობს, თუ როგორ იცვლებოდა დამოკიდებულება საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში და რა გავლენას ახდებდა ეს ცვლილებები ქვეყნის კულტურულ განვითარებაზე.

ბ) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: 46. საქართველო საბჭოთა იმპერიაში მსოფლიო ომებს შორის პერიოდში სწავლების დროს)

ისტ. IX.6 მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საქართველოში არსებული რელიგიებისა და მათი აქ გავრცელების ისტორიული მიზეზების შესახებ.

შედგეი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ადგენს სხვადასხვა ეპოქაში საქართველოში არსებული რელიგიების და კონფესიების სიას და მსჯელობს მათი ურთიერთობის შესახებ როგორც ერთმანეთთან, ასევე სახელმწიფოსთან

გ) X კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: **როგორ ესწავლებოთ ისტორიას:**

ა) პირველადი და მეორადი წყაროები;

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია

ისტ. X.6. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს პირველადი და მეორადი წყაროები.

შედგეი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ისტორიული წყაროს ავტორის შესახებ და კრიტიკულად აფასებს, თუ რამდენად სანდოა იგი განსაზღვრავს ისტორიული წყაროს შექმნის მიზანს - ავტორის მოტივაციას; ფლობს ინფორმაციას ისტორიული დოკუმენტის შექმნის თარიღისა და ადგილის შესახებ; წყაროს შეფასებისას მხედველობაში იღებს, თუ რამდენად არის დაშორებული იგი დროისა და ადგილის თვალსაზრისით მასში გადმოცემული ისტორიული მოვლენებისგან;

პირველად წყაროებზე მუშაობისას მხედველობაში იღებს ისტორიული მოვლენის მონაწილეების განსხვავებულ ფასეულობებს, ინტერესებს, შეხედულებებს, მოტივებსა და სხვა ადამიანურ ფაქტორებს;

აღიქვამს ისტორიულ ეპოქას: ა) აყალიბებს მისთვის საინტერესო ეპოქაში არსებულ ფასეულობებს, შეხედულებებსა და შესაძლებლობებს; აღწერს, თუ როგორ აღიქვამდნენ იმ პერიოდის ადამიანები თავიანთ ეპოქას; ბ) ცდილობს თავიდან აიცილოს წარსული ეპოქის მხოლოდ დღევანდელი გადასახედიდან შეფასება.

II. ანოტაცია

საკვანძო კითხვა: რატომ ებრძოდა საბჭოთა სახელმწიფო ყველა აღმსარებლობის ადამიანს 1920–30–იან წლებში?

სამუშაო ფურცელი გადმოგვცემს 1920-30-იან წლებში საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანის დამოკიდებულებას ყველა რელიგიის მიმართ. მოსწავლე დაინახავს, რომ ეს ნეგატიური დამოკიდებულება შეეხო ყველა აღმსარებლობას. ის თავად შექმნის თვალსაჩინოებას და გაიაზრებს, რომ ყველა მრწამსის ადამიანის მიმართ უნდა იყოს ტოლერანტული.

განმაზოგადოებელი კითხვა: როგორ ახსნი სამუშაო ფურცლის სათაურს „უღმერთო სახელმწიფო“?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

რუსეთში ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ დაახლოებით 2 მილიონმა ადამიანმა ქვეყანა დატოვა და ემიგრაციაში წავიდა. ესენი იყვნენ სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები: მემამულეები, მრეწველები, ბანკირები, ჟურნალისტები, მსახიობები, ლიტერატორები, მეცნიერები, სამღვდელოების წარმომადგენლები, სამხედროები და სხვა. თუმცა, ბოლშევიკები დარჩენილ მოსახლეობაში საკმაო რაოდენობის „რევოლუციის მტრებს“ ხედავდნენ. 1920-30-იან წლებში საბჭოთა მთავრობამ იდეოლოგიური და ფიზიკური ბრძოლა დაიწყო ასეთი ადამიანების, მათ შორის, სხვადასხვა კონფესიის კულტმსახურების წინააღმდეგ. ვ. ლენინი 1919 წელს წერდა: „აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად მოეღოს ბოლო ეკლესიას და რელიგიას... ეკლესიები დახურეთ, შენობები დალუქეთ და გადააკეთეთ საწყობებად.“ გარდა ამისა, ამუშავდა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა, რომლის მიზანი იყო ახალი საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბება. ამ მხრივ, ანტირელიგიური პროპაგანდა ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა.

IV. ძირითადი ცნებები: „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“; რელიგია აბრუებს; რელიგია საწამლავია; ძირს რელიგიური დღესასწაულები.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე აანალიზებს 1920-30-იანი წლების საბჭოთა პლაკატებს და მსჯელობს სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე მოსახლეობის რელიგიური უფლებების მიმართ

წინაპირობა: ეს მასალა უნდა შეიტანოთ, სამუშაო ფურცლის – „კანონი და რეალობა“ შემდეგ. გაკვეთილის დასაწყისში შეგიძლიათ ან მინი-ლექციით ან კითხვა-პასუხით გაახსენოთ X კლასის მასალა – პლაკატი, როგორც ისტორიული წყარო. შეგიძლიათ წინასწარ დასვათ კითხვა: რა ინფორმაციას გაწვდით პლაკატი, როგორც ისტორიული წყარო?

აქტივობები: 1. მოსწავლეები ინდივიდუალურად ეცნობიან წერილობით წყაროებს – წყარო 1-ს – ანტირელიგიურ პლაკატებს, კითხვა-პასუხის რეჟიმში პასუხობენ იქ დასმულ კითხვებს. აქვე შეგიძლიათ დაუსვათ შემდეგი კითხვა(ც): თქვენი აზრით, რამდენად ფასეულია ეს ინფორმაცია?

2. შემდეგ კვლავ ინდივიდუალურად მუშაობენ წყაროზე 2, ამზადებენ პირველ ოთხ კითხვაზე პასუხს და შერჩევით აკეთებენ პრეზენტაციებს. პრეზენტაციების დროს ასევე პასუხობენ განმაზოგადებელ კითხვასაც: როგორ ახსნი სამუშაო ფურცლის სათაურს „უღმერთო სახელმწიფო“?

3. შემდეგ კლასს დაყოფთ რამდენიმე ჯგუფად, რომლებიც ასრულებენ წყარო 2-ის მე-5 დავალებებს.

4. გაკვეთილის ბოლოს ნაწილი დაუთმეთ ჯგუფების მიერ შექმნილი პლაკატების და მათ მიერ შემუშავებული დებულებების განხილვას, აქსევე საკვანძო კითხვაზე პასუხს (რატომ ებრძოდა საბჭოთა სახელმწიფო ყველა აღმსარებლობის ადამიანს 1920-30-იან წლებში?) და სამუშაოს შეჯამებას.

VI. წყაროების მოკლე მიმოხილვა

წყარო 1. აქ მოტანილია 1920-30-იანი წლების ანტირელიგიური პლაკატები

წყარო 2. წერილობითი წყარო გვიხატავს საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის რეალურ სურათს.

VII. პასუხი დავალებებზე

დავალება 1.

1. ა პლაკატზე ახალ თაობას უპირისპირდება ძველი თაობა. ბებია ბავშვს ეკლესიისკენ ძალით მიათრევს, იმ დროს, როცა ამ უკანასკნელს გული საჯარო სკოლისკენ მიუწევს. ბ პლაკატზე მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფოს ანტირელიგიური კამპა-

ნია მიმართულია ყველა აღმსარებლობის წინააღმდეგ – პლაკატზე გამოსახულია ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა, მღვდელი, მოლა, რაბინი. გ პლაკატზე რელიგიური დღესასწაულები გაიგივებულია ლოთობასთან, ღრეობასთან.

2. პლაკატები ძირითადად მიმართულია ახალგაზრდობაზე და მოსახლეობის გაუნათლებელ ნაწილზე ზეგავლენის მოსახდენად.

3. ა პლაკატის შემთხვევაში ბავშვები უნდა დაეცვათ რელიგიის მავნე ზეგავლენისგან; ბ-ს შემთხვევაში – რელიგია ხელს უშლის ადამიანს საღად აზროვნებაში; გ პლაკატი მიმართულია რელიგიური დღესასწაულების წინააღმდეგ, სადაც ბევრი ადამიანი იკრიბებოდა.

ამ პროპაგანდას დადებითად აღიქვამდნენ ბოლშევიკური პარტიის წევრები, კომკავშირლები, ათეისტები და პირიქით უარყოფითად – მორწმუნეები.

დავალება 2.

1. ეს ორგანიზაცია შეიქმნა სხვადასხვა აღმსარებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამ ბრძოლაში რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩასაბმელად.

2. გამოდიოდა ანტირელიგიური თემატიკის, ბროშურები, პლაკატები, ტარდებოდა იმავე თემატიკის კონფერენციები; ამ ბრძოლაში იყენებდნენ კინოს, თეატრს, ლიტერატურას.

3. „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“.

4. ნადგურებდა ფიზიკურად, იყენებდა პროპაგანდის სხვადასხვა ხერხებს. მოკლევადიანი პერსპექტივით ფიზიკური ზემოქმედების ხერხებია ეფექტური, ხოლო გრძელვადიანით – ანტირელიგიური პროპაგანდა.

5. ასავარაუდო პასუხები – სახელმწიფო უნდა ან არ უნდა ერეოდეს რელიგიის საკითხებში; სახელმწიფო ფინანსურად უნდა ან არ უნდა ეხმარებოდეს ეკლესიას; რელიგიური ღიღერები უნდა ან არ უნდა ერეოდნენ სახელმწიფოს საქმეებში.

ბ) მიაქციეთ ყურადღება – დავალების შესრულებისას არის იმის საშიშროება, რომ სამუშაო ფურცლის ვიზუალურმა წყაროებმა უკუეფექტი გამოიწვიოს და მოსწავლეებმა შექმნან ზედმეტად რელიგიური პლაკატები, სადაც დაირღვევა სხვა აღმსარებლობების ან ათეისტების უფლებები.

საკვანძო კითხვის სავარაუდო პასუხი: სახელმწიფო იმიტომ ებრძოდა ყველა რელიგიას, რომ ისინი ხელს უშლიდნენ „ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბების პროცესში ანუ ისეთი ადამიანის, რომელიც სახელმწიფოს ნებისმიერი, მათ შორის არაკანონიერი ქმედების მიმართ იქნებოდა მორჩილი და შემწეობის მცემი.

განმაზოგადებელი კითხვის სავარაუდო პასუხი: საბჭოთა სახელმწიფოში ერთდროულად მიმდინარეობდა როგორც პროპაგანდისტული (ლიტერატურა, კინო, პლაკატები, ბროშურები...), ასევე ფიზიკური ომი (ტაძრების და კულტმსახურების განადგურება) რელიგიის წინააღმდეგ.

VIII. ბიბლიოგრაფია:

გ. აბდალაძე, ნ. კვიციანიშვილი, ბ. კუპატაძე, ქ. ჯანუაშვილი. უახლესი ისტორია, XII, გამ., „საქართველოს მაცნე“, 2008;

ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია. საქართველოს და მსოფლიოს ისტორია, 12, გამ. „დიოგენე“, 2008;

ჟან ლუი ვან რეჟემორტერი, მიშელ ლორანი. ეკლესიის მდგომარეობა საბჭოთა სინამდვილეში (1917-1945), ქრისტიანული კვლევები, III, 2009

ინტერნეტ გვერდი: uath.org

ინტერნეტ გვერდი: copypast.ru

სამუშაო ფურცელი 26 - ფარული ღოცვა

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: **21. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში – ეროვნული მოძრაობა საქართველოში 20-იან 70-იან წლებში.**

ისტ. XII.7. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა რელიგიის მნიშვნელობაზე, XIX და XX სს.-ში; მსოფლიოსა და საქართველოზე მისი გავლენის შეფასება.

შედგეი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

მსჯელობს, თუ როგორ იცვლებოდა დამოკიდებულება საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში და რა გავლენას ახდებდა ეს ცვლილებები ქვეყნის კულტურულ განვითარებაზე.

II. ანოტაცია

საკვანძო კითხვა: რა შედეგი მოჰყვა რელიგიური პოლიტიკის ცვლილებას საბჭოთა კავშირში 1940–70-იან წლებში?

სამუშაო ფურცელში გადმოცემულია სახელმწიფოს დამოკიდებულება სხვადასხვა ადმსარებლობის ადამიანების მიმართ და რეალური სურათი 1940-70-იან წლებში. მოსწავლე დაინახავს ხალხის ჩუმ პროტესტს სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ.

განმაზოვადებელი კითხვა: რატომ ღოცულობდნენ საბჭოთა საქართველოში ფარულად?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ სხვადასხვა რელიგიების კულტის მსახურებმა მკვეთრად გამოხატული ანტიფაშისტური პოზიცია დაიკავეს. მიუხედავად 1920-30-იანი წლების რეპრესიებისა, საბჭოთა კავშირში მორწმუნეთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. საბჭოთა ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ ამ ფაქტორის გამოყენება ხალხის მტრის წინააღმდეგ დასარაზმად კარგად შეიძლებოდა. ამიტომ უშუალოდ ი. სტალინის ბრძანებით რელიგიის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა შეწყდა (ეს არ შეეხო მხოლოდ ლუთერულ ტაძრებს და მღვდელმსახურებს, რადგან ისინი განიხილებოდნენ გერმანელი ოკუპანტების დასაყრდენ ძალად). მეტიც, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ მსგავსი ორგანიზაციების მოღვაწეობა შეიკვეცა (კონკრეტულად ეს ორგანიზაცია საერთოდ გაუქმდა კიდევ). რელიგიის მიმართ ასეთი შედარებით რბილი დამოკიდებულება გაგრძელდა 60-70-იან წლებშიც. თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ სახელმწიფო არ ერეოდა მის საქმეებში.

IV. ძირითადი ცნებები: კონსტიტუცია, ლიტანია, რამაზანია, ყურბან-ბაირამი, შახსეი-ვახსეი.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისთვის:

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე მსჯელობს საბჭოთა სახელმწიფოში 1940-70-იან წლებში რელიგიური პოლიტიკის ცვლილებების მიზეზებზე და შედეგებზე.

წინაპირობა: ეს სამუშაო ფურცელი კლასში შეგიძლიათ შეიტანოთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეისწავლიან 1940-70-იან წლებში საბჭოთა კავშირში შექმნილ პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებას. ამ მასალის შეტანამდე, ბავშვებს დაავალეთ აიღონ ინტერვიუები ნათესავებისგან ან მეზობლებისგან, რომლებიც ცხოვრობდნენ 60-70-იანი წლების საბჭოთა საქართველოში. ინტერვიუების დროს დასვან კითხვები: რამდენად ხშირად დადიოდნენ ეკლესიებში (მეჩეთებში, სინაგოგებში)? სახელმწიფო უწყებებისგან ექმნებოდათ თუ არა რაიმე პრობლემა რომელიმე რელიგიური რიტუალის შესრულების დროს?

აქტივობები: 1. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს მინილექციით ან კითხვებით გაახსენეთ II მსოფლიო ომის დროს

გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე და ამ ომის საწყისი პერიოდი.

2. შემდეგ მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობენ №1 და №2 წყაროებზე და ამზადებენ კითხვებზე პასუხს. თქვენი შერჩევით რამდენიმე მათგანი ზეპირად პასუხობს ამ კითხვებს.

3. შემდეგ კლასს დაყოფთ რამდენიმე ჯგუფად. ისინი ადარებენ 3-6 წყაროებს იმ ინტერვიუებს, რომლებიც მათ აიღეს და ასრულებენ დავალებებს. ასევე პასუხობენ საკვანძო და განმაზოგადებელ კითხვებს.

4. თითოეული ჯგუფი აკეთებს შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას. ჯგუფები ერთმანეთს უსვამენ კითხვებს.

VI. წყაროების მოკლე მიმოხილვა

წყარო 1. წყაროებიდან ჩანს, II მსოფლიო ომის პერიოდში თურთოვრ შეიცვალა სახელმწიფოს პოლიტიკა რელიგიის მიმართ.

წყარო 2. სკკპ ცკ I მდივნის ნ. ხრუშჩოვის წერილის ამონარიდიდან ჩანს, რომ კომპარტიის მხრიდან სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა მიმართ ძალისმიერი მეთოდები არაა წახალისებული.

წყარო 3. კონსტიტუციის მუხლი რელიგიის შესახებ, რომელიც საკმაოდ დემოკრატიულია.

წყარო 4. წვილობითი წყარო, საიდანაც ჩანს, რომ 1960-70-იან წლებში გარკვეული რელიგიური საქმიანობა დაშვებული იყო.

წყარო 5-6. ამ წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ მიუხედავად პოლიტიკის ცვლილებისა, გარკვეული ანტირელიგიური დონისძიებები მაინც ტარდებოდა, ხალხი ახერხებდა ჩუმად საკუთარი სურვილების შესრულებას.

VII. პასუხები დავალებებზე:

დავალება 1.

1. მეორე მსოფლიო ომის დროს გაუქმდა ათეისტური ორგანიზაციები, დაიწყო რელიგიური თემატიკის კრებულების, კალენდრების გამოცემა, გაიხსნა საეკლესიო სკოლები, ხელს აღარ უშლიდნენ რელიგიური დღესასწაულების ჩატარებას.

2. იმიტომ რომ, ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა ფაშისტურ გერმანიას აღიქვამდა მტრად.

3. მიზეზი – საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, შედეგი – სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის გარკვეული კომპრომისები.

დავალება 2.

1. ანტირელიგიური ორგანიზაციების აკრძალვის შემდეგ, სახ-

ელმწიფოს მხრიდან არ იყო წახალისებული მკვეთრი ქმედებები რელიგიური ორგანიზაციების წინააღმდეგ. მოსწავლეები წყაროების შედარების საფუძველზე მოძებნიან ამ მოსაზრების დამადასტურებელ ფაქტებს.

დავალება 3.

1. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, სახელმწიფოს მხრიდან ანტირელიგიური ქმედებები გრძელდებოდა.

2. შესაძლოა ასე: „რელიგია პროგრესის (მეცნიერების, მედიცინის) წინააღმდეგ“; „ახალგაზრდობის გულგრილობა ხელს უწყობს სიბნელეს“. შესაძლებელია სხვა ბევრი ვარიანტიც.

საკუანძო კითხვის სავარაუდო პასუხი: პოლიტიკის ცვლილებას მოყვა ის შედეგი, რომ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს მიეცათ აღმსარებლობის შედარებითი თავისუფლება და ნაკლებად იქმნებოდა საკონფლიქტო სიტუაციები.

განმაზოვადებელი კითხვის სავარაუდო პასუხი: იმიტომ დღოცულობდნენ ფარულად, რომ ემინოდათ სამსახურის (პრივილეგიების) დაკარგვის.

VIII. ბიბლიოგრაფია

გ. აბდალაძე, ნ. კვიციანიშვილი, ბ. კუპატაძე, ქ. ჯანუაშვილი. უახლესი ისტორია, XII, გამ., „საქართველოს მაცნე“, 2008;

ნ. ახმეტელი, ნ. მურდულია. საქართველოს და მსოფლიოს ისტორია, 12, გამ. „დიოგენე“, 2008;

ვ. თორაძე, ნ. თორაძე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მე-19 და მე-20 საუკუნეებში, თბ., 1996;

ა. სონდულაშვილი, ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში, I თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბ., 2005;

მ. ბესონოვი, მართლმადიდებლობა დღევანდელ დღეს, მოსკოვი, პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა, 1990, (რუსულ ენაზე)

ინტერნეტ გვერდი: a-theism.com

სამუშაო ფურცელი 27. თანამშრომლობა თუ შეუწყნარებლობა?!

სტანდარტან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: **25. საზოგადოება და კულტურა თანამედროვეობაში: პოსტინდუსტრიული საზოგადოებიდან ინფორმაციულ საზოგადოებამდე.**

ისტ. XII.6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საზოგადოების ცნობიერებაზე ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდში ჩამოყალიბებული სოციალური სტრუქტურების გავლენის შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

შეარჩევს რომელიმე კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციას მოქალაქეთა ცხოვრებიდან (სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური);

შეისწავლის შექმნილ ვითარებას, მხარეთა ინტერესებს. მონახავს მისი გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტებს;

მსჯელობს ამ გზების აკარგიანობაზე და მეგობრებთან ერთად სახავს კონფლიქტის სამართლებრივად გადაჭრის გეგმას.

ისტ. XII.7. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა რელიგიის მნიშვნელობაზე, XIX და XX სს.-ში; მსოფლიოსა და საქართველოზე მისი გავლენის შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

მსჯელობს, თუ როგორ იცვლებოდა დამოკიდებულება საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში და რა გავლენას ახდენდა ეს ცვლილებები ქვეყნის კულტურულ განვითარებაზე.

მსჯელობს რელიგიის, როგორც იდენტობის ერთ-ერთ საშუალების მნიშვნელობაზე თანამედროვე მსოფლიოში

II. ანოტაცია

საკვანძო კითხვა: რამდენად იყო აღმსარებლობა და ეროვნულობა კონფლიქტების მიზეზი დამოუკიდებელ საქართველოში XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე?

მოსწავლე გაეცნობა საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა მრწამსის ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებას 1990-იან წლებსა და თანამედროვე პერიოდში. ის შეეცდება გაარკვიოს, რამდენად უწყობს ხელს ურთიერთშემწყნარებლობა ქვეყნის კარნაკეტილობის დაძლევისა და სიძლიერეს. ამისათვის მას ისტორიიდან მაგალითების მოშველიება დასჭირდება.

განმაზოგადებელი კითხვა: რა გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა თანამშრომლობა და ურთიერთ შემწყნარებლობა?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

საბჭოთა პერიოდში, „ხალხთა ძმობის“ ცრუ ღოზუნგის საფარქვეშ იჩქმალებოდა რეალურად არსებული წინააღმდეგობები, რომლებიც არსებობდა სხვადასხვა ერებს და კონფესიების წარმომადგენლებს შორის. ამ ვითარებამ მოიტანა ის, რომ ამ ქვეყნის დაშლისა და დამოუკიდებელი სახლმწიფოების წარმოქმნის შემდეგ, გაჩნდა უამრავი კონფლიქტური კერა. „ცრუპატრიოტული“ ღოზუნგებით შეიარაღებული არაკეთილსინდისიერი პოლიტიკური ლიდერები ხალხს აქეზებდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. ზოგან ამან, მათ შორის საქართველოში (აფხაზეთის და „სამაჩაბლოს“ კონფლიქტები) ომის პროვოცირებას შეუწყო ხელი. თუმცა არანაკლებ საშიში მოვლენაა რელიგიური შეუწყნარებლობა (მაგ., ბასილ მკალავიშვილის „ზონდერბრიგადების“ ქმედებები იელოველების და ბაპტისტების მიმართ).

IV. ძირითადი ცნებები: ეთნოკონფლიქტი, თანამშრომლობა, კარჩაკეტილობა, ურთიერთგაგება, შეუწყნარებლობა.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე მსჯელობს თუ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა თანამშრომლობა და ურთიერთშემწყნარებლობა ქვეყნის განვითარებაზე.

წინაპირობა: მოსწავლეებს წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობასა და მათ მრავალკონფესიურობაზე. ასევე უნდა იცოდნენ იმ კონფლიქტების შესახებ, როლებიც XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მოხდა საქართველოში.

აქტივობები:

1. მოსწავლეები დაყავით 4 ჯგუფად. ჯგუფები განიხილავენ ყველა წყაროს და ამზადებენ პრეზენტაციებს. I ჯგუფი წამოადგენს პრეზენტაციას წყარო 2-ის მიხედვით და დასახავს კონფლიქტის მოგვარების გზას. II ჯგუფის პრეზენტაცია შეეხება იმავე საკითხს წყარო 3-ის მიხედვით. III ჯგუფი იმსჯელებს, მე-3 დავალების მე-2 კითხვას შესახებ, ხოლო IV ჯგუფი იმავე დავალების მე-3 კითხვაზე.

2. ამის შემდეგ გამართეთ დისკუსია, სადაც მოსწავლეები უპასუხებენ შემდეგ კითხვებს: რამდენად შეიძლება იყოს აღმსარებლობა კონფლიქტის მიზეზი? აქვს თუ არა აზრი სხვადასხვა აღმსარებლობის ლიდერების შეხვედრებს? ასუსტებს თუ არა ქვეყანას კარჩაკეტილობა და სხვა რელიგიების წარმომადგენელთა მიმართ შეუწყნარებლობა? ბოლოს მოსწავლეებთან ერთად შეაჯამეთ გაკვეთილი.

VI. წყაროების მოკლე მიმოხილვა

წყარო 1. წერილობითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოიტანა საბჭოთა კავშირში გარკვეული პრობლემების (მათ შორის ერთაშორისი და რელიგიური) მიჩუმათება.

წყარო 2-3. გადმოგვცემს რელიგიურ ნიადაგზე XX ს-ის 90-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში წარმოქმნილ კონფლიქტურ სიტუაციას.

წყარო 4. კიდევ ერთი კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც შეთანხმებით დასრულდა.

წყარო 5. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის და კათოლიკო-პატრიარქის ილია II-ის ოფიციალური პოზიცია, რომელიც გმობს კარნაკტილობას და აგრესიას სხვა აღმსარებლობის ადამიანების მიმართ და ყველას თანამშრომლობისკენ მოუწოდებს.

წყარო 6. ვიზუალური წყაროები, სადაც კარგად ჩანს სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანების მღვდელმთავრების შეხვედრა.

VII. პასუხები დავალებებზე

დავალება 1.

მთავარი მიზეზი იყო პრობლემების მიჩუმათება და არა მათი გადაჭრის გზების ძიება.

დავალება 2.

1. კონკრეტული მიზეზი: ურთიერთმიუღებლობა და პატივისცემის არ არსებობა.

2. ვარიანტები – ახალი ეკლესიის აგებამდე ერთად უნდა იყოფილიყო. კანონის თანახმად, სკოლაში იკრძალება რელიგიის გაკვეთილის ჩატარება – შეიქმნას საკვირაო სკოლები, სადაც ორივე მხარეს ექნება საშუალება იქადაგოს საკუთარი რელიგია.

დავალება 3.

1. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გულისხმობს სხვა ერების და რელიგიების მიმართ გაუცხოებას და უპატივცემულო დამოკიდებულებას.

2. დიალოგით ნებისმიერი პრობლემა გადაიჭრება.

3. მათი მიზანია დისკუსიის, დიალოგის, ურთიერთკომპრომისების საფუძველზე შეიმუშავონ ისეთი დებულებები, რომლებიც ყველა აღმსარებლობის ადამიანის უფლებებს დაიცავს.

საკვანძო კითხვის სავარაუდო პასუხი: მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ ქართულ-აფხაზურ, ქართულ-ოსურ კონფლიქტებზე. შესაძლოა მოიტანონ მაგალითები საკუთარი რეგიონის სინამდვილიდან.

განმაზოგადებელი კითხვის სავარაუდო პასუხი: მოსწავლეებმა შეიძლება მოიტანონ მაგალითები თბილისში (სხვა ქალაქში,

რევიონში) ქართველების და სომხების (სხვადასხვა საუკუნეებში), ქართველების და აზერბაიჯანელების (მაგ., საქართველო-შირვანის ურთიერთობები XII-XIII სს.), ქართველების და ოსების, აფხაზების, სხვა ერების თანაცხოვრების პოზიტიური მაგალითები, თანამედროვე დროს საქართველო-სომხეთის, საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის ურთიერთობები და ა. შ.

VIII. ბიბლიოგრაფია

გ. აბდალაძე, ნ. კვიციანიშვილი, ბ. კუპატაძე, ქ. ჯანუაშვილი. უახლესი ისტორია, XII, გამ., „საქართველოს მაცნე“, 2008;

ნ. ახმეტელი, ნ. მურდულია. საქართველოს და მსოფლიოს ისტორია, 12, გამ. „დიოგენე“, 2008;

რელიგიები საქართველოში, საქართველოს სააღმოსავლეთი და მცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, თბილისი, 2008;

ა. სონდულაშვილი, ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში, I თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, 2005;

სამუშაო ფურცელი 28. საქართველო მართლმადიდებლებისთვის?

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **25. საზოგადოება და კულტურა თანამედროვეობაში: პოსტინდუსტრიული საზოგადოებიდან ინფორმაციულ საზოგადოებამდე.**

ისტ. XII.6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საზოგადოების ცნობიერებაზე ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდში ჩამოყალიბებული სოციალური სტრუქტურების გავლენის შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

შეარჩევს რომელიმე კომპრეტულ კონფლიქტურ სიტუაციას მოქალაქეთა ცხოვრებიდან (სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური) შეისწავლის შექმნილ ვითარებას, მხარეთა ინტერესებს.

ისტ. XII.7. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა რელიგიის მნიშვნელობაზე, XIX და XX სს.-ში; მსოფლიოსა და საქართველოზე მისი გავლენის შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

მსჯელობს, თუ როგორ იცვლებოდა დამოკიდებულება საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში და რა გავლენას ახდენდა ეს ცვლილებები ქვეყნის კულტურულ განვითარებაზე;

მსჯელობს რელიგიის, როგორც იდენტობის ერთ-ერთ საშუალების მნიშვნელობაზე თანამედროვე მსოფლიოში.

II. ანოტაცია

საკვანძო კითხვა: რამდენად მისაღებია ფრაზა: საქართველო მართლმადიდებლებისთვის?

მოსწავლე შეეცდება გაარკვიოს, რატომ არის გარკვეული სტერეოტიპები საქართველოში სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანების მიმართ. ასევე შეეცდება დასახოს გზები ამ სტერეოტიპების დასაძლევად.

განმაზოგადოებელი კითხვა: რატომ უნდა იზრუნოს ქვეყნის მოსახლეობის მართლმადიდებელმა უმრავლესობამ სხვა აღმსარებლობის ადამიანების უფლებებზე?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

ამ შემთხვევაშიც ისტორიული ექსკურსი იგივეა, რაც სამუშაო ფურცლის „თანამშრომლობა თუ შეუწყნარებლობა?“ შემთხვევაში. საბჭოთა პერიოდში, „ხალხთა ძმობის“ ცრუ ლოზუნგის საფარქვეშ, იჩქმალებოდა რეალურად არსებული წინააღმდეგობები, რომლებიც არსებობდა სხვადასხვა ერებისა და კონფესიების წარმომადგენლებს შორის. ამ ვითარებამ მოიტანა ის, რომ ამ ქვეყნის დაშლისა და დამოუკიდებელი სახლმწიფოების წარმოქმნის შემდეგ, გაჩნდა უამრავი კონფლიქტური კერა. „ცრუ-პატრიოტული“ ლოზუნგებით შეიარაღებული არაკეთილსინდისიერი პოლიტიკური ლიდერები ხალხს აქეზებდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. ზოგან ამან, მათ შორის, საქართველოში (აფხაზეთის და სამაჩაბლოს კონფლიქტები) ომის პროვოცირებას შეუწყობდა. თუმცა, არანაკლებ საშიში მოვლენაა რელიგიური შეუწყნარებლობა (მაგალითად, ბასილ მკადავიშვილის „ზონდერ-ბრიგადების“ ქმედებები იეღოველების და ბაპტისტების მიმართ).

IV. ძირითადი ცნებები: ბუდაისტი; იეღოველი; იუდეველი; კათოლიკე; მართლმადიდებელი; მუსლიმი; პროტესტანტი; სომეხთა სამოციქულო ეკლესია

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე აანალიზებს საქართველოში მართლმადიდებელი უმრავლესობის ურთიერთობას სხვა აღმსარებლობის ადამიანებთან და მსჯელობს იმ ფაქტორებზე, თუ რატომ უნდა იზრუნოს უმრავლესობამ უმცირესობის უფლებებზე.

წინაპირობა: ეს სამუშაო ფურცელი შეგიძლიათ გამოიყენოთ 27-ე სამუშაო ფურცლის შემდეგ ან დამოუკიდებლად. ამ შემთხვევაშიც მოსწავლეებს წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოსახლეობის მრავალკონფესიურ შემადგენლობაზე. ასევე უნდა იცოდნენ იმ კონფლიქტების შესახებ, როლებიც XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მოხდა საქართველოში.

აქტივობები:

1. მთელი გაკვეთილი შეგიძლიათ დაუთმოთ დებატებს საკვანძო და განმაზოგადებელი კითხვების გარშემო: რამდენად მისაღებია ფრაზა: საქართველო მხოლოდ მართლმადიდებლებისთვის! და უნდა იზრუნოს თუ არა მართლმადიდებელმა უმრავლესობამ სხვების უფლებებზე?

როგორ ჩავატაროთ დებატები? ისტორიის გაკვეთილზე ხშირია ურთიერთსაპირისპირო საკითხები, როდესაც ერთი მოსწავლის აზრი, ინფორმაცია, დასკვნა ეწინააღმდეგება სხვა მოსწავლის აზრს. ასეთ შემთხვევაში შეთანხმების მისაღწევად კამათი გარდაუვალია. მოსწავლეებს უნდა მივცეთ საშუალება საკითხი საწინააღმდეგო კუთხეებიდან დაინახონ, გაერკვნენ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებში, გამოხატონ საკუთარი პოზიცია. ორგანიზებული დებატების დროს მოსწავლეები ეხვევიან გუნდურ მუშაობას, ძლიერ და სუსტ მხარეებზე ყურადღების გამახვილებას, დამოუკიდებელ მუშაობას, მსჯელობას, ორატორულ ხელოვნებას, სხვისი აზრის ყურადღებით მოსმენას, საკუთარი და ოპონენტის აზრის სუსტი და ძლიერი მხარეების დაპირისპირებას, თავიანთი პოზიციის სხვადასხვა გზით მტკიცებას, პრობლემების გადაჭრაზე ყურადღების გამახვილებას და სხვა. ხშირად საკამათო საკითხი ბუნებრივად წამოიჭრება გაკვეთილზე. მასწავლებელს შეუძლია გაათამაშოს დებატი ორ მოსწავლეს შორის, ან 2-2 თუ 3-3-მოსწავლეს შორის.

გთავაზობთ დებატების ფორმატის პროცესის ორგანიზების ერთ-ერთ გეგმას: კლასი დაყავით ორ ჯგუფად; თითოეული ჯგუფი მოამზადებს 3-3 მომხსენებელს. ამისთვის ისინი იყენებენ სამუშაო ფურცლის წყაროებს და დავალებებს.

მტკიცებითი გუნდი		უარყოფელი გუნდი	
I მომხსენებელი	6წთ	I მომხსენებელი	6წთ
II მომხსენებელი	5 წთ	II მომხსენებელი	5წთ
III მომხსენებელი	5წთ	III მომხსენებელი	5წთ

მასწავლებელს შეუძლია დაამატოს ან შეამციროს მომხსენებელთა რაოდენობა. ასევე, შეუძლია განსაზღვროს და შეცვალოს თითოეული მომხსენებლისთვის განკუთვნილი დრო. მოხსენებებს შორის გუნდის წევრები კითხვებს უსვამენ ერთმანეთს. ბოლოს მოსწავლეებთან ერთად შეაჯამეთ დებატები.

VI. წყაროების მოკლე მიმოხილვა:

წყარო 1. ამ ტიპის წარწერები XX–XXI სს. მიჯნაზე იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებოდა.

წყარო 2. სტატისტიკური მონაცემები საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანების რაოდენობის შესახებ.

წყარო 3. ინფორმაცია ერთ-ერთი კონფერენციის შესახებ, სადაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მოუწოდა შემწყნარებლობისკენ.

წყარო 4. აქაც სტატისტიკური მონაცემები, საიდანაც ცანს მართლმადიდებელი უმრავლესობის დამოკიდებულება სხვა აღმსარებლობის ადამიანების მიმართ.

კითხვაზე პასუხი: ასეთი ფრაზა რა თქმა უნდა შეურაცხყოფელია სხვა აღმსარებლობის საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებსაც ეუბნებიან, რომ ეს ქვეყანა მათი სამშობლო არ არის.

VII. პასუხები დავალებებზე:

დავალება 1.

1. აიხსნება ისტორიული პროცესებით და საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით.

2. შეუძლიათ მოიტანონ კონფლიქტების მაგალითები ნებისმიერი რეგიონიდან და ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანებს შორის.

დავალება 2.

1. მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომლის მრევლი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაა, შეუძლია მოწოდებებით, ბრძოლებით, სხვა საშუალებებით შემწყნარებლობა და ურთიერთპატივისცემა იქადაგოს.

2. შეუწყნარებლობა იწვევს კონფლიქტს, საიდანაც ერთი ნაბიჯია ომისკენ.

დავალება 3.

1. მართლმადიდებლური უმრავლესობის ნაწილი საკმაოდ ტოლერანტულია, თუმცა არანაკლები ნაწილი სხვა აღმსარებლობის ადამიანს მაინც აღიქვამს „უცხოდ“.

2. აქ ალბათ ბევრ განსხვავებულ პასუხს მიიღებთ, რომლების შემდეგ დააჯგუფეთ და გაანალიზეთ

საკვანძო კითხვის სავარაუდო პასუხი: ასეთი განცხადებები მიუღებელია იმიტომ, რომ იწვევს განსხვავებული ადმსარებლობის ადამიანების გაუცხოებას საკუთარი სამშობლოს მიმართ.

განმაზოგადებელი კითხვის სავარაუდო პასუხი: იმიტომ უნდა იზრუნოს, რომ მათ თავი აღიქვან ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქედ, რაც ხელს შეუწყობს მშვიდობას, ქვეყნის აღმშენებლობაში თანამონაწილეობას, თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებას და, შესაბამისად, ქვეყნის გაძლიერებას.

VIII. ბიბლიოგრაფია:

გ. აბდალაძე, ნ. კვიციანიშვილი, ბ. კუპატაძე, ქ. ჯანუაშვილი. უახლესი ისტორია, XII, გამ., „საქართველოს მაცნე“, თბ., 2008;

ნ. ახმეტელი, ნ. მურდულია. საქართველოს და მსოფლიოს ისტორია, 12, გამ. „დიოგენე“, 2008;

რელიგიები საქართველოში, საქართველოს სააღმსახურთა დამცველთა არსებული ტოლერანტობის ცენტრი, თბილისი, 2008,

ა. სონდელაშვილი, ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში, I თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბ., 2005;

სამუშაო ფურცელი 29.

კათოლიკები XX საუკუნის ქუთაისში

I. სტანდარტთან შესაბამისობა

სამუშაო ფურცელი უკავშირდება:

XII კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ შემდეგ თემას: **14. საზოგადოება და კულტურა XX საუკუნის I ნახევარში. 25. საზოგადოება და კულტურა თანამედროვეობაში: პოსტინდუსტრიული საზოგადოებიდან ინფორმაციულ საზოგადოებამდე**

ისტ. XII.6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საზოგადოების ცნობიერებაზე ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდში ჩამოყალიბებული სოციალური სტრუქტურების გავლენის შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

შეარჩევს რომელიმე კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციას მოქალაქეთა ცხოვრებიდან (სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური) შეისწავლის შექმნილ ვითარებას, მხარეთა ინტერესებს; მონახავს მისი გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტებს; მსჯელობს ამ გზების აკარგვიანობაზე და მეგობრებთან ერთად სახავს კონფლიქტის სამართლებრივად გადაჭრის გეგმას.

ისტ. XII.7. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა რელიგიის მნიშვნელობაზე, XIX და XX სს.-ში; მსოფლიოსა და საქართველოზე მისი გავლენის შეფასება.

შედგეი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

მსჯელობს, რელიგიის, როგორც იდენტობის ერთ-ერთი საშუალების, მნიშვნელობაზე თანამედროვე მსოფლიოში.

ბ) IX კლასის ისტორიის სტანდარტის სავალდებულო შინაარსით გათვალისწინებულ თემას: **51. ქართული კულტურა XX საუკუნეში სწავლების დროს.**

ისტ. IX.6 მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საქართველოში არსებული რელიგიებისა და მათი აქ გავრცელების ისტორიული მიზეზების შესახებ.

შედგეი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ადგენს სხვადასხვა ეპოქაში საქართველოში არსებული რელიგიების და კონფესიების სიას და მსჯელობს მათი ურთიერთობის შესახებ როგორც ერთმანეთთან, ასევე სახელმწიფოსთან.

II. ანოტაცია

საკვანძო კითხვა: როგორი იყო ქუთაისის მოსახლეობის დამოკიდებულება ადგილობრივი კათოლიკების მიმართ XX საუკუნეში?

მოსწავლე გაეცნობა და გაიაზრებს ქართველი კათოლიკების წვლილს მე-20 საუკუნის ქუთაისის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში; ადგილობრივი მოსახლეობის მათდამი დამოკიდებულებას.

განმაზოგადოებელი კითხვა: რატომ თვლიდნენ თავს სხვადასხვა კონფესიის ადამიანები, მათ შორის, კათოლიკები, უპირველესად, ჭეშმარიტ ქუთაისლებად?

III. მოკლე ისტორიული ექსკურსი

საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ქართველების გვერდით სხვა ერის წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ. სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ისტორიული გარემოებების გამო საქართველოში დასახლდნენ სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ბერძნები, ოსები, ასირიელები, ქურთები, რუსები, უკრაინელები, გერმანელები და სხვა. ასეთმა სიტუაციამ გამოიწვია ის, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრი რელიგიური აღმსარებლობის ადამიანი ცხოვრობს. მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებლური სარწმუნოებისაა; თუმცა ასევე საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ კათოლიკები, პროტესტანტები, მუსლიმები, სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები, იუდეველები და სხვა. ქართველების ნაწილი

საუკუნეების მანძილზე არამართლმადიდებელია, მათ შორის, კათოლიკეებიც არიან. კათოლიკეები იყვნენ დიდი ქართველი მწერალი და ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი, მეცნიერი მიხეილ თამარაშვილი, კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი და სხვა.

IV. ძირითადი ცნებები: თანამშრომლობა; კათოლიკე; „კარიტასი“; მართლმადიდებელი; „ფრანგი“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

V. რეკომენდაციები გაკვეთილის ორგანიზებისათვის:

გაკვეთილის მიზანი: ქუთაისში მცხოვრები მართლმადიდებელი უმრავლესობისა და კათოლიკე უმცირესობის ურთიერთობის ანალიზის საფუძველზე მოსწავლე მსჯელობს თანამშრომლობის პოზიტიურ შედეგებზე.

წინაპირობა: მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ საქმიანობის შესახებ. ასევე ამ სამუშაო ფურცლის შეტანამდე მოსწავლეებს წინასწარ დაავალეთ მოიპოვონ ინფორმაცია საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა კონფესიების, მათ შორის, კათოლიკეების ღვაწლზე საქართველოს ისტორიაში.

აქტივობები:

1. მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობენ 1-4 წყაროებზე და ასრულებენ დავალებებს. კითხვა-პასუხის რეჟიმში თქვენ ამოწმებთ, თუ როგორ შეასრულეს ეს დავალებები.

2. მოსწავლეები დაყავით რამდენიმე ჯგუფად. ჯგუფები მუშაობენ დანარჩენ წყაროებზე, ასრულებენ დავალებებს და ამზადებენ პრეზენტაციებს. მიუთითეთ, რომ პრეზენტაციების დროს მათ ასევე პასუხი უნდა გასცენ საკვანძო და განმაზოგადებელ კითხვებს და უნდა იმსჯელონ სხვადასხვა კონფესიების მქონე ადამიანების თანამშრომლობის პოზიტიურ შედეგებზე. პრეზენტაციების დროს იყენებენ თავის მოპოვებულ ინფორმაციებს.

3. ამის შემდეგ მოსწავლეები თავად აფასებენ ერთმანეთის ნამუშევარს და აკეთებენ კომენტარებს. ბოლოს მოსწავლეებთან ერთად შეაჯამეთ გაკვეთილი.

VI. წყაროების მოკლე მიმოხილვა

წყარო 1-4. წერილობითი და ვიზუალური წყაროები მოგვითხრობენ ქუთაისში კათოლიკე მოსახლეობის მოღვაწეობის შესახებ.

წყარო 5-7. წერილობითი ინფორმაცია ეხება ცნობილ მოღვაწეს იოსებ ოცხელს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობაში.

წყარო 8-9. წერილობითი ინფორმაციები ეხება ზაქარია ფალიაშვილის მოღვაწეობის პერიოდს ქუთაისში.

წყარო 10. გვაწვდის ცნობას საქველმოქმედო ფონდ „კარიტა-სის“ საქმიანობაზე.

VII. პასუხები დავალებებზე:

დავალება 1.

1. ა) მრეწველობის განვითარებამ ქუთაისში გამოიწვია მოსახლეობის გაზრდა. ბ) ძირითადად პოზიტიური. გ) ესაა სტერეოტიპი კათოლიკების მიართ, როდესაც საქართველოში ყველა მათ რატომღაც „ფრანგებად“ იხსენიებენ.

2. მათი საქმიანობის სფეროები იყო – კულტურულ-საგანმანათლებლო, მედიცინა და მრეწველობა.

3. „მართლმადიდებელი ბაგეშები სულგანაბული უსმენდნენ პადრეს“.

დავალება 2. ასეთი სკოლების არსებობას რუსული მმართველობა არ ახალისებდა, ამიტომ შესაძლოა ასეთ მიმართვას აღმზრდელის დათხოვნა ან საერთოდ სკოლის დახურვა გამოეწვია.

დავალება 3.

1. „თავადაზნაურთა სიბნელე“.

2. მსგავსებაა ის, რომ ჩანს თავადაზნაურთა გარკვეული ნაწილი ი. ოცხელის მოღვაწეობის წინააღმდეგია, ხოლო მეორე ნაწილი (ამ შემთხვევაში ტ. ლორთქიფანიძე) სხვაგვარად ფიქრობს.

3. შედეგი არ მოიტანა იმიტომ, რომ ამ განცხადებას მხოლოდ 15 მოსწავლის მშობელი აწერდა ხელს, ხოლო უმრავლესობა, როგორც ჩანს, მათ არ უთანაგრძნობდა.

4. შესაძლოა, მოიტანონ რაიმე მსგავსი მაგალითი საკუთარი ან ნაცნობების გამოცდილებიდან.

დავალება 4.

ამ შემთხვევაში „ფრანგი“, იგივეა, რაც კათოლიკე.

აქ ჩანს ისევ რელიგიური შეუწყნარებლობის მაგალითი, ოღონდ პირიქით კათოლიკების მხრიდან.

დავალება 5. ურთიერთშემწყნარებლობამ და ურთიერთპატივისცემამ მიიყვანა თანამშრომლობამდე და ერთმანეთის დახმარებამდე.

საკვანძო კითხვის სავარაუდო პასუხი: ქუთაისის მოსახლეობის უმრავლესობის დამოკიდებულება კათოლიკების მიმართ პოზიტიური იყო, თუმცა გვხვდებოდა ნეგატიური დამოკიდებულების შემთხვევებიც.

განმაზოგადებელი კითხვის სავარაუდო პასუხი: იმიტომ რომ, ისინი საქართველოს მოქალაქეებად, მის განუყოფელ ნაწილად მიიხსენებდნენ და მიიხსენებენ თავს.

VIII. ბიბლიოგრაფია

რელიგიები საქართველოში, საქართველოს სააღმოსავლეთო საეპისკოპოსოს ცენტრი, თბილისი, 2008;

ა. სონღულაშვილი, ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში, I თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბ., 2005;

ზ. ჭიჭინაძე, კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, ქუთაისი, 1903;

ნუგზარ კვარაცხელია, ქუთაისელი კათოლიკეები XIX საუკუნეში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ქუთაისის მუზეუმის მასალები, კრებული XI, 1984.